# ცისკარი.

**1867**

ი ა ნ ვ ა რ ი.

წელიწადი მეთერთმეტე.

წოდება თხზულებათა:


1 — იულიუს ცეზარი. (ნათ. დრამა) მ. ყიფიანისა.

2 — ფიქრები საპარადო მისავალთან. (ლექსი ნეკრასოვითგან) ანტონ ფურცელაძისა.

დაიძინე ჩემო ძმაო! (ლექსი) ი. კერესელიძისა.

3 — სამის თავს გარდასავალები. ანტონ ფურცელაძისა.

4 — ჩვენს ლიტერატურაზედ. მისივე.

5 — სხვა და სხვა ამბავი. (იხ. მეორე გვერდზედ.)


---


ტ ფ ი ლ ი ს.

კერესელიძის სტამბაში.



საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
ბიბლიოთეკა

39

# ცისკარი.

ქართული

სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემის ივ. კერესელიძისა-გან.

იანვარი.

15

წელიწადი მეთერთმეტე.

„თუ შეიყვარო სმენად, — მიითვალე, და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, — ბრძენ იქმნე.“ (წიგ. ისო ზირ. თავი 6 მუხ. 34.)

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1 8 6 7

Дозволено цензурою 1867 г. 1 Генваря.

# იულიუს ცეზარი.

## (ტრაგედია შექსპირისა.)

ს

### მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| იულიუს ცეზარი,<br>ოკტავიუს ცეზარი,<br>მარკუს ანტონიუს,<br>მარკუს ემილიუს ლეპიდუს, | ტრიუმვირნი ცეზარის სიკვდილის შემდგომ. |
| ციცერონ, პუბლიუს,<br>პოპილიუს ლენა, | სენატორები. |
| მარკუს ბრუტუს,<br>კასსიუს,<br>ტრებონიუს,<br>ლიგარიუს,<br>დეციუს ბრუტუს,<br>მეტელლიუს ციმბერი.<br>ცინნა. | შეთქმულნი იულიუს ცეზარის წინააღმდეგად. |

ფლავიუს და მარილლიუს, ტრიბუნები.

არტემიდოროს, სოფისტი კნიდოსიდგან.

მთხრობელი.

ცინნა, პოეტი. მეორე პოეტი.

| | |
|---|---|
| ლუცილლიუს, ტიცინიუს, მესსალა, კატო უნცროსი, და ვოლუმნიუს. | მეგობრები ბრუტუსტსა და კასსიუსისა. |
| ვარრო, კლიტეს, კლაუდიუს, სტრატო, ლუციუს, დორდონიუს. | მსახურები ბრუტუსისა. |

პინდარეს, კასსიუსის მსახური.

კალფურნია, ცეზარის ცოლი.

პორცია, ცოლი ბრუტუსისა.

სენატორები, მოქალაქები, გუშაგები, მსახურნი და სხუანი.

მოქმედება არის ჯერ ჰრომში, შემდგომ სარდაში და ფილიპიის მახლობლად.

## მოქმედება პირველი.

### გამოსვლა პირველი.

ჰრომი. ქუჩა. შემოვლენ ფლაბიუსი, მარულიუსი და სხუა მოქალაქები.

ფლაბიუსი. წადი, შინა, ზარმაცნო! განა დღეს უქმეა? დაივიწყეროთ, ხელოსნებმა, არ იცით, რომ თქუენ სამუშაო დღით არ შეგიძლიანთ სიარული, თუ რა ხელობისაცა ხარ იმისი ნიშანი არა გაქვსთ? სთქვი, რა კაცი ხარ შენა?

პირველი მოქალაქე. მე ვარ დურგალი.

მარულლიუსი. სადა გაქვს ტყავის წინ ჩამოსაფარებელი და შიშმა? რისთვის მორთულხარ ეგრე?—აბა შენ ვილა ხარ?

მეორე მოქალაქე. სიმართლით უნდა ვსთქვა, რომ კარგი ხელოსნების შეფარდებით, მე ვარ უკანასკნელი ხარისხის ხელოსანი.

მარულლიუსი. მომეცი პასუხი მე, რა ხელობის კაცი ხარ?

მეორე მოქალაქე. ხელობა, რომლითაც მაქუს იმედი, შემიძლიან კეთილის სვინიდისით ვიმუშაო მე: არის მეჯლანეობა.

მარულლიუსი. რა ხელობისა ხარ, შე საძაგელო, რა ხელობისა?

მეორე მოქალაქე. გთხოვთ ნუ მეჩხუბებით, გულს ნუ იხეთქამთ, მაგრამ თუ გასკდება, მაშინ მე შემიძლიან დაგიკეროთ.

მარულლიუსი. რაო, როგორაო? მე დამაკერეფ! რა გინდა სთქუა მაგითი, შე უკეთურო?

მეორე მოქალაქე. მე შემიძლიან გაგიკეთოთ ფეხთ-საცმელის ძირები.

ფლაბიუსი. მაშ შენი კელობა ბაშმაკების დაკერება არის?

მეორე მოქალაქე. სწორეთ. მე ვსცხოვრებ მხოლოდ სადგისითა; ჩემსა და წარჩინებულის ხელოსნებს შუა საზოგადო არა არისრა; ჩემი საქმე არის სადგისი. მე ვარ ძველი ფეხთ-საცმელების მკურნალი, როდესაც დიდს შეწუხებაში არიან— მე მოვარჩენ იმათა. ჩემს ნამუშავარს იცმენ ყოველად საშუალო ღირსების ხალხნი, რომელთაცკი თუ ოდესმე სცმიათ ფეხზე ხარის ტყავი.

ფლაბიუსი. მაშ დღეს რატომ დუქანში არა ხართ? რათ იდევნებ თანა ხროვა ხალხსა?

მეორე მოქალაქე. ამისათვს, რომ ამ ხალხმა მალე გაცვითოს თავისი ფეხთსაცმელები: მაშინ მე მექმნება მომეტებული საქმე. და საქმე ის არის, რომ დღეს ვუქმობთ; ჩვენ გამოვედით, რომ ვნახოთ ცეზარი და ვისიამოვნოთ იმისი დაელითა.

მარულლიუსი. ეჰ, თქვენც საქმე გამოგწყვეტიათ!—რა მოაქვს იმას თანა? რა დაუპყრია ახლად? რა მოხარკენი მოსდევენ იმის ეტლსა, მონების ჯაჭვით შეპყრობილნი? თქვე ჯირკებო, ქვებო თქვენა, უგრძნობარნო ხალხნო! შეუბრალებელნო და მოუხეშავო გულისანო! დავიჯერო თქვენ დაგავიწყდათ პომპეიუსის ამბავი! ოჰ, რამდენჯერ, რა ხშირად, აცოცდებოდით ხოლმე კედლებზედ, ბანებზე, ერდოებზე, გეჭირათ შვილები ხელში და ელოდით მთელი დღე იმასა, რომ ერთი შეგეხედნათ დიდი პომპეიუსის მოსვლისათვის! და როდესაც შორიდგან თვალს მოჰკრამდით ეტლსა, რომელ-

შიაც ის იჯდა, საზოგადო ყვირილით თქვენ იმას სალამს აძლევდით და ტიბრი თრთოდა ღრმა კიდეებს შუა იმ ყვირილის ხმის განმეორებისაგან. და თქვენ ეხლა ჩაგიცვამთ, მორთულხართ, და, უქმად მყოფნი, თქვენ უფენთ ყვავილებსა ცეზარის წინა, რომელიც ამ ჟამად ჰრომში მოდის გამარჯვებული პომპეიუსის სისხლს შემდგომ! გასწით შინ, შინისაკენ! წადით მოდრეკილნი, ევედრეთ ღმერთებსა, (*) რომ იმათ თქვენის უმადურობისათვს არ დაგსაჯონ თქუენა განუკურნავი სენითა.

ფლაბიუსი. გასწიეთ რაღა, წადით მეგობრებო, და თქვენის მოქმედების მოსატევებლად მოაგროვეთ თქვენი მსგავსი გლახები ტიბრის ნაპირზე; იტირეთ, ღვარეთ ცრემლი, ვიდრე არ გამოვიდეს წყალი ნაპირზე. (მოქალაქები გავლენ). როგორ მოსწყლულა ამათი მოუხემავი ბუნება: ხმის ამოუღებლად გადიკარგნენ, რადგანაც ჰგრძნობდნენ თავის დანაშაულსა. წადი შენ კაპიტოლიაში და მე ასე წავალ. მოხსენი სტატუებს მორთულობა, სადაც თვალი შეასწრო.

მარულლიუსი. მერე შეგვიძლიანკი ჩვენა ამ საქმის აღსრულება, ფლაბიუს? ეხლა, შენ იცი, ლუპერკალიუსის დღეობა არის.—

ფლაბიუსი. რა საჭიროა? დეე, ნურც ერთს სტატუას ნუ მორთვენ ცეზარის დავლით. მდაბიო ხალხს ქუჩებიდგან გავრეკამ. ესე მოიქეც შენცა, როდესაც ჯგუფად ხალხი შენიშნო; ცეზარს ჩვენ შევკვეცამთ ფრთებსა, რომელიც უზომოთ ეზრდება, და მაშინ დაუდებთ სამძღვარს იმის ფრენასა, თორემ ის აფრინდება თვალ მიუწდომელს სიმაღლეზედ, და ჩუვეც ყოველთვის ვეყოლებით მონებრივს შიშს ქვეშა.

(*) იმ დროს მრავალ ღმერთობა იყო ჰრომში.

## გამოსვლა მეორე.

ისინივე. სახალხო მეიდანი. შემოვლენ წყობილ დასტით, მუზიკით, ცეზარი, ანტონიუსი, ჩაცმულნი გაქცევისათვის, კალფურნია, პორცია, დიციუსი, ციცერო. ბრუტუსი, კასიუსი და კასკა, უკან მოსდევს მრავალი ხალხი, სადაც სხვათა შორის არის მთხრობელიცა.

ცეზარი. კალფურნია!

კასკა. სუ! ცეზარი ლაპარაკობს. (მუზიკა დაჩუმდება.)

ცეზარი. კალფურნია!

კალფურნია. მე აქა ვარ.

ცეზარი. დაუდექ გზაში ანტონიუსსა? როდესაც გამოიქცეს. ანტონიუს!

ანტონიუსი. აქა ვარ. რას მიბრძანებს ცეზარი?

ცეზარი. არ დაგავიწყდეს კალფურნიას შეხება გაქცევის დროსა. მოხუცებულთაგან გამიგონია მე, რომ უშვილობისაგან მორჩებაო ის ქალი, რომელსაც შეეხებიან, ამ უსამღრთოესს სირბილში.

ანტონიუსი. მეხსომება, შენი სიტყვა კანონია.

ცეზარი. წავიდეთ იქით. არ დასტოვოთ წესი. (მუზიკა.)

მთხრობელი. ცეზარო!

ცეზარი. ვინ არის მანდა?

კასკა. სუ! სუ! ჩუმათ იყავით, ნელა, ნელა!

ცეზარი. ვინ მეძახის მე ხალხში? მუზიკის ხმაში ერჩევა რალაც ხმა. აბა, სთქვი, მე ყურს გიგდებ შენა.

მთხრობელი. მარტის იდ ს ერიდე.

ცეზარი. ვინ არის ეგა?

ბრუტუსი. მთხრობელია; ის ანბობს, რომ შენა მარტის იდს მოერიდო.

ცეზარი. მოვიდეს ჩემთან; მე მინდა პირის სახეს შევხედო.

კასსიუსი. ეი ყოჩაღო, გამოდი ხალხითგან აქეთ და დადექი ცეზარის წინა.

ცეზარი. რა სთქვი?

მთხრობელი. მარტის იდს მოერიდე.

ცეზარი. რას ბოდამს; დავანებოთ ამას თავი. აუქციოთ გზა! (გავლენ ყველანი, ბრუტუსისა და კასსიუსის გირდა.)

კასსიუსი. შენ არ გინდა გაქცევის ყურება?

ბრუტუსი. მე? არ მინდა.

კასსიუსი. გთხოვ, წადი შენა.—

ბრუტუსი. მე თამაშობაების ყურება არ მიყვარს, მე ანტონიუსის სიმხიარულე არა მაქვს; მაგრამ შენკი წადი: მე არ მინდა შევიქნე შენი სურვილის ასრულებისა დამაბრკოლებელი.

კასსიუსი. ბრუტუს, მე შევნიშნე ამ ცოტას ხანს შემდგომ, რომ შენ გამოიცვალე: შენს თვალებში ველარა ვხედამ უწინდელს ალერსსა, და იმ სიყვარულსა, რომელსაც მე დაჩვეული ვიყავი. გასასტერებელი და გასაოცარია შენი ქცევა ჩემთან, შენს მოყვარე მეგობართანა.

ბრუტუსი. შენ სცდები. როდესაც ჩემი შეხედულობა ბუნდიანია და ჩემს სახეში არის აღშფოთება, ეს მხოლოდ მე შემეხება. მე ვიტანჯები ამ ცოტას ხანს შემდგომ სულს მიღელვებენ სხუა და სხუა ვნებანი და ფიქრები; და იქნება ესენი ჩრდილს მოაყენებენ ხოლმე ჩემს მოქმედებასა; მაგრამ ამან არ უნდა შეაშფოთოს ჩემი მეგობრები და აფიქრები-

ნოს, რომ მე იმათზე გული გამგრილებოდეს: არა! საწყალი ბრუტუსი, თავის ბრძოლაშია და ამისათვის ავიწყდება ხან და ხან სხვის საყვარულის ცხადად გამოჩენა.

კასსიუსი. ჰო, მე შევჰსცდი, ბრუტუს, შენი ფიქრი მე სხვა ნაირად გავიგე და ამ შეცდომამ დამიმალა და მრავალი ფიქრი კეთილშობილურის წადილისა გულში ჩამამარხვინა. მითხარი მე ბრუტუს, ხედავ თუ არა შენს თავსა?

ბრუტუსი. არა, კასსიუს, თვალი თავის თავს ვერ დაინახამს, მაგრამ თავის გარდამოცემულს შუქს კი.

კასსიუსი. ჰო, მართალია. მაგრამ სამწუხაროკი არის, ჩემო კეთილო ბრუტუს, რომ შენ არა გაქვს სარკე, რომელშიაც შეგძლებოდა ნახვა შენის ღირსებისა, შენი სულის ხატი, შენგან დაფარული. გამიგონია მე ბევრის კაცისაგან, რომელნიც აქ ჰრომში მომატებულად პატივ ცემულნი არიან (თუმცა ისე არა, როგორც ცეზარი), ამბავი ნათქვამი ბრუტუსზე; იმათ აწუხებს საშინლად ერთი სენი და სურთ მხოლოდ, რომ ბრუტუსმა თვალი გაახილოს.

ბრუტუსი. რა განსაცდელში შეგყევარ მე შენა, კასსიუს, რომ ცდილობ მაპოვნინო ჩემში ის სიქველე, რომელიც არა მაქვს?

კასსიუს. მაშ მოემზადე მოსასმენელად კეთილო ბრუტუს და რადგანაც იცი, რომ არ შეიძლება თავის დანახვა, თუ არ შუქის გარდამოცემით, მაშასადამე მამეცი მე ნება, რომ მე შევიქმნა შენი სარკე. მე სიმართლით განგირკვევ შენა, რაც თვითონ შენ არ გაგეგება შენის თავისა. მაგრამ ნუ დამერიდები მე, კეთილო ბრუტუს: თუ მე ლაქლანდარა კაცად მიცნობ, თუ შენა გგონია, რომ მე სიყვარულის და-

ფასება არ ვიცი და ამას ფიცით ყველას გამოუცხადებ ხოლმე ვინც შემხვდება, თუ შენ მე მიცნობ მლიქვნელ ადამიანად და თვალ და თვალ ვატყუებ მე ხალხსა მისთვის, რომ შემდგომ სასაცილოდ ავიგდო და თუ მე, ყოველს მდაბიო ხალხის კრილობაში ვიბრიცები, როგორც მასხარა, მაშინ შემრაცხე მე მოსარიდებელ კაცად.

ბრუტუსი. რას ნიშნავს ეს ხმაურობა? დაიჯერო ხალხმა ამოირჩია ცეზარი ხელმწიფედ?

კასსიუსი. ეჰ, შენ გეშინიან! მაშასადამე, შენ არა გსურს რომ ეს მოხდეს?

ბრუტუსი. ჰო, არ მინდა, მაგრამ მე და ცეზარი შეთვისებულნი ვართ ერთმანერთში. და რათა გყევარ მე ასე დიდხანს შენ დაყოვნებული აქა? რა გინდა მაცნობო? თუ ხალხის სასარგებლოა რამე, მაშინ, დეე პატიოსნებაცა და სიკვდილიც შეიქმნენ ჩემი წინაალმდეგი — მე ჩემს თვალს არ მოვარიდებ იმათა. მამანიჭონ მე ღმერთებმა იმდენი სიკეთე, რამდენადაც პატიოსნების მხურვალე სიყვარული ჩემს გულში უაღრეს მეტია სიკვდილის შიშზე!

კასსიუსი. ბრუტუს, მე მაგ შენს თვისებას ვიცნობ ისე, როგორათაც შენს გარეგანს შეხედულობასა. ოჰ, მე მინდა ვილაპარაკო პატიოსნებაზე. არ ვიცი როგორ უყურებ შენ სიცოცხლესა... ჩვენ დავბადებულვართ თავისუფალნი ისე, როგორათაც ცეზარი. ჩვენ ვსჭამდით იმ ნაირსავე საჭმელსა, და შეგვიძლიან ავიტანოთ სიცივე ისე, როგორათაც ცეზარსა. მე მახსოვს წვიმიანი ქარიშხალიან დღეში, როდესაც აღელვებული ტიბრი ზვირთებს ისროდა და ნაპირებსა სცემდა ტალღასა, მითხრა მე ცეზარმა: „გაბედამ კასსიუს, ეხლა ჩა-

მამყევ, ჩავცვინდეთ წყალში და ცურვით გავიდეთ აიმ წე-რტილთანა?“ ოჰ, ვფიცამ,--გაუხდელი, როგორც ვიყავი, მე შევცურდი და დაუძახე იმასაცა; შემოუცურდა ისიცა. მდი-ნარე ქშუოდა, მე და ის ვებრძოდით, დიდხანს პირშელმა ვსჭრიდით ტალღასა; მაგრამ სიღრმეში მსწრაფლად ცეზარმა დაიძახა: „კასსიუს, მიშველე!“ და როგორათაც ენეიმ, დიდმა ჩვენმა წინაპარმა მოხუცებული ანხინზა გამოიყვანა მხრებით ცეცხლ-მოგზნებული ტროიდგან, ისე მე ტიბრის ზვირთიდ-გან დავიხსენ ცეზარი, და ის შეიქმნა ეხლა ღმერთად; მაშინ როდესაც რომ კასიუს დარჩა ისევ ის შეურაცხი არსი და არის ქედ მოხრილი ცეზარის წინა, და ისკი მხოლოდ თავს დაუქნევს ხოლმე დაუდევნელად. ისპანეთში სახადით იყო შეწუხებული და როდესაც გაუცხოვლდებოდა ხოლმე სიცხე, მე ვხედავდი რა ნაირად თრთოდა ხოლმე.--ეგ ღმერთი თრ-თოდა, სახეში იცვლებოდა შიშისაგანა; თვალები, რომელთაც ერთი შეხედულობა ეხლა ხალხს მოწიწებით აღავსებს, მაშინ დაჰკარგავდენ თავისს ელვარებასა; ის კვნესოდა და ოხრამდა და ენით, რომლითაც გამოთქმულს სიტყვებს ეხლა ჰრომა-ელნი ისე სიხარბით ითვისებენ, შენიშვნენ და სწერენ, მა-შინ ოდნავ ამბობდა: ტიცინიუს, წყალი მასვი!“ თითქო პა-წაწა ავად-მყოფი ქალი. ღმერთნო! ამ უღონო კაცმა მია-ღწია ასეთს უაღრესს ძლიერებამდისინ, და მარტოდ-მარტო მფლობს უპირატესობის ბზასა ქვეყნისასა. (ყვირილი. ტრუ-ბების ხმა.)

ბრუტუსი. კიდევ საზოგადო ყვირილია! ეს ამბავი ცეზა-რის პატივის-ცემისათვის არის, იქ უთუოთ ახალს რასმე ღირსებას უძღვნიან.

კასსიუსი. იმან მჭიდრო ქვეყანას გადააბიჯა, როგორათაც კოლოსსმა, ჩვენი წვრილ-ფეხობა, გაუვლით ქუსლს ქვეშა და ვეძებთ სადმე გაუხმიანებელს სამარესა. მაგრამ ზოგნი კაცნი არიან ხოლმე თავისი ბედის-წერის მბრძანებელნი და ხშირად, საყვარელო ბრუტუს, ჩვენა ვართ ხოლმე მიზეზნი, ჩვენის ამაო მორჩილებით და არა ჩვენი ვარსკვლავნი. აი ბრუტუს ცეზარი: ცეზარი... რა არის ამ ცეზარში? და რისთვის აქვს ძლიერი ხმა ამ სახელსა, ბრუტის სახელზე? დასწერეთ ერთ რიგზე ორივენი--ბრუტუსის სახელი იმისივე მსგავსად მშვენიერია; გამოსთქვი--იმაზე ნაკლები ხმა არა აქვს; ასწონე--ისევ ის სიმძიმე აქვსთ ორივე სახელებსა; შინჯე დარისხება ამ სახელითა--და ბრუტუსიც მოიწოდებს აჩრდილსა ისე, როგორათაც ცეზარი. ეხლა ყოველ ღმერთებს წინაშე გკითხამ მე: რა საჭმლით არის აღზრდილი იულიუსი, რომ ასე ამაღლდა ჩვენზე? საცოდაო საუკუნე! შენა ხარ გაუპატიურებული, შერცხვენილი, ჰრომო, შენ დაგიკარგამს სისხლის კეთილშობილება! აბა, გაგონილა წარღვნის შემდგომ, რომ საუკუნე იყოს აღვსილი ერთის კაცის სახელითა? როდესაც შესძლებოდა ეთქვა ხალხსა ჰრომზე, რომ იქა სცხოვრებს მხოლოდ ერთი კაცი; და განა ჰრომია ესა, კარგია ერთი? ეს თუ ასეა, მაშ არაფერი სივრცე ჰქონია ჰრომსა!--მაგრამ შენცა და მეც, ორთავეს მამა ჩვენებისაგან გაგვიგონია: „სცხოვრებდაო ბრუტუსი როდესღაც... ის არ მოითმენდაო, რომ ჰრომში ყოფილიყო ამისთანა მეუფე.

ბრუტუსი. კასსიუს, შენ რომ ჩემი სიყვარული გაქვს, ეს ვიცი, რაზედაც მოგყამს ლაპარაკი--მაგასაც ზოგს გულის-

ხმას მოვდივარ, ჩემს აზრსა მაგაზედ და ჩვენს დროებაზე გეტყვი შემდგომ, და არა ეხლა; და ესრედ, გთხოვ ცოტაოდენი მოითმინო. რაც შენა სთქვი, მაგ სუყოველიფერზე მოცალების დროს ვიფიქრებ; გამზადებული ვარ შემდგომაც დაგიგდო ყური: ვიპოვნით ჩვენ დროებასა, რომ ერთმანერთი ვნახოთ და მოვილაპარაკოთ ამ უწარჩინებულესს საქმეზე. და ჩემო კეთილშობილო მეგობარო, დარწმუნებული იყავი, რომ ბრუტუსი განმზადებულია უმალ შეიქმნეს გლეხკაცი, ვიდრე ჰრომის მოქალაქე იმ სამძიმო პირობაებით, რომლითაც ეხლანდელს დროებას უნდა ჩვენი შეპყრობა.

კასსიუსი. მე მოხარული ვარ, რომ ჩემმა ულონო სიტყვებმა შენს გვამში მაგდონი ცეცხლი გააძლიერა. (შემოვლენ ცეზარი და იმისი მაახლებელნი.)

ბრუტუსი. სირბილი გათავდა, და ცეზარიც გამოჩნდა.

კასსიუსი. როდესაც აქ ხალხმა ჯგუფად გამოიაროს, შენ კასკას სახელო დასწიე; დეე გვიამბოს ჩვენა, იმ უცხვირპირომა, რა იყო თამაშობის დროს შესანიშნავი.

ბრუტუსი. კარგი, ვკითხამ. აბა, კასიუს, შეხედე, რა ნაირი მრისხანეა ცეზარის სახე. და ვინც თან ახლავან გამჴრთხალი ნახირივით არიან, კალფურნია ფერ-წასულია, ციცეროს თვალები ენთება, უწითლდება და უბრწყინავს, როგორათაც კაპიტოლიაში, როდესაც სენატორები დაუწყობენ ხოლმე წინააღმდეგ ლაპარაკსა.

კასსიუსი. ჩვენ კასკა გვეტყვის, რაც მომხდარა.

ცეზარი. ანტონიუს!

ანტონიუსი. ცეზარია?

ცეზარი. მე მსურს, რომ მყვანდეს. მე გარშემო დაუდევა-

რი ხალხი, მსუქანი, რომელთაც ღამე ეძინებოდეთ; კასსიუსი საშინელი მჭლე არის და გამომშეული შეხედულობით! ეს ძალიან ბევრსა ფიქრობს...არ არიან სანდონი იმისთანა ხალხი.

ანტონიუსი. ოჰ, ნუ გეშინიან, ცეზარო არის საშიშარი: ეგ კეთილშობილი და გონიერი ჰრომაელია.

ცეზარი. ეს რომ ყოფილიყო უმეტესად სქელი.....მაგრამ მე კი არ მეშინიან; ვსთქვათ მე რომ შეშინების ნიჭი მქონდეს, მაშინ მე ისე არავის მოვერიდებოდი, როგორათაც კასსიუსსა: მეტად ბევრსა კითხულობს! ეს არის ყურის-მგდებელი და გასჭვირავს სხვის საქმესა თავის გამჭრიახი შეხედულობითა; არ უყვარს სეირის ყურება, მუზიკა სძულს; იშვიათად იცინის და მაგისი ღიმილი თითქო თავის თავის დაცინებას ნიშნამსო, შეურაცხ-სამყოფელია ის კაცი, რომელიც დამდაბლებულია ღიმილამდისინ. მაგისთანა ხალხი ყოველთვის დაუდეგარები არიან, იმათ ეჯავრებათ, თუ ვინმე იმათზე წინ არის, ამის მიზეზით არიან საშიშარნი. მაგრამ მე ვამბობ მხოლოდ იმასა, რაც საშიშარია, მეკი თვითონ არ მეშინიან. მე ყოველთვის ცეზარი ვარ. გადმოდი მარჯვნივ? ამ ყურით არ მესმის? — და მითხარი, რას ფიქრობ შენ ამაზე? (ცეზარი თავისი მაახლებლებით გავლენ. კასკა დარჩება.)

კასკა. შენ დამწიე პლაშჩი: შენ გინდა მელაპარაკო რაზედმე?

ბრუტუსი. გვითხარი ჩვენა, რა მოხდა დღესა, რათ არის ცეზარი ისე მწუხარე?

კასკა. შენ იყავი იმასთანა, თუ არა ყოფილხარ?

ბრუტუსი. რომ ვყოფილვიყავი, მაშინ ხომა კასკასაც აღარა ვკითხამდი ამბავსა.

კასკა. ცეზარს მიართვეს გვირგვინი; ცეზარმა აჰკრა ხელის ზურგი გვირგვინსა, აი ესრე; და ხალხმა ფრიადის სიხარულით დაიყვირა.

ბრუტუსი. მეორეთ რისათვის შეჰქნეს ყვირილი?

კასკა. ისევ იმავე მიზეზისათვის?

კასსიუსი. სამჯერ იყო ხმაურობა: მესამედ რაღათ ყვიროდნენ?

ბრუტუსი. განა სამჯერ მიუტანეს იმას გვირგვინი?

კასკა. ჰო, სწორედ; და სამჯერვე მოიშორა თავიდგან ხელითა, და სამჯერვე სულ უფრო და უფრო დუნეთა სცემდა ხელსა, და ყოველს იმის მოძრაობაზე, ჩემი ღირსეული მეზობლები მაღალის ხმით ყვიროდნენ.

კასსიუსი. ვინ მიუტანდა ხოლმე იმას გვირგვინსა?

კასკა. ანტონიუსი.

ბრუტუსი. საყვარელო კასკა, გვიამბე ეგ როგორ იყო.

კასკა. დარჩობის ღირსი შევიქმნა, თუ მე შემეძლოს ამ ამბის თხრობა. ის ამბავი სრულს მასხარაობასა ჰგავნდა. და მე ყური არ მიგდია. მე დავინახე რომ, მარკუს ანტონიუსმა მიართვა იმას გვირგვინი, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ სრული გვირგვინიკი არ იყო, პატარა იყო რაღაცა,--და როგორც წეღან გითხარით, ცეზარმა ხელის კვრით მოიშორა ისა. და მეკი ასე მეჩვენა, რომ იმას ძალიან უნდოდა გვირგვინის მიღება. მაშინ ანტონიუსმა მიართვა გვირგვინი მეორეთ და კიდევ ცეზარმა ხელი უკრა და მოიშორა, მაგრამ როგორც მე შევნიშნე იმან ძალიან მოუწადინებლად მოაშორა გვირგვინს თითები. ბოლოს ანტონიუსმა მიართვა გვირგვინი მესამედ, ცეზარმა კიდევ მიღების უარი სთქვა,

ყოველს იმის უარის თქმაზე მდაბიო ხალხი საშინლად ყვიროდა, ტაშს უკრამდა თავისის დაკვლანჯული ხელებითა, ისროდა ზეით თავისს ოფლით გათხუპნულს არახჩინებსა და რადგანაც ცეზარმა უარი თქვა გვირგვინის მიღებისა ხალხმა გამოსცა იმდენი მყრალი ორთქლი, რომა ცეზარი კინალამ არ დაირჩო: იმას შემოეყარა გულს და წაიქცა. რაც მე შემეხება, მე ვერ გავბედე, რომ გამეცინა, ამისათვის, რომ პირის დაღების დროს არ ჩამეყლაპა ცუდი ჰაერი.

კასსიუს. მაიცა, შენი ჭირიმე. შენ ამბობ, რომ ცეზარს გული წაუვიდა?

კასკა. ის დაეცა შუა მეიდანზე, პირიდგან დორბლი გადმოუვიდა და გრძნობა აღარა ჰქონდა.

ბრუტუსი. არ არის საკვირველი, იმას ავი ჭირი სჭირს.

კასსიუსი. არა, ეგ ავადმყოფობა იმასკი არა სჭირს; გვჭირს ჩვენა: მე, შენ და პატიოსანს კასკას.

კასკა. არ ვიცი რა გინდა სთქვა მაგითი; მხოლოდ ცეზარიკი წაიქცა. დეე, მე ვიყო ცრუ, თუ რომ უმსგავსო ხალხს არ დაეკრას ტაში და არ დაეწყოს შიშინი, როგორც აკტიორებს დაუწყებენ ხოლმე ტიატრში, იმის დაგვარად მოსწონდათ იმათ თუ არა.

ბრუტუსი. და გონებაზე რომ მოვიდა იმან რა სთქვა?

კასკა. გულს შეწუხების წინად, როდესაც შენიშნა სიხარული ხალხისა გვირგვინის მიღების თქმაზე, იმან დამწია მე კალთა, რომ მე გამეხსნა იმისათვის ტანისამოსის ღილები და გამომეჭრა მე იმისათვის ყელი. მე რომ ვყოფილვიყავი რომელიმე ხელოსანთაგანი,--ქვეშკნელს ჩავარდნილვიყავი, თუ არ გამეტყუნებია ამ სიტყვით. შემდგომ ის წაიქცა

როდესაც მოვიდა გრძნობაში, იმანა სთქვა თუ ან ვსთქვი რამეო ან მოვიქმედეო წინააღმდეგი, ეს ყოველივე პატიოსანმა მოქალაქებმა ჩემს ავად-მყოფობას მიაწერონო. სამმა თუ ოთხმა ქალმა, რომელნიც ჩემს გვერდზედ იდგნენ, დაიძახეს: „ოჰ, კეთილო სულო!“ და აპატიეს იმას სრულის გულით. მაგრამ, რა ყურის საგდებელნი არიან ისინი: ცეზარს, რომ ყელი გამოეჭრა იმათი მშობლებისათვის, ისინი მაინც კიდევ იმასვე მოიქმედებდნენ.

ბრუტუსი. და მას შემდგომ ის ისე ცუდ-გუნებით წავიდა?

კასკა. დიახ.

კასსიუსი. ციცერონს ხომ არა უთქვამსრა?

კასკა. ჰო; იმანა სთქვა ბერძნულად.

კასსიუსი. მაინც რა სთქვა?

კასკა. ღმერთმა მეორეთ ნუ მაჩვენოს თქვენი პირის სახე, თუ მე შემეძლოს იმისი თქმა. იმათ, ვინც მიხვდნენ იმის ლაპარაკსა, გაუღიმეს ერთმანერთსა და თავები გაიქნიეს; იმისთანა ლაპარაკი ჩემთვისკი წარამარა იყო. მე შემიძლიან გიამბოთ თქვენა კიდევ ზოგიერთი ახალი ამბავი: მარულლიუსსა და ფლავიუსსა პირები დაუცეს, იმისთვის, რომ ისინი ჰგლეჯდნენ ცეზარის სტატუების მორთულობასა. მშვიდობით. იქ მოხდა კიდევ ბევრი უმართებულობა, მაგრამ ყველა აღარ მახსოვს.

კასსიუსი. შენ ჩემთან დარჩები ვახშმათ, კასკა?

კასკა. არა, მე მიწვეული ვარ.

კასსიუსი. მაშ ხვალ სადილათ?

კასკა. რა გაეწყობა, თუ ცოცხალი ვიქნები, ან თუ შენ არ დაიშლი შენს განზრახვასა და შენი სადილი ჭამის ღირსი იქმნება.

კასსიუსი. მაშ მოლოდინი მექმნება შენი.

კასკა. კარგი. მშვიდობით. (გავა.)

ბრუტუსი. რა გულგრილი შეიქმნა ეს კაცი? და სასწავლებელშიკი გამჭრიახი იყო და სიცოცხლით სავსე.

კასსიუსი. ეხლაც ისევ ისეთია, როდესაც შეუდგება ყოვლად გასაბედავსა და კეთილშობილურს საქმის აღსრულებასა, თუმცა შეხედულობით გულ-გრილად ზარმაცია. იმაში ეს მოდუნება არის ჩართული მახვილგონიერებისაგან, ის აძლევს იმისს სიტყვას განსხვავებულს ფასსა.

ბრუტუსი. ჰო, მართალია. მე ეხლა შენ დაგტოვებ, და ხვალ, თუ გინდა ჩემთან მოლაპარაკება, მე მოვალ შენთან, ან არა და შენ მოდი ჩემთან, მე შინ დაგიცდი.

კასსიუსი. მაშ მე მოვალ და შენ მოიფიქრე. (ბრუტუსი გავა). დიახ, ბრუტუს, შენ კეთილშობილი ხარ. მაგრამ მე ვხედამ, რომ შენი პატიოსანი ბუნება შეიძლება გაფუჭდეს გარეშეთ განვლინებისაგან. ამისათვისაც საჭიროა, რომ კეთილშობილურის გულისანი ყოველთვის თავისს მსგავსებთა საზოგადოებაში უნდა იყვნენ ხოლმე: ვისი სიმაგრე დაუდგება წინა მაცთურებასა? მე ვეჯავრები ცეზარს, ბრუტუსიკი უყვარს. მაგრამ, მე რომ ბრუტუსის მაგიერად ვიყვე და ბრუტუსი ჩემს ადგილასა, მაშინაც არ შეეძლო ცეზარს ჩემი მოჯადოება. მე ვეცდები ამაღამ ბრუტუსის ფანჯარაში შევაგდო რამდენიმე ბარათი, სხვა და სხვა ნაირ ხელზე დაწერილი, ვითამც სხვა და სხვა მრავალთ მოქალაქეებთაგან: იმ ბარათებში დაწერილებით გამოვაცხადებ იმ უაღრესს ქებასა, რომლითაც ჰრომისაგან არის შემკული ბრუტუსის სახელი და ამასთანავე კილოკავად სიტყვას შადუკრამ ცეზარის

პატივის მოყვარებაზე. — მაშინ — ვაი შენი ბრალი ცეზარო: შენ, ჩვენ უნდა ძირს გადმოგაბძანოთ, თუ არა და ჩვენ ცუდი საქმე მოგვივა! (გავა.)

გამოსვლა მესამე.

იქვე. ქუჩა. ქუხილი და ელვა. შემოვლენ ერთი ერთმანერთის პირდაპირ კარებიდგან კასკა ხმალ ამოღებული და ციცერო.

ციცერო. გამარჯვება, კასკა. შენ ცეზარი სახლამდინ მიიყვანე? რა განცვიფრებით იყურები? რას ქლოშინებ აგრე?

კასკა. ოჰ, დაიჯერო შენ გული დამშვიდებული გაქვს როდესაც დედა-მიწა თავისის საფუძველით ცახცახებს ისე, როგორათაც სითხელე რამე? ოჰ, ციცერო! მე ბევრი მინახამს ქარიშხალი, როდესაც მხოლოდ ერთის ქარის შემობერვით მაგარი მუხები იმტვრეოდნენ; მინახამს, როდესაც ამპარტავანი ოკეანი, მძაფრად აქაფებული, მჭექელი ღრუბლის სიმაღლემდის ადიოდა, მაგრამ ჩემს დღეში არ შემთხვევია მე სიარული ცეცხლებრ მღელვარე წვიმაში, მფოთი ხომ არა არისრა ცაში, ან ღმერთები ხომ არ გააწყრომა ქვეყანამ და იმითი ეწია უბედურებასა?

ციცერო. რა ნახე შენ განსაკურველი?

კასკა. მე ვნახე, რომ ერთს მონასა, იმას სახეზე შენ იცნობ,—ზევით აეშვირა მარცხენა ხელი, რომელზედაც ცეცხლი ეკიდა და ალი ასდიოდა ისე, როგორათაც ათს ერთად ანთებულს ჭინჭლილსა, მაგრამ არა გრძნობდა ცეცხლსა და ხელი დარჩა უვნებელი. კიდევ (მას აქეთ ჩემი მახვილიც

ამოღებული მაქვს ქარქაშიდგან) კაპიტოლიის გვერდზედ შევხვდი ლომსა. იმან შემომხედა მე და წავიდა იქით პირ-ქუშად და დამაგდო დაუზარალებელი. შემდგომ ზედ წავაწყდი, შეჯგუფულს ბარე ას გადაფითრებულს ქალსა. შიშს მოეღრიჯა იმათი პირის სახე, და იმათ შემომფიცეს, რომ თვითონ ენახათ ხალხი ცეცხლ მოგზნებულს ქუჩაში მიდი-მოდიოდნენო. და გუშინ ბუ ზედ შუა დღისას მეიდანზე დამჯდარიყო და დაეყვირნა. როდესაც ამისთანა განსაცვიფრებელი ამბები სულ ზედი-ზედ მოხდება, დეე ნუ იტყვიან, რომ „ეს ესრე უნდა იყვესო, ეს ჩვეულებითი ამბავიაო“: მეკი ვიტყვი,—ეს არ არის კარგი ნიშანი.

ციცერო. ჰო, საკვირველი დროებაა; მაგრამ ხალხი თავისებურათ ახსნის ხოლმე ზოგიერთს საქმესა, და შენიშნავს ესეთს აზრსა, რომელიც არ მიემსგავსება იმის მნიშვნელობასა. მოვა თუ არა ხვალ კაპიტოლიაში ცეზარი?

კასკა. მოვა: ანტონიუსს უბრძანა შეგატყობინოს შენა, რომ ხვალ მოვა კაპიტოლიაში.

ციცერო. ღამე მშვიდობისა, კასკა: ქარიშხალიანი ამიდია, ეხლა სეირნობის დრო არ არის.

კასკა. მაშ მშვიდობით. (ციცერო გავა, კასსიუსი შემოვა).

კასსიუსი. ვინ არის ეგა?

კასკა. ჰრომაელი.

კასსიუსი. ის უნდა იყვეს, როგორც ვატყობ ხმაზე.

კასკა. შენ კარგი ყურთა-სმენა გაქვს. ოჰ, კასსიუს, რანაირი ღამეა ესა.

კასსიუსი. ფრიად სასიამოვნო პატიოსანთათვის.

კასკა. აბა ვის შემთხვევია ენახოს ცა ესრეთი მრისხანე

შეხედულობისა, როგორც ამაღამ არის?

კასსიუსი. იმას, ვინც იცის, რომ დედა-მიწა აღვსილია ბოროტებითა. მეკი უშიშრად დავბროტიალებდი ქუჩებში, საშინელს კუკუნათში, ღილებ გახსნილი, როგორცა მხედამ; გული გადვიღეღე მეხისათვის, ელვას დაუდექ მე ნიშნად, როდესაც ის ლაჟვარდის ფრად გაკრთომილი ბეგონებოდა ცას აპობდა.

კასკა. რისთვის შეგყავდა შენა ცა განსაცდელში! თრთოლა და წრწოლა შეშვენის ხალხსა, როდესაც ჩვენ გასაოცრად ღმერთები, თითქო ამ საკურველი სასწაულთ მოქმედებისათვის, გვიგზავნიან თავისს მრისხანე წინად-მომთხრობლებსა.

კასსიუსი. შენ, კასკა, მოშვებულ ხარ, შენში აღარ არის სიცოცხლის ნაპერწკალი, რომელიცა ჰრომაელებში უნდა იყვეს, ან საქმეში არ მოგყავს. ფერ-ნამკრთალი, ველურად იყურები, გეშინიან და გიკვირს ცის უხიაკობა, მაგრამ შენ, რომ დაუფიქრდე ნამდვილს მიზეზსა, ამ პრწყინვალე ელვასა, მოჩვენებაების გამოცხადებასა, და მფრინველები, ნადირნი, რისთვისა შლიან ბუნების კანონსა, თავისს ნიჭიერებასა. და სულელი მოხუცებულები და ბავშვები რისთვის შეიქნებიან ხოლმე წინასწარმეტყველებათა; რისთვის გამოიცვალენ ესრედ ეს საგნები და გადუდგნენ თავისს წესდებულებასა და მნიშვნელობასა, რომელიც წინათვე იმათა დანიშნული ჰქონდათ, ამისთანა საშინელი შეხედულობის მისაღებად, მაშინ შენ მიხვდებოდი, რომ უზენაესმა ჩაუდგა იმათ ამისთანა მაშფოთარი სული, რომ ისინი შეიქმნენ მრისხანების წარმამადგინებლად და ჩამამგონებელად მამავალის უბედურებისა. მე შემეძლო დამესახელებინა შენთვის კაცი, მსგა-

ვსი ამ საშინელი ღამისა, რომელიც ისვრის მეხსა და ელამს; საფლავებსა ხდის და როგორც ლომი ღრიალებს კაპიტო-ლიაში; ის თავისი საკუთარი ძლიერებით ვერა გვჯობია ჩვენა, მაგრამ რაღაც საკურველი სულიერი გახდა და მრი-სხანე, როგორათაც სუსხი ამ ღამისა.

კასკა. შენ ცეზარზე ამბობ, რასაკვირველია?

კასსიუსი. ვინც უნდა იყვეს. ჰრომაელებსა ასო და შენა ძარღვნი ისევ ისეთი აქვსთ, როგორათაც იმათს წინაპართა, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი! ჩვენში მოკვდა ჩვენი მამების სუ-ლი და დედების უღონო სული გვმართამს; უღელს ქვეშე მყოფნი და ტანჯვაში ჩვენ შევიქენით ქალაჩუნები.

კასკა. მართლაც, მე გავიგონე—ხვალ სენატორებს უნდა-თო ცეზარის ხელმწიფედ დასმა, რომელსაც უნდა ჰქონდესო გვირგვინი ხმელეთად და ზღვაზე იტალეთის გარდა.

კასსიუსი. ჰო, ეხლაკი ვიცი საითაც უნდა მივმართო მახვილი. კასსიუსი თვითონ განამთავისუფლებს თავისს თავ-სა მონებიდგან. თქვენ ღმერთნო, უღონოს მიეცით ძალა, ვერც გულის შემხუთავი სატუსალო, ვერც კოშკის კედელი, ვერც რკინის ზღუდე, ვერც ბორკილი, ვერ შეიძლებენ სუ-ლის კვეთების შეკავებასა და დატანჯულს სიცოცხლეს, ამ საცოდავი სასჯელებისაგანა, აქვს სრული უფლება სამარადი-სოთ მოშორდეს იმათ.

კასკა. მეც სწორეთ აგრეთვე; და ყოველს ტუსაღს აქვს უფლება ბორკილისაგან განთავისუფლებისა.

კასსიუსი. მაშ ცეზარი რათ შეიქმნა მტარველად? საწყალი! ალბათ, ის არ შეიქმნებოდა მგელი, თუ ჰრომაელნი არ იყვნენ ცხვრები და ლომი — თუ არა სცოდნოდა, რომ ჰრო-

მაელები არიან მშვლები. დიდი ცეცხლის საჩქაროთ ასანთებლად ჩალას მოუკიდებენ: ჰრომი, რა ნაგავია, რა ღვარძლია, რომ შესანთებელი იყვეს გასანათლებლად ისეთი შეურაცხი სულიერისა, როგორიც არის ცეზარი?--მაგრამ სადამდინ არ მივყევარ მე მწუხარებასა! იქნება, ამას ყოველისფერს ვამბობდე მე თავის ნებით დავრდომილ მონასთანა, ოჰ, ეს თუ მართალია, მაშ დამჭირდება პასუხის გება ამ ლაპარაკისათვის; მაგრამ მე შეიარაღებული ვარ--მე ვერაფერი შემაშინებს.

კასკა. შენ კასკას ელაპარაკები: ის არ არის მაბეზღარი, აი ჩემი ხელი. კეთილი იყავ, იმოქმედე მოულალავად ბოროტების მოსასპობლად, და მე სხვას უკან არავის ჩამოვრჩები.

კასსიუსი. მაშ პირობა გადაწყვეტილია. გაიგეკი, კასკა, რომ რამთენიმე კეთილშობილ ჰრომაელთაგანი მე მოვიმხრე ამ საქმის აღსასრულებლად; რომელიც არის მეტად საშიში და სადიდებელი. ისინი მე მელიან პომპეიუსის ნავთ-სადგურზე. ამისთანა ღამეში ქუჩაში სიარული არ შეიძლება; ეხლა ცას მრისხანე შეხედულობა აქვს და ჰაერი სუნთქავს სისხლით და ცეცხლით, როგორათაც ჩვენი განზრახვა. (შემოვა ცინნა).

კასკა. მოიცა, კასსიუს: ვიღაც მოდის ჩქარის ნაბიჯითა.

კასსიუსი. ის არის ცინნა. მე სიარულზე ვიცნობ. ეი, ცინნა! საით მიეჩქარები?

ცინნა. შენ გეძებ. ეგ ვინ არის? ციმბერი ხომ არ არის?

კასსიუსი. არა, ეს არის კასკა. — ჩვენი კაცია. — მე ხომ არ მიმელიან, ცინნა?

ცინნა. მე ძალიან სასიამოვნოთა მაქვს. ოჰ, რა ნაირი საშინელი ღამეა! ჩვენთაგანს ერთს ვისმე საკვირველი ამბავი უნახამს.

კასსიუსი. გამიგონე ცინნა, მე ხომ არ მელიან?

ცინნა. გელიან. ოჰ, კასსიუს, შენ რომ მოახერხებდე ბრუტის მომხრობასაცა...

კასსიუსი. დარდი ნუ გაქვს, ცინნა. აი წაიღე ეს პატარა ქაღალდი; დასდე სკამზე, სადაც შეეძლოს ბრუტუსსა ამისი პოვნა; და ესკი წმინდა სამთლით მიაკარი უმფროსი ბრუტუსის სტატუიაზე; და შემდგომ მოდი შენა, პომპეიუსის გემთსადგურებში, სადაც დაგვხვდებით ჩვენცა; იქ არიან დეციუსი და ტრებონიუსი?

ცინნა. ყველანი იქ არიან, მხოლოდ ერთის მეტელიუს ციმბერის გარდა: ის შენთან წამოვიდა სახლში. — ეხლა მე გავეშურები ამ ქაღალდებით, შენი ბრძანების აღსასრულებლად.

კასსიუსი. როდესაც ყოველიფერი აღასრულო, მაშინ მოდი პომპეიუსის ტიატრში. (ცინნა გავა). ჩვენკი, კასკა, ბრუტუსი უნდა ვნახოთ. იმისი სამი ჩარექი ეხლა ჩვენია; პირველს შეხვედრაში სრულიად ჩვენი იქნება.

კასკა. ოჰ, მთელს ხალხს გულით უყვარს ისა; რაც ჩვენში დანაშაულად ეჩვენებოდა სხვასა, ის იმისი სახელითა, როგორც მისნობით, ნამსახურად და კეთილმოქმედებათ მიიღებდა.

კასსიუსი. შენ სწორეთა სჯი ბრუტუსის მნიშვნელობაზე, და იმაზე რა მიუცილებელად საჭიროა ის ჩვენთვისა. ეხლა შუა ღამე გადასულია და ჩვენ როგორც ირაჟრაჟებს ფეხზე უნდა წამოვაყენოთ ბრუტუსი, რომ გავათაოთ საქმე. (გადიან.)

## მოქმედება მეორე.

### გამოსვლა პირველი.

იქვე ბრუტუსის ბაღი. შემოვა ბრუტუსი.

ეი, ლიუციუს! ეი! მე არ შემიძლიან ვარსკვლავებზე შევატყო დღის მოახლოვება. ეი, ლიუციუს! რა იქენ? ნეტავი მე ვიყვე ეგრეთი მძინარა... და რა იქენი ლიუციუს? გაიღვიძე! ეი! ლიუციუს! (შემოვა ლიუციუსი?)

ლიუციუსი. შენ მეძახოდი მე?

ბრუტუსი. ჰო. ჩემს ოთახში აანთე სანთელი და მითხარი როდესაც აანთო.

ლიუციუსი. ბატონი ხარ.

ბრუტუსი. მხოლოდ იმისი სიკვდილით შევიძლიან აღვასრულოთ ჩვენი აზრი. მაგრამ მე იმისი ჯავრი არა მჭირს რა; მე საზოგადო სარგებლობას მივსდევ. იმას გვირგვინი სურს — ეს არის საქმე: გამოუცვლის განა იმას ის გვირგვინი ხასიათსა? დღის სინათლეზე ქვემძრომლნი გამოცოცდებიან, მაშინ ფეხ ქვეშ უნდა ვიყურებოდეთ. გვირგვინი დავადგათ? ძალიან კარგი. — ამითი მივსცემთ ჩვენ იმას შხამიან ნესტარსა, და მაშინ ის თავის ნებაზე მრისხანებით მოგვექცევა. დიდებულება საძნებელია, როდესაც ძლიერებისაგან არის დაყრუებული ჩვენში სვინიდისი. ცეზარზე მე სიმართლით უნდა ვსთქვა, მე არას დროს არ შემინიშნავს, რომ იმაში ვნება უფრო ძლიერი ყოფილიყვეს იმის გონებაზე. მაგრამ გამოცდილება გვასწავებს, რომ თავის-დამდაბლება ჰგავს კიბესა ახალი პატივის-მოყვარეთათვის: ასვლის დროს

პირს მიაქცევენ კიბისაკენ, და როდესაც ავლენ ზურგს შეა-ქცევენ, დაუწყებენ ყურებასა ღრუბელსა და შეურაცხებით ექცევიან საცოდავ კიბის საფეხურებსა, რომლის შემწეობი-თაც სიმაღლეზე ავიდნენ. ეს შეიძლება ცეზარსაც ასე შეემ-თხვეს, და უნდა დავასწროთ ამ გვარს შემთხვევასა. მართა-ლია, რაც არის ეხლა ისა, იმაში არა გვაქვს მტრობის მი-ზეზი. მაგრამ მიუგდოთ თვალყური იმასა, რომელ სამზღვ-რამდინ მივა ისა, როდესაც განძლიერდება იმისი მნიშვნე-ლობა: ჩვენ იმას უნდა უყურებდეთ, როგორც გველის კვე-რცხსა: ამა მიეცი ნება იქიდან ნამყოფის გამოსვლასა, და ნახე რამდენს ზარალსა იქს ისა თვისის ბოროტის ბუნებითა. სჯობს გველი მოვკლათ კვერცხის ნაჭუჭშივე! (შემოვა ლი-უციუსი),

ლიუციუსი. სანთელი ავანთე შენს ოთახში, ტალის ძე-ბნაში აი ეს წიგნი ვიპოვნე ფანჯარაში; მე დაწოლის დროს ეს არ მინახამს, მე ეს კარგათ მახსოვს. —

ბრუტუსი. წადი, დაიძინე — ჯერ არ გათენებულა. ხვალ ხომ არ არის მარტის იდი?

ლიუციუსი. მე არ ვიცი.

ბრუტუსი. მაშ ჩახედე კალენდარში და მითხარი მე.

ლიუციუსი. ემ საათში.

ბრუტუსი. ეხლა ჰანრში მოშიშინე მეტეორების სინათ-ლეზე ადვილია წაკითხვა. (გახსნის წიგნსა და კითხულობს). „ბრუტუს, რათა გძინამს? გაიღვიძე, სცან შენი თავი, დავი-ჯერო ჰრომში უნდა... ამოიღე ხმა, განმეხე, უშველე. — რასა გძინამს შენა, ბრუტუს? გაიღვიძე!“ ამისთანა შემოკვე-თნა ბევრჯელ შემთხვევია მენახოს. „დავიჯერო ჰრომში უნ-

და... ამოიღე ხმა, განმეხე, უშველე!“ ესრე ამბობს, გასამეხავათ მიწოდებენ მე? ოჰ, ჰრომო! შენ გპირდები ამასა, და თუ მე შენი დასხნა მოვახერხე, მაშინ შენ მიიღებ სუყოველისფერს რასაც ითხოვდი, სუყოველისფერს, რაც არის ბრუტუსის ხელში!

ლიუციუსი. მეთხუთმეტე რიცხვი მარტისა დგება. (ესმის რახუნი.)

ბრუტუსი. მაშ. კარგი. ნახე ალაყაფის კარები, ვიღაც არახუნებს. (ლიუციუს მიდის). მე არა მძინებია მას შემდეგომ, რაც კასსიუსმა მე ცეზარის წინაალმდეგი გამხადა: სრული დროება პირველის ნაბიჯის გადადგომიდგან დაწყობილი საშინელის საქმის შესრულებამდისინ ჰგავს მოჩვენებას, შემაშფოთებელს სიზმარსა; აქ სულს მამაკვდავ სხეულთან აქვს რჩევა და კაცი ჰგავს სახელმწიფოს, საზოგადო ანღრევისაგან დატანჯულსა. (შემოვა ლიუციუსი.)

ლიუციუსი. იქ შენი ძმა კასიუს კარებთანა დგას და იმას შენთან ლაპარაკი უნდა.

ბრუტუსი. მარტოკა არის ისა?

ლიუციუსი. არა, მარტოკა არ არის, იმასთან სხვანიც არიან.

ბრუტუსი. ვინ არიან? შენ იმათ ვერ იცნობ?

ლიუციუსი. ვერა, ვერ ვიცნობ: ქუდები ყურებზედ აქვსთ ჩამოფარებული, სახე ნახევრამდისინ ტოგებით (*) აქვსთ დაფარული, ასე რომ ვერასგზით ვერ შევიძელი იმათი ცნობა, ვერასფერი შევნიშნე.

ბრუტუსი. დეე შემოვიდნენ. (ლიუციუს გავა). ისინი უთუ-

(*) ტოგა ზემოდამ წამოსასხამია.

ოთ ცეზარის წინააღმდეგ შეპირებულნი არიან. ოჰ, შეპირებავ! შენ გრცხვენიან გამოაჩინო შენი საშინელი შუბლი ღამის სიბნელეშიაცა, რომელიც აძლევს ბოროტ-მოქმედებასა მომატებულს თავისუფლებასა? ოჰ, თუ ეს ესრეა, მაშ სად იპოვნი ნაპრალსა, სადაც შეგეძლოს შენა დამალვა დღისით შენის შესაზარელი სახისა? ნურც ეძებ. მოაფარე იმას ღიმილი და ალერსი; და თუ მოინდომებ სიარულს ბუნებითის შეხედულობით, მაშინ კუკუნათი სიბნელე ესრეთის ეჭვისაგან ვერ დაგმალავს? (შემოვლენ კასსიუსი, კასკა, დეციუსი, ცინნა, მეტელიუსი, ციმბერი და ტრებონიუსი.)

კასსიუსი. გამარჯვება, ბრუტუს, შენ ჩვენ გაგაღვიძეთ, იქნება უდროვოთ მოველით?

ბრუტუსი. მთელი ღამე არა მძინებია და ერთი საათი იქნება რაც ავდექი. კასსიუს, ვსცნობ მე ყველას ამ ხალხსა, რომელნიც შენ მოგყვნან?

კასსიუსი. ოჰ, რასაკვერველია, შენ ყველას იცნობ ამათა. არ არის აქ კაცი, რომელიცა შენი პატივისმცემელი არ იყვეს. და ყველას ამათ, ერთობ, სურთ რომ შენ შენ თავზე იყვე იმ აზრისა, როგორი აზრისაც არის ყოველი კეთილშობილი ჰრომაელი. ეს არის ტრებონიუსი.

ბრუტუსი. სასიამოვნოა ჩემთვის.

კასსიუსი. აი, დეციუს ბრუტუს.

ბრუტუსი. აგრეთვე ეგეც სასიამოვნოა ჩემთვის.

კასსიუსი. ეს არის კასკა, აი ეს — ცინნა, ეს — ციმბერი.

კასსიუსი. ეგენი ყველანი ჩემი დიდად სასიამოვნონი არიან. მითხარით მე — რა ზრუნვაა გაუწყვეტელი ღამის ძილსა და თქვენს თვალებს შორის?

კასსიუსი. მოგვეცემ ნებასა გითხრათ ორი სიტყვა? (ჩურჩულობენ)

დეციუს. აი აქეთ არის აღმოსავლეთი: განთიადი ხომ არ არის ჯერა?

კასკა. არა, დეციუს.

ცინნა. მე ვიტყვი ჰო; ამ ნისლის ფრათ ცაზე გაგძელებულს ადგილზე ჩვენ შეგვიძლიან ვნახოთ დღის მოახლოვება.

კასკა. აღვიარეთ, რომ ორნივენი შესცდით თქვენა; აი იქედგან, საითაც მე მახვილით გაჩვენებთ, ამოდის მზე. თუ წლის დროებას მივიღებთ ანგარიშში, მზე დაწეული იქნება სამხრეთისაკენ; და ორი თვის შემდგომ — ჩრდილოეთისაკენ აიწევს, და პირველი მზის სხივი აქ გამოჩნდება; ნამდვილი აღმოსავლეთი — ჩვენს პირდაპირ არის, სწორეთ იმ მხარეს, სადაც არის კაპიტოლია.

ბრუტუსი. თვითო თვითოთ მამეცით ხელი.

კასსიუსი. და დავიფიცოთ ჩვენ იმ საქმის აღსრულებაზე, რაც განძრახვა გვაქვს.

ბრუტუსი. არა, საჭირო ირ არის ფიცი. თუ ხალხს წინაშე განსაკიცხავია, თუ ჩვენი სულის ტანჯვა არ არის ჩვენი გასამართლებელი ამ უბედურს დროებაში,--თუ ეს ყოველივე ძალ დატანება ულონო არის, მაშ დავიშალნეთ თავის დროზე; დეე ყველამ მიატანოს ამ საათში აქედგან თავის უქმ სარეცელსა... და თუ--როგორც დარწმუნებული ვარ მე--საკმაო ცეცხლი აქვს გამჯდარი ჩემსგან მოხსენებულს მიზეზებსა, მისთვის რომ აანთო თვით უკანასკნელი მხდალი კაციცა და გულადობით შეამაგროს გული დედაკაცისაცა,--მაშინ რაღა საჭიროა სხვა ნაირი ძალდატანება ან-

ღრეევისათვის? ეს საკმაოა ჩვენგან კისრად მიღებულს საქმეში; რაღა თავდები გვინდა ჩვენა, სიტყვის მეტი? ჰრომაელებმა პირობა მისცეს ერთმანერთსა და არას დროს არ გაიბრუნდებენ გულსა; რა შეფიცება არის საჭირო პატიოსნების მეტი, პატიოსნება, რომელმაც პატიოსნებისავე წინაშე [ი]კისრა თავისი აზრის შესრულება, ან შეწირვა თავისი თავისა მსხვერპლად? არა, დეე ფიცი დასდვან მხოლოდ ქურუმებმა და მხდლებმა, თუნდ ხალხმა ორგულმა, თუნდ უღონო მოხუცებულებმა და სიცოცხლე გამოკლებულებმა და სულიერნი, რომელნიც ხალისიანად ექვემევრდომებიან ხოლმე უსამართლოებასა,--ბოროტ საქმეში იფიცვენ საეჭვო ხალხნი;--და რისთვის უნდა დავასვათ ლაქა ჩვენის ქველობის დაწყობილებასა და მიუდრეკელი სულის ძალასა იმ აზრით, რომ ჩვენს განზრახვას ეჭირვება ფიცითი შეკრულება? განა ყოველი ცვარი სისხლი ჰრომაელის ძარღვში უკანონო არ შეიქნება, როდესაც მოცემულის პირობისას არ აასრულებს თუნდა ერთს იოტის ოდენსა წილსა!

კასსიუსი. განა არ არის საჭირო ჩვენ შევიტყ[ოთ] — რა აზრი აქვს ამაზე ციცეროსა? მე ვგონებ, ის ჩ[ვე]ნ დი[დ]ს შემწეობას მოგვცემს.

კასკა. ნუ მოვირიდებთ ჩვენ იმასა.

ცინნა. რასაკვირველია.

მეტელიუსი. მაგ საქმეზე ჩვენ ზრუნვა გვმ[არ]თებს; იმისი ვერცხლებრივი თმა ჩვენს სასარგებლოთ შეიქმს საზოგადოების აზრსა და ხალხს მოაწონებს ჩვენს მოქმედ[ებ]ასა. ყველანი იტყვიან ამ საქმეში გვახელთმძღვანებდა სიბრძნე ციცეროსი; ჩვენი სიჭაბუკე და სიქარიანე აღარ გამოჩნდება:

ყოვლისფერი დაიფარება იმის უმაღლესობით.

ბრუტუსი. არა, ჩვენ იმას არ ვაცნობებთ ამ ამბავსა: ის არ მიუდგება არც ერთს საქმესა, რომელიც დაწყობილია სხვისაგან და არა იმისაგან.

კასსიუსი. მაშ იმას თავი დავანებოთ.

კასკა. ეგ მართალია, ის არ ვარგა.

დეციუსი. აი კიდევ საქმე: განა ჩვენ მხოლოდ ცეზარი უნდა აღმოვფხვრათ და სხვას არავის შევეხოთ?

კისსიუსი. ეგ კარგს დროს იკითხე შენა, დეციუს, ჩემის აზრით, არ უნდა დარჩეს მარკუს ანტონიუსი, ცეზარის საყვარელი, ცოცხალი, ცეზარის საკვდილს შემდგომ. ის შეიქნება ჩვენი გაუკითხავი მტერი; თქვენ იცით, რომ თუ ყოველი თავისი ღონისძიება მოიხმარა, შეუძლიან ჩვენ ძალიან გაგვაბას; ამ ბოროტების თავიდგან მოშორებისათვის— დეე ცეზართან აღმოიფხრას ანტონიუსიცა!

ბრუტუსი. არა, ძალიან სისხლიანი საქმე იქნება, თავმოჭრილს კაცს დანარჩენი ნაწილებიც რომ დააჭრა! რათ უნდა განძვივნება მკვდარს სხეულზე? ანტონიუსის მოკვლა არ არის საჭირო, რომ ყასპები არ დაგვიძახონ, ჩვენ მსხვერპლსა ვსწირავთ — იცოდეს ქვეყანამ: ცეზარის სულის წინააღმდეგნი ვართ, და კაცის სულში სისხლი არ არის. ოჰ, ცეზარის მოუკლავად, რო შეგვეძლოს იმისი სულის დაპყრობა! მაგრამ ის, ვაჰ! — ამისათვის ტანჯული, უნდა მოკვდეს სისხლის ღვრითა. მოვკლათ ჩვენ ის გაბედვით, მაგრამ გაურისხებლად, როგორათაც მსხვერპლი, შეწირული ღმერთებისათვის, ნუ დავგლეჯთ ლუკმა ლუკმათ, როგორათაც ლეშსა, მშიერი ძაღლებისათვის გადასაყრელსა. დეე

ჩვენი გული მოიქცეს ისე, როგორათაც ის მცბიერნი, რომელთაც წააქეზეს თავისი მონები ბოროტთ-მოქმედებაზე, და შემდგომ თვითონვე ლანძღვა დაუწყეს საჩვენებლად—იმითი ეს ჩვენი მოქმედება საზოგადოების აზრით მიუცილებელ საჭიროებათ შეირაცხება, და არა ბოროტათ, და ჩვენ დაგვიძახებენ მხსნელად და არა მკვლელებად. მარკუს ანტონიუსი?... ნუ იფიქრებთ იმაზე: ის საშიშარი არ არის, როგორათაც არ არის საშიშარი ცეზარის ხელი, როდესაც ჩვენ იმას თავს მოვსჭრით.

კასსიუსი. მეკი მეშინიან იმისი; იმას ღრმად აქვს დანერგილი გულში ცეზარის სიყვარული.

ბრუტუსი. მოასვენე ისა, კეთილო კასსიუს! იმას რაც შეუძლიან, მხოლოდ იმას შეეხება; ის ცეზარზე ინაღვლებს და იქმნება მოკვდეს ნაღვლით. და ესეც ბევრია გართობისა, ქეიფისა და დიდი საზოგადოების მოყვარულისათვის,

ტრებონიუსი. ის საშიშარი არ არის. არა, დეე ნუ მოკვდება მარკუს ანტონიუსი, ის იცოცხლებს და შემდგომ თვითონ იცინებს ამაზე. (უკრამს საათი).

ბრუტუსი. ჩუმად! საათი უკრამს; დათვალეთ.

კასსიუსი. სამი დაჰკრეს.

ტრებონიუსი. დრო არის ჩვენი დაშლისა.

კასსიუსი. ჯერ საეჭვოა, მოვა თუ არა ცეზარი; ცოტას ხანს შემდგომ შეიქმნა ცრუდ-მორწმუნე და თავის აზრზედ უკან დადგა სასწაულთ მოქმედებაზე და მოჩვენებაზე: იქნება კაპიტოლიაში არ მოვიდეს დღესა, მსწრაფლად შეშინებული წუხანდელი საშინელი ღამის მოჩვენებაებითა და თავისი ავგურების წინად-მოთხრობითა.

დეციუსი. ნუ გეშინიანთ, მე მოუხერხებ იმასა, თუ აგრეა. იმას უყვარს ანდაზა, რომ „ჩვენ ვიჭერთ მარტორქას ხეებითა, ლომებს ხაფანგით, დათვებს სარკეებით, სპილოებს ორმოებით, ადამიანს — პირ-მოთნეობით.“ როდესაც ვეუბნები ხოლმე მე, რომ იმას პირმოთნე კაცები არ უყვარს, მაშინ ის კმაყოფილებით ამტკიცებს ხოლმე ამ რწმუნებასა და ვერ მიმხვდარა ამ უალრესს პირ-მოთნეობასა. მამანდეთ ეს საქმე მე: მე იმას ისეთს გუნებაზე დავაყენებ, რომ კაპიტოლიაში მოვიყვან.

კასსიუსი. არა, ყველანი წავიდეთ იმასთანა.

ბრუტუსი. ასე, რვა საათზე? ამაზე გვიან ხომ არა?

ცინნა. ჰო; მაგრამ ამ ვადაზედ მივიდეთ.

მეტელლიუსი. კაიუს ლიგარიუსი? თქვენ ის დაგავიწყდათ? ის უკმაყოფილოა ცეზარზე, რომელსაც ერთხელ საყვედური ეთქვა პომპეიუსის ქების სათვის.

ბრუტუსი. მაშ წადი შენ იმასთან, მეტელლიუს, იმას მე ძრიელ უყვარვარ,--ამას მიზეზი აქვს,--და გამოგზავნე აქა, მე იმას მოველაპარაკები.

კასსიუსი. დილაა: ჩვენ დაგტოვებთ, ბრუტუს. (სხვებს). მაშ წავიდ-წამოვიდეთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასა, რაც სთქვით, დაამტკიცეთ, რომ თქვენ ჰრომაელნი ხართ.

ბრუტუსი. კეთილნო მეგობარნო, მიიღეთ კეთილი მხიარული სახე, რომ ჩვენი აზრი გარეგანმა შეხედულობამ არ გამოამჟღავნოს; წარმოვადგინოთ როლი, როგორათაც ჰრომაელმა აკტიორებმა, მშვიდობიანათ და გულ-გრილად. მშვიდობით! (ყველანი ბრუტუსის გარდა გავლენ.)

ეი. ბიჭო! ლიუციუს!--გძინამს? დაიძინე, ისიამოვნე ტკ-

ბილის ძილითა; შენ არ გელანდებიან ძილში სიზმრები და მოჩვენებანი, რომელთაც კაცის ტვინში გამოხატამს ხოლმე დაუდგრომელი ზრუნვა, აი რასათვისა გძინამს აგრე მაგრათა. (შემოვა პორცია.)

პორცია. ბრუტუს!

ბრუტუსი. რას ნიშნავს, პორცია? შენ ამდგარ ხარ! შენის ულონო აგებულობით ცივი დილის ნესტისაგან შეიძლება ძალიან ავათ გახდე.

პორცია. არც შენ გარგებს, ბრუტუს. მალვით დაგიგდია ჩემი ლოგინი შენ დღესა. გუშინჯი ვახშმის დროს, შენ უცეფ წამოხტი და დაიწყე სიარული ოთახში, გულ-ხელ დაკრეფილი, ოხრამდი, და ფიქრობდი რაღაცაზე... როდესაც მე გკითხე--რას ნიშნამს მეთქი ეგა, შენ მრისხანეთ შემომხედე მე, და მეორე კითხვაზე მოუთმენელად ფეხი დამიბრაგუნე და კისერი მოიქექე; მესამეთ პასუხი არ მომეცი, მაგრამ მრისხანეთ მანიშნე ხელითა, რომ გაგცლოდი და მეც წავედი, მეშინოდა არ გამერისხებინე მე მოუთმენელობით აღგზნებული: მე ვფიქრობდი, რომ იქნება ცუდს გუნებაზე იყავი, როგორათაც შეემთხვევა ხოლმე ზოგჯერ კაცსა. მაგრამ შენ არცა სჭამ, არცა გძინამს, არც ლაპარაკობ, და შენი ზრუნვა რომ ისე მოქმედებდეს შენს სხეულზე, როგორც შენს სულზე, მაშინ მე შენ ველარ გიცნობდი. ჩემო საყვარელო, მითხარი შენის მწუხარების მიზეზი.

ბრუტუსი. მე არა ვარ კარგათა: აი სრული მიზეზი.

პორცია. არა, ბრუტუსი კეთილგონიერია: ავად რომ ყოფილიყო მაშინ იწამლებდა.

ბრუტუსი. მე აგრე ვშვრები. წადი, ქალო, დაიძინე.

პორცია. ბრუტუსი ავად-არის — და სავნებელი არ არის იმისათვის ფალარათათ სიარული და შესუნთქვა ნოტიო დილის ნამისა? როგორ! ბრუტუსი ავად არის და თბილს ლოგინს ჩუმათ თავი დაანება ამ ცივი ღამის ჰაერისათვისა, რომელიც სავსეა მავნებელი ოშხივარითა, თავის ავად მყოფობის გასაძნელებლად? არა, შენ ავათა ხარ სულით, საყვარელო ბრუტუს: როგორათაც ცოლსა უფლება მაქვს ვიცოდე შენი ავად-მყოფობა. მე შენ მუხლ მოდრეკილი გაფიცებ ჩემს უწინდელს ჩინებულს სიმშვენიერეს, შენს სიყვარულს და იმ პირობით შეკრულებას, რომელმანცა ჩვენ, ერთად შეგვაერთა: ამიხსენ, რათა ხარ აგრე დაფიქრებული; რა ხალხი იყო აქ შენთანა, — ექვსი თუ შვიდი კაცი? — ისინი ასე გამინჯე ღამის სიწყვდიადესაც კი არიდებდნენ პირის სახესა.

ბრუტუსი. ადექი, პორცია, ადექი, კეთილო მეუღლე.

პორცია. მე არ ვიქნებოდი დაჩოქილი, შენ რომ კეთილი ბრუტუსი ყოფილიყავი. მითხარი მე, ბრუტუს, დავიჯერო ჩვენი ქორწინებით პირობა გვაქვს დადებული, რომ მე შენი საიდუმლო არას დროს არ უნდა გავიგო; დავიჯერო მე შეგიერთდი შენა მხოლოდ ერთის წილით, ზოგიერთს ხარისხამდინ, როგორათაც მაგალითებრ, მე უნდა მივიღო მონაწილეობა ლოგინში და საჭმელ სასმელში, ხანდისხან — გელაპარაკო? მაშასადამე მე ვსცხოვრებ შენ გულს მოშორებით, ქალაქის გარე უბანში და არა ქალაქში? (*) ოჰ, ეს თუ ასეა, მაშასადამე პორცია ბრუტუსისა

(*) გამაგრებულს ქალაქების გარე უბანში იყო შექსპირის დროს ხავანე ცუდის ყოფაქცევის ქალებისა.

ხასაა, და არა ცოლი.

ბრუტუს. არა, შენ სრული ღირსეული ცოლი ხარ ჩემი და ისე სანუკვარი, როგორათაც წითელი სისხლი, რომელიცა მე გულს ტალღასა მცემს.

პორცია. ოჰ, ეგ რომ მართალი იყვეს, მაშინ გავიგებდი მე შენს საიდუმლოს. მე, მართალია, ქალი ვარ, მაგრამ ხომ თვითონ ბრუტუსმა შემქმნა თავის ცოლობის ღირსი; მე ქალი ვარ, მაგრამ მე ვარ კატოს ქალი. ამისთანა მამისა და ქმრის ხელში, დავიჯერო მე არ უნდა ვიყვე სხვა ქალებზე უგულადესი? ალვიარე, ბრუტუს, შენი გულის განზრახვა. და თავის დღეში მე იმას არ გამოვამჟღავნებ. მე ჩემი გულის სიმაგრე დავამტკიცე მით, რომ ჩემის ნებით გვერდი გავიჭერი: დავიჯერო ის იარა მოთმინებით ავიტანე და ქმრის საიდუმლოს ვერ დავფარავ?

ბრუტუს. ოჰ, ღმერთნო, მამეცით მე ღონე, რომ შევიქნა ღირსი ამ კეთილშობილი ცოლისა. (ისმის კარების ბრახუნი.)

სუ! დაუგდე ყური! კარებს ვიღაც გვიბრახუნებს. ერთს წამს, გადი აქედგან, პორცია, შემდგომ გეტყვა ჩემი გულის სიტყვასა. მე შენ გაგირკვევ ჩემს ზრუნვასა და საიდუმლოს ჩემის სახის მწუხარებისას. ჩქარა დამანებე მე თავი. (პორცია გავა; შემოვლენ ლიუციუს და ლიგარიუს).

ლიუციუს. ვინ არის მანდ?

ლიუციუსი. ვიღაც ავადმყოფს უნდა შენი ნახვა.

ბრუტუსი. ო! ეგ კაიუს ლიგარიუსია, რომელზედაც მეტელლიუსი მეუბნებოდა. ლიუციუს, დაგვანებე ჩვენ თავი. რას იტყვი, კაიუს ლიგარიუს?

ლიგარიუს. მიიღე სალამი ჩემი უღირსი პირისაგან.

ბრუტუსი, ოჰ, რა უადგილოთა გაქვს შენ თავსსაკრავი! ნეტავი ავად არ იყო, კეთილო კაიუს!

ლიგარიუსი. არა ვარ ავად, თუ ბრუტუს აქვს რამე წინა განძრახვა რომლისამე ღირსეული საქმის აღსრულებისა.

ბრუტუს. ჰო, მაქვს, ლიგარიუს, თუ შენი ყურთა-სმენა საკმაოდ ჯანზეა ამის გასაგონრად.

ლიგარიუსი. მე ჩემს ავად-მყოფობას მოვიხსნი, ვფიცამ ღმერთებსა; გულო ჰრომისაო! ღირსეულო შვილის შვილო განთქმული წინა-პარებისა! როგორათაც მოგვმა მისნურის გამოწვევით,შენ ჩემი მოკლულ გული გააცოცხლე. მიბრძანე და მეც ვეცდები აღვასრულო ისიც, რაც შეუძლებელია. რა უნდა ვქნა მე?

ბრუტუსი. ისეთი საქმე, რომელიცა ავად-მყოფებს ჯანზედ მოიყვანს.

ლიგარიუსი. ხომ არავინ არიან ისეთი კარგად-მყოფები, რომელნიც ჩვენ ავად უნდა გავხადოთ?

ბრუტუსი. მაგისთანაებიც არიან. ვის რა უნდა უყოთ ჩვენა, ან როგორა — ამას მე გზა-გზა გიამბობ.

ლიგარიუსი. მაშ წავიდეთ ჩქარა. რა არის ჩემი აღსასრულებელი ეს მე არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ისიც საკმაოა, რომ ჩემი წინამძღვარი არის ბრუტუსი.

ბრუტუს. მაშ, წამომყე მე! (გავლენ.)

## გამოცხადება მეორე.

ოთახი ცეზარის სახლში. ელვა და ჭექა. შემოვა ცეზარი საღამურის ტანისამოსითა.

ცეზარი. არც ცას, არც დედამიწას მთელი ღამე მოსვენება არა ჰქონდათ, და სამჯერ ჩემმა ცოლმა სიზმარში დაიძახა: „მიშველეთ! ვაი! ცეზარსა ჰკლენ!“ — ეი, ვინა ხარ მანდა? (შემოვა მსახური). უთხარი ქურუმებსა, ღმერთებს მსხვერპლი შესწირონ და მამიტანე იმათი პასუხი.

მსახური. მივდივარ. (შემოვა კალფურნია.)

კალფურნია. როგორ ცეზარო, შენ ემზადები წასასვლელად? არა, შენ დღეს შინიდგან კარში არ უნდა გახვიდე.

ცეზარი. მე წავალ, მე არ მეშინიან მუქარებისა? ისინი მე უკანიდგან მიყურებდნენ, და როდესაც დაინახვენ ცეზარის პირის სახესა, მაშინ ყველანი გაჰქრებიან.

კალფურნია. ცეზარ, თავის დღეში მე წინასწარ-მოსწავება არა მჯეროდა, ახლაკი იმისი მეშინიან. იმას გარდა რაც თვითონ ჩვენ ვნახეთ და გავიგონეთ, ამ საათში მიამბეს მეტად მრისხანე და საშინელი მოჩვენება უნახამთ წუხელი გუშაგებსა. მე გავიგონე, რომ ძუ ლომს ლეკვები დაუყრია შუა ქუჩაში, კუბოები ახდილან და მკვდრები ამოუყრია კუბოებსა; ცეცხლის ჯარის კაცნი ომობდნენ ღრუბლებზე ჯგუფათა და წყობილ დასტა დასტატა, ომის წესზე და მათი სისხლი წვეთდა კაპიტოლიაზე: როგორათაც ქარის გრიგალი, ომის ხმა ჰაერში ისმოდა, ისმოდა ცხენების ჭიხვინი, კვნესოდნენ მამაკვდავი კაცები, და ბლავილით და ღმუილით ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ მოჩვენებაები. ოჰ, ცეზარო! ეს ყოვლად ლიევე გასაოცარია; ამისთანა სასწაულთ მოქმედება მაშინებს მე.

ცეზარი. განა შეიძლება კაცმა აიცილოს ისა, რაც ღმერთებს გადაუწყვეტიათ თავისი ძლიერი თათბირის დროსა?

არა, მე წავალ: ეს ნიშნები ხომ მარტო ცეზარს არ შეეხება, საყოველთაოა.

კალფურნია. გლახაკის სიკვდილის წინათ ჩვენ ხომ ვერა ვხედამთ კუდიან ვარსკვლავსა, მაგრამ აღგზნებული ცა წინად-გვაუწყებს ხოლმე მთავრების სიკვდილსა.

ცეზარი. მხდლები იხოცებიან რამდენჯერმე სიკვდილს წინათ, და გულადიკი მოკვდება მხოლოდ ერთხელ. ყოველ საკვირველებათაგან, რამდენიც მე გამიგონია, ყველაზე გან-საკვირველი ჩემთვის ის არის, რომ რათ უნდა ეშინოდეს კაცსა, როდესაც იცის წინათვე, რომ სიკვდილი, მიუცილებელი ჩვენი დასასრული, გვეწევა დანიშნულს საათში. (შემოვა მსახური.) რა სთქვეს ქურუმებმა?

მსახური. რომ შენ არ უნდა გახვიდე დღეს გარეთა: დაკლული ზვარაკის შიგნეული გამოიღეს და იქ იმათ გული ვერ იპოვნეს.

ცეზარი. ეგ ღმერთებს უქნიათ, რომ სიმხდლე შეარცხვინონ. სულმოკლე ადამიანი იქნებოდა ცეზარი რომ შიშით, შინ დარჩენილიყო. მაგრამ ცეზარი არ დარჩება. შიშმა იცის რომ ის იმაზე უფრო საშიშარია. მე და შიში ორი ლომი ვართ: ერთს დღეს დავიბადენით, მაგრამ მე უფრო უფროსი ვარ იმაზე და მრისხანეცა. არა, მე წავალ.

კალფურნია. ვაჰმე! რო შენში, ცეზარო, აღმოფხვრილია სიბრძნე გულ-დარწმუნებისაგანა. ნუ გახვალ, და თუ შენ ისეთი გამბედავი ხარ, მაშ ჩემმა შიშმა დაგიჭიროს შინ შინა. ანტონიუსი გავგზავნოთ სენატში შესატყობინებლად, რომ შენ დღეს ავათა ხარ. მამეცი ნება დაჩოქილმა გთხოვო ესა.

ცეზარი. დეე აგრე იყოს. უთხრას მარკუს ანტონიუსმა,

რომ მე ავათა ვარ; შენი გულისათვის დავრჩები. (შემოვა დეციუსი) აი დეციუს ბრუტუსი: ეს მიუტანს ამ ამბავსა.

დეციუსი. სალამი ღირსს ცეზარს, და მოგილოცამ დილა კარგად ყოფნას. მე მოვედი შენს სენატში მისაწვევათ.

ცეზარი. კაი დროს მოხვედი. მოახსენე ჩემს მაგიერათ მოკითხვა სენატორებსა და ამასთანავე უთხარი იმათა, რომ შეყრილობაში მე არ მოვალ დღესა; იმისათვისკი არა რომ მე არ შემეძლოს ან მეშინოდეს: ერთიც და მეორეც ტყუ-ილი იქნებოდა; არ მინდა წაბოსვლა, — სწორეთ ასე უთხა-რი იმათ, დეციუს.

კალფურნია. უთხარი, რომ ავათ არისთქო.

ცეზარი. როგორ! ცეზარი ტყუილს იტყვის? იმისთვის ხომ არ გამვარდნია მე გამარჯვების ხმა, რომა ბერიკაცებ-თან მართლის თქმისა მეშინოდეს. უთხარი დეციუს: „ცეზა-რი არ მოვათქო.“

დეციუსი. ყოვლად შემძლებელო ცეზარო, მამეცი ნება გავიგო მიზეზი; თუ არა და სასაცილოდ ამიგდებენ, იმათ რომ აგრე უთხრა.

ცეზარი. მიზეზი არის ჩემი ნება. არ მინდა წასვლა--ესეც საკმაოა სენატისათვისა. მაგრამ საკუთრად შენ და შენის სიყვარუ-ლისათვის, მე შენ გეტყვი იმ მიზეზსა: ჩემი ცოლი არ მიშვებს შინიდგანა. იმას უნახამს სიზმარი, ვითომ ჩემს სტა-ტუიას ბარე ას ადგილს სდიოდა უსუფთავესი სისხლი. შა-დრევანის მსგავსად, და ჰრომაელნი, მხიარულად შეკრებილნი სიცილით, იმ სისხლში ხელებს იბანდნენ: ჩემი ცოლი ამა-სა ჰრაცხს წინასწარ-მეტყველებად. მამავალი უბედურებისა-გან გასაფრთხილებლად; იმან მუხლის-თეით მთხოვა, რომ

დღეს მე შინიდგან კარში არ გავიდე.

დეციუსი. ეგ სიზმარი სწორეთ ვერ აუხსნიათ; ეგ არის ნათელი, ბედნიერი მოვლინება. სისხლი, რომ გადმოდიოდა შენს სტატუიასა მრავილი ნახვრეტიდგან და ჰრომაელნი ჯგუფად, სიცილით, იბანდეენ ხელებსა.--ეს სუყოვლისფერი ჰნიშნავს, რომ დიდს ჰრომს დაალევინებ შენა სისხლსა ცხოვრებისასა, და ხალხი განთქმული გარეშემო შემოგეხვევიან, რომ მიიღონ იქიდგან თავისი ფერი, და განსხვავების ნიშნებიცა; აი როგორ უნდა გაიგონოთ ეგ სიზმარი!

ცეზარი. შენ კარგად ახსენი სიზმარი, დეციუს.

დეციუსი. შენ ამას დაერწმუნები, როდესაც გაიგებ, რასაც მე გეტყვი. გაიგე, ცეზარ: სენატორებმა გადასწყვიტეს რომ შენ დღეს გვირგვინი მოგართვან; და შენ თუ იმათ შეატყობინებ, რომ დღეს არ მოხვალ სენატში, იმათი განძრახვა შეიძლება გამოიცვალოს. და ამასთანავე,--ეს შემთხვევა შეიძლება სასაცილოთ გააკეთონ; შეიძლება სთქვან: „მოვშალოთ სენატის შეყრალობა ვიდრე იმისი ცოლი ნახავდეს კეთილს სიზმარსა“, და თუ, ცეზარო. დაიმალები,--დავიჯერო ისინი ჩურჩულს არ დაიწყებენ: „აი, ცეზარს ეშინიანო!“ მამიტევე მე. ცეზარო, ამას გეუბნები შენის ყოველ გვარი ბედნიერებისათვის. შენმა სიყვარულმა გადააჭარბა ჩემს გონებასა.

ცეზარი. რა გასაოცრად უნდა გეჩვენებოდეს, კალფურნია ეხლა შენი შიში! მრცხვენიან, რომ მე შენ დაგიჯერე. მამეცი პლაშჩი. მივდივარ. (შემოვლენ პუბლიუსი, ბრუტუსი, ლიგარიუსი, მეტელლიუსი, კასკა ტრებონიუსი და ცინნა.) და პუბლიუსიც ჩემს დასაძახებლად მოსულა.

პუბლიუსი. გამარჯვება ცეზარო.

ცეზარი. გაგიმარჯოს, პუბლიუს. როგორ, ბრუტუს, შენც ასე ადრე ამდგარხარ? გამარჯობა, კასკა. ოჰ, კაიუს ლიგარიუს, ცეზარი თავის დღეში ისეთი მტერი არა ყოფილა შენი როგორც ციება: რა ნაირად გამხდარხარ! მერამდენე საათია ეხლა?

ბრუტუსი. რვა დაუკრა.

ცეზარი. გმადლობთ პატივის-ცემისათვის, თქვენის გარჯისათვის. (შემოვა ანტონიუსი.) უყურეთ! აი ანტონიუს; ღამით ქეიფსა სწევს, მაგრამ ამდგარა კიდეცა... ანტონიუს, დილა კარგად ყოფნისა.

ანტონიუსი. აგრეთვე თქვენი მსურს, ჩემო კეთილშობილო ცეზარო.

ცეზარი. უთხარი, რომ მოემზადნონ იქა; მე მრცხვენიან, რომ მე ამდენს ხანს მელიან. ო, ცინნა! მიტელლიუსიც! ტრებონიუს!... კაი დროს მოხვედი. შენთან უნდა მოვილაპარაკო, გახსოვდეს, რომ შენ ჩემთან უნდა მოხვიდე. ჩემს სიახლოვეს, რომ მე არ დამავიწყდეს.

ტრებონიუსი. ვეცდები (იქით). ისე ახლო დავდგები, რომ ყველა შენს მეგობრებს სურდესთ, რომ შორს ვიდგე.

ცეზარი. მეგობრებო, შემოდით აქა. ცოტა ღვინო დავლიოთ და, როგორც მეგობრები, ყველანი ერთად წავიდეთ.

ბრუტუსი. ვერ შეუფარდე სწორეთ. ოჰ, ცეზარო! მაგ აზრისაგან სტკივა გული ბრუტუსსა!

გამოსვლა მესამე.

იქვე. ქუჩა კაპიტოლიის მახლობლად. შემოვა არტემიდოროს ბარათის კითხვით.

ართემიდოროსი. „ცეზარო, მოერიდე ბრუტუსსა, თვალყური უგდე კასიუსსა, ნუ მიუახლოვდები კასკასა, თვალი ადევნე ცინნასა, ნუ ენდობი ტრებონიუსსა, შენიშნული გყავდეს მეტელლიუს ციმბერი. დეციუს ბრუტუსს შენ არ უყვარხარ, კაიუს ლიგარიუსი შენგან გულ დამწვარია. ესენი ყველანი ერთს პირობაზე არიან ცეზარის წინააღმდეგად. თუ შენ უკვდავი არა ხარ, გაფრთხილებული იყავი. რწმუნება შემწეა შეთქმულობისა. და დაგიხსნან შენ ყოვლად შემძლებელმა ღმერთებმა!

მეგობარი შენი ართემიდოროსი."

ართემიდოროსი. აქ მე ცეზარის გზაზე დავდგები და როდესაც გაივლის მივცემ ამ ბარათსა. როგორათაც მოჩივარი. სწუხს ჩემი გული, რომ კეთილმოქმედება ვერას დროს ვერ ასცდება შურის-ძიება. შენ ცოცხალი დარჩები, თუ ამ წიგნის წაკითხვა მოახერხე, თუ არა და--თვითონ შენი ბედისწერაც ერთად მოღალატებთან წინააღმდეგია შენი! (გავა.)

გამოსვლა მეოთხე.

იმავე ქუჩის მეორე წილი, ბრუტუსის სახლის წინ. (შემოვლენ პორცია და ლიუციუსი.)

პორცია. გთხოვ შენ, ჩქარა გაიქეცი სენატში, ნუ იგვიანებ; ტყუილათ რაღას ლაპარაკობ? გაიქე ჩქარა! რაღასა დგეხარ?

ლიუციუსი. მისთვის, რომ გავიგო, რისთვის უნდა გავიქცე.

პორცია. ლიუციუს, მე მინდა, რომ შენ იქ მიხვიდე და

ისევ დაბრუნდე, ვიდრე მოვასწრობდე მე იმის თქმასა, რა უნდა აასრულო შენ ეხლა. ოჰ, სიმაგრეო სულისაო, მომეც მე მხენობა! დაადგინე კლდე გულსა და ენას შორის; ჩემშია ქმრისა გულოვნება და ქალური სისუსტე--რა ძნელია ქალისათვის საიდუმლოს დაფარვა! შენ აქვე ხარ?

ლიუციუსი. მა რა ვქნა მე? გავიქცე სენატში--და მეტი არაფერი? შემდგომ დავბრუნდე — მეტი არაფერი?

პორცია. გაიგე, შენი ბატონი კარგად არის თუ არა: ის ავადმყოფი წავიდა; და აგრეთვე ნახე, ცეზარი რასაშვრება, და ბევრი მაჩივარი ხალხი ახვევია გარშემო. ჰო.... დაუგდე ყური ეს რა ყვირილია?

ლიუციუსი. მე არაფერი მესმის, ქალბატონო.

პორცია. გთხოვ, კარგად დაუგდო ყური. მე მესმის რალაც ხრიანცლის ხმა იქნება ჩხუბი იყოს,--და თითქო კაპიტოლიიდგან ქარს მოაქვს.

ლიუციუსი. მე, სწორეთ არაფერი მესმის, (შემოვა მთხრობელი.)

პორცია. აქ მოდი საყვარელო, სად იყავი?

მთხრობელი. მე? ჩემს სახლში.

პორციი. მერამდენე საათია.

მთხრობელი. საცაა ცხრა შესრულდება, ქალბატონო.

პორცია. ცეზარი? წავიდა კაპიტოლიაში?

მთხრობელი. ჯერ არა. მე მინდა იმას აქ მოუცადო.

პორცია. შენ იმასთან სათხოვარი გაქვს, განა?

მთხრობელი. მაქვს, თუ ცეზარს თავის თავის სიკეთე უნდა და ყურს დამიგდებს. მინდა ვსთხოვო, რომ თავისი თავის მეგობარი იყვეს.

პორცია. როგორ, განა აქვსთ რამე იმის წინააღმდეგი ბოროტი განზრახვა? შენ იცი?

მთხრობელი. მე არ ვიცი რა იქნება, მაგრამ მეშინიან მე ბევრისა რისამე, რაც შეიძლება რომ მოხდეს. მშვიდობით; აქ ქუჩა ვიწროა, იმას გამოყვებიან სენატორები და პრეტორები, მოჩივარნი გარემემო ჩორჩქალს დაიწყობენ. და ულონო კაცს ისინი მუჯლუგუნებით სულს ამოართმევენ მე წავალ ფართო ადგილის მოსაძებნად, სადაც შემეძლოს ცეზართან მოლაპარკება.

პორცია. მე ეხლა შინ უნდა შევბრუნდე....რა ულონოა ქალის გული! ოჰ, ბრუტუს! ღმერთი იყო შენი შემწე, შენი საქმის აღსრულებაში! (თავის-თავათ) უიჲ! ბიჭს ესმის, (ხმა მაღლა) ბრუტუსს ცეზართან სათხოვარი აქვს; უთუოთ ცეზარი უარს ეტყვის. გული მიწუხდება... ოჰ! გაიქეცი ლიუციუს, ჩემი ქმარი მოიკითხე ჩემს მაგიერათ, უთხარი რომ მე არა ვარ სასო წარკვეთილი, შემდგომ დაბრუნდი და პასუხი მომიტანე.

დანარჩენი შემდგომ ნომერში.

მ. ყ.

## ფიქრები საპარადო მისავალთან.

(ნეკრასოვიდამ.)

აი საპარადო მისავალი!
იმ გვარს მაღალსა დღესასწაულს დღეს
ქალაქის ხალხი მთლათ შეპყრობილი
მოახლოურისა მოკრძალებითა,
თრთოლით, კანკალით, მოწიწებითა
მიემურება ამ სშიშს კარებს.
რაკი ჩასწერენ თვისს გვარს და სახელს,
დაბრუნდებიან ყველანი შინა,
მეცემიან სიხარულს ისრეთს,
თითქო ქვეყნისთვის მიეცეთ შველა.
უიმისო დღეს ამავ სასახლეს,
გარს ახვევია ხალხი საწყალი,
მეპროექტენი, მოჩივარები,
მოხუცი, ქვრივი, ალაგთ მთხოვნელნი....
და რომ უყურო ყოველ დილითა,
კურიერები გაცხარებულნი

დარბიან ხელში ქაღალდებითა...
მღერით ბრუნდება ზოგი მთხოვნელი,
ზოგს თვალები აქვს სავსე ცრემლითა.
ერთხელ ვუყურე მე აქ სეირსა:
სოფლის საწყალი გლეხნი მოვიდნენ,
ქუდს მოიხადეს და დასდგნენ შორსა,
ეკკლესიაზედ პირჯვარს იწერდნენ;
შიშისაგანა შეძრწუნებულნი,
სახლის პატრონთან მისვლას ლამოდნენ,
და იდგნენ ისრე თავ ჩაქინდრულნი;
ბოლოს კარები ძლივას გაეღვნენ,
და გამოვიდა კარს შვეიცარი.
„მიგვიშვი“, უთხრეს ღრეჭით გლეხკაცცა.
აავლო-ჩაავლო იმან მათ თვალი,
არ მოეწონა იმას ამათი
დამწვარი სახე, შავი ხელები,
მოკაკულს ზურგზედ ძველი გუდები,
ხის ჯვრები ყელზედ, ფეხეზედ სისხლი,
თელის ქერქისა ქალამანები,
თავის ხელითვე ამოსხმულები.
(სჩანდა რომ იყვნენ შორით მოსულნი)
აქ დაუძახეს უცებ შვეიცარს:
„გარეკე! იცი დიდ კაცს არ უყვარს
ძონძით გლეხკაცი, კან გადამწვარი!“
და მოუხურეს გლეხებსა კარი.
დაფიქრდნენ მწარეთ ეს გლეხკაცები
და გაჰხსნეს ბოლოს მჩვრისა ქისები

ამ შვეიცარის დასაქრთამათა,
ეგებ მიეშვა საჩივლელათა,
მაგრამ იმანა არცკი მოჰხედა:
იცოდა, რომა გლეხკაცს არ ჰქონდა
იმდენი ფული რომ, დაჰხარბოდა
და დაცინებით უკან დაბრუნდა.
დაბრუნდნენ თვითონ გლეხკაცებიცა,
მზის შუქისაგან თავპირ დამწვარნი,
მოსამართლეთა მოიხმეს მათ ცა,
სთქვეს: „ღმერთო იყავ მათი მსაჯული!“
და მინამ მიმიწვდებოდა თვალი
სულ მიდიოდნენ ქუდებ მოხდილი...
ამ დიდი სახლის მქონებელს კია
თავისთვის ტკბილათ და ღრმათ ეძინა...
შენ, რომელსაცა პირფერაობა,
გაუმაძღრობა და არშიყობა,
თამაშობაში გულის გართობა
და ქეიფითა დროს გატარება
მიგაჩნს უდიდეს სიამოვნებათ
გამოიღვიძე! მიხედე საწყალს
ქვეყნით დაჩაგრულს უბედურს გლეხკაცს,
დააბრუნე და ნუგეშეცი მათ!
მაგრამ ბედნიერს სად აქვს ის გული,
რომ ჰქონდეს მწუხარით კაცთ სიბრალული!..
არ გეშინიან ციურის მეხის,
და ქვეყნიერი შენ ხელთ გიპყრია.
ასე ნიადაგ ყოველგან იტაინჯვის,

სადაც ამგვარი გლახა ხალხია.
აბა რათ უგდებ შენ ყურს მათს ტანჯვას!
რათ გაიგონებ ხალხისა დრტვინვას!
მუდამ ქეიფს და დროს გატარებას
შენ ვერ აშორებ საპყარს გონებას.
ან კი რისთვისა? ხალხის დიდება
შენ მჯლაბნავების გართვათ გინდება,
და თვით უხალხოთაც დიდებაში ხარ
და დიდებითაც საფლავს ჩადიხარ.
შეუშფოთებლათ და განცხრომაში
გადგეხრებიან სიბერის დღენი
და მუდამ მყოფსა ტკბილსა ბურანში
განგაცხრომებენ შენ ტკბილნი ხმანი.
მშვენიერს ცის ქვეშ სიცილიისა,
ჩრდილს ქვეშა მსურნელოვანის ხისა,
მზერალი როგორც ლაქვარდათ ჩავა
ოქროს სხივები ბრწყინვალის მზისა,
მზის სხივისაგანვე განბრწყინვებულსა
ლურჯს დამშვიდებულს უბრსკულსა ზღვასა,
და განცხრომილი მიმბნედის ხმებით
მჩქეფარე ტალღის შუამიწის ზღვის,
როგორადაც ბავში გულ დამშვიდებით
შენ მიისვენებ სიტკბოებაში
მზრუნველობის ქვეშ სატრფოს ცოლშვილის,
(რომელიც ელის გულით შენს სიკვდილს),
და მოგვიტანენ ჩვენ აქ შენს გვამსა,
რომ დავაყაროთ მწუხარე ცრემლი.

ამგვარათ ჩახვალ გმირი საფლავსა,
ჩუმათ ყველასგან შეჩვენებული
და ხმა მაღლა კი შიშით ქებული.
ან კი რას ვბოდავთ! როგორ უბედავთ
გლახა ხალხისთვის შეწუხებასა?
არა სჯობიან ხელი მივყოთ მათ;
და შეუტიოთ ისევ გლეხკაცსა!
არა უჭირს რა, რომ მოითმინოს,
გლეხკაცი მაინც დაჩვეულია
და დეე ისევ მან შეიჭიროს,
განა იმისთვის ეს პირველია!..
რა გასცდებიან ქალაქს გარეთა
ერთს ღარიბს სადმე საწყალს დუქანში,
რაც აბადიათ შესჭამენ მთლათა,
მერე კი შორს და საძნელო გზაში
თხოვნის ლუკმითა იკვებებიან
და მწუხარს კვნესის ხმას მოჰყვებიან!...
სამშობლო მხარევ! აბა მიჩვენე,
მე არ მინახავს ისეთი კუთხე,
სადაც მხვნელი და შენი მთესველი,
შენი ერთგული და შემნახველი
საწყალი გლეხი არა ჰკვნესოდეს,
ჰკვნესის ყოველგან მინდორს და გზაში,
ჰკნესის საკანსა და საბნელეთში,
ჰკვნესის მადნების უმძრთო შრომაში:
ჰკვნესის ძნისა და სათივის ქვეშა,
ჰკვნესის ურემს ქვეშ, ღამე გარს მგდები,

ჰკვნესის თავისს საცოდავ ჰერს ქვეშა,
არ უხარიან მას მზის სხივები;
ჰკვნესის დიდსა და მცირეს ქალაქში,
ჰკვნესის ყოველსა სასამართლოში.
აბა გახედე შენ ვოლგის (*) ნაპირს.
რა ხმაა იქ რომ მუშის ხმა ისმის?
ამ კვნესის ხმასა სიმღერა ჰქვიან,
და ამ ხმით ჩვენში შეექცევიან!...
ვოლგავ! ვოლგავ! შენს დიდს წყლობასა
ისე ვერ ავსებ შენს ნაპირებსა,
როგორადც ხალხის საცოდაობა,
მთლათ მოჰფენია ჩვენს ქვეყანასა;
სადაც ხალხია, იქ კვნესა ისმის!
როდის ექნება ბოლო ამ კვნესას,
ხალხი ხელს თავზედ როდის მოისვამს. —
და გაიღვიძებს ძლიერის ღონით;...
ანუ იქნება ის დაემონა
ბუნების ძლიერს სასტიკს კანონსა,
თავისი ძალა კვნესათ აგცია
და თავი მისცა სამუდმოდ ძილსა?.....

ანტონ ფურცელაძე.

---

(*) ვოლგა ყველაზედ დიდი წყალია რუსეთში.

## დაიძინე ჩემო ძმაო!

დაიძინე ჩემო ძმაო, უკეთესი რა იქნება,
ბევრს დაეძებ, შენი მოძმე შიმშილით თუ წინ გიკვდება.
შენ ხომ შენი ვეჯი ნაღდად გიქმნია და ძილს უნდები,
ულუფა შენ ბლომათა გაქვს, ერთხელ ჭლექი აწ სუქდები.
შენთვის ღამე დღედ შექმნილა და დღე ღამედ შეგიცვლია,
ვინ გკითხავს თუ ქვეყნისათვის არაფერი არ გიქმნია.
ქვრივ-ოხერი დავრდომილი, შუადღემდინ კართან გელის,

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მაგრამ შენკი შენებურათ, უზრუნველად ტკბილად ფშვინავ.
საფლავში ხომ ეგრე შენებრ უსარგებლოდ მკუდარსაც სძინავს!
რაც წუხელის მოგხვედრია აშიყობის ურგი ალი,
დღეს ოცნებობ ძილში ძმაო, წინ გიძევს მის გზა და კვალი!...
მოისვენე ჩემო ძმაო, მაზედ კარგი რა იქნება,
და რა გჯის შენ, შიმშილითა ცვირ წინ მოძმე რომ გიკვდება.
ბიჭო! შეგრცხვეს, ქართველი ხარ, რას გარგია შენ ეგ ძილი,
რათ არ იცი, ყველას არ აქვს ქვეშსაგები შენებრ რბილი.
ვინ დაეძებს ქვეშსაგებსა, — აბა ნახე მოძმის გული,
რომე გასჭრა, ჰპოვებ შემჭკნარს, ისე არის შემსჭვალული.
შენკი ძმაო, ინებივრე, რას ეძებ მის გულის კვნესას,
მის გულის ღრღნას, სულის ტანჯვას, და ათას გვარს სხვა ვაებას, —

დაიძინე ჩემო ძმაო, უკეთესი რა იქნება,
ბევრს დაეძებ შენი მოძმე შიმშილით თუ წინ გიკვდება! —

ი. კერესელიძე.

1867 წელსა. ფებერვლის 12.

## სამის თავს გარდასავალები.

(დასასრული.)

### 7.

მთელი დღე მოუთმენლად ველოდი მე სვიმონსა. დაღამდა, სვიმონი არსადა სჩანდა, თითქმის შუაღამემ მოატანა, რომ ჯერ კიდევ არსად იყო. რაკი გადამეღალა იმის ლოდინში თვალები და გამიწყდა ილაჯი, ისევ ვაპირებდი დაძინებასა, რომ შემომესმა ალაყაფის კარების რაკუნი; მე მომიმატა უფრო მოუთმენელმა გულის ცემამ: ახლა ის მინდოდა შემეტყო: სვიმონი იყო თუ არა, ან მამა მოიყვანა თუ არა? პატარა დავაცალოთ, შემოვიდა სვიმონი და შემოიყვანა თან მამა. მე სიხარულისაგან კინაღამ ორთავეს მივარდი საკოცნელათა, მაგრამ მომაგონდა, რომ სვიმონს არ უყვარდა უბრალო ალერსი და შევდექ.

—აჰა, ე შენი მამა!—მითხრა მე სვიმონმა და წამოაყენა მამა წინა.

მამა მაშინ მე მომვარდა სიხარულითა და ჩამომართვა მადლობით ჴელი.

—ძლივს ღმერთმა მომივლინა იმისთანა კაცები, რომელთაც ჰქონიათ ადამიანის სიბრალული და უბრალო კაცის შეწყნარება... ოხ, რა ბედნიერი ვარ ეხლა დავით, რო იცოდე... მაგრამ ბედნიერი უფრო მაშინ ვიქნები, როდესაც მეტოდინება, რომ თქუენ სრულებით გულიდამ ამორეცხილი გექნებათ ჩემი წარსული უნებური ცხოვრება.

—მაგაზედ დარწმუნებული იყავით,—უპასუხეთ ორივემ ერთ ხმივ.

ბოლოს დავსვით მამა. ისე აღვსილი ვიყავით სიხარულითა, რომ თითქმის ვეღარას ვახერხებდი სათქმელათა და სიამოვნებით გავყურე-

ბდით ხშირათ ერთმანეთსა. პატარას ხანს უკან მოგვიტანა გოგიამა ხელ და ხელ ვახშამი. კარგმა კახურმა ღვინომ მალე ამოგვადგმევინა ენები და ბოლოს ისრე გავებით ლაპარაკში, რომ თავზედ დაგვათენ-და და მაშინ ძლივს მოგვაგონდა, რომ ახლა ძილის დროც იყო. ჩუენ ერთი ოთახი მივეცით მაშასა.

ჩუენცა და მაშასაც მალე დაგვეღვიძა ისევა და ვეჩქარებოდით სამ-ნივენი ისევ ერთათ შეყრასა.

—როგორ მოისვენეთ?—ვკითხეთ მე და სვიმონმა ერთათ მაშასა.

—კარგათ, მაგრამ საშინელს, საზარელს სიზმრებში ვიყავით.

—რა ნახეთ სიზმარში? ჰკითხა სვიმონმა.

—კარგათ აღარ მახსოვს. და ესკი მახსოვს რომ მრავალი პატიო-სანი ხალხი შემოგვერტყუნენ ჩუენ სამთავ გარსა, დაგვცინოდნენ რა-ღასაცა და ბოლოს შეგვიპყრეს, ერთი უფსკრულის კლდის პირასა, სადაც დიდს ხანს ვუმაგრდებოდით იმათა და ბოლოს სამნივენი გა-დაგვყარეს კლდეზედა. აქ შიშისაგან გამომეღვიძა და გაღვიძებულსაცკი დიდს ხანს მიცემდა გული: ასრე მეგონა მართლა კლდეზედ გვაგ-დებენ მეთქი.

ჩუენ გავიცინეთ ამ სიზმარზედ.

—უთუოთ გულაღმა გძინებიათ!—უთხარ მე.

—აღარ მახსოვს კარგათა,—მიპასუხა იმანაც სიცილით.

როგორც ეტყობოდა არც ის აძლევდა ამ სიზმარს მნიშვნელობასა. სვიმონ ჩაფიქრდა.

—კლდეზედ გადავარდნისაკი არ ვიცი და სასაცილოთ რომ ვეყო-ლებით ყველასა, მაგაზედ ეჭვი არ არის,.. დეე იცინონ!—წარმოს-თქუა სვიმონმა,

ეს დღე ჩუენ კიდევ მაშას ლაპარაკში გავატარეთ: ვკათხამდით იმ სახლში მყოფების ცხოვრებასა, მდგომარეობასა, დამოკიდებულებასა და სხუა, და ისიც ისე საკვირვლათ კარგათ და მარჯვეთ გვიამბობდა იმ ცხოვრებასა, რომ თითქო განგებ დაწერილი შეუსწავლია ზეპი-რათაო. ეტყობოდა, რომ უყურადღებოთ არ გაეშვა იმას თავისი ცხოვრება და ყველა შესანიშნი ჩაებეჭდა გულში მკვიდრათა.

მეორე დღეს სვიმონმა დაიჭირა სხუა სახლები ერთს მასლობელს ქუჩაში ოც თუმნათ წელიწადში. ამ სახლებს პატარა ბაღჩაცა ჰქონდა ეზოსკენა. სვიმონმა მაშინვე ბარგს დაუწყო ზიდვა.

მე თუმცა სვიმონი მეპატიჟა იმათთან დგომასა, მაგრამ არა ვქენ და დავდექ ცალკე. პურის ჭამაკი მქონდა ისევ იმათთანა.

სვიმონმა დააჩქარა ჯვარისწერა, რომ დედმამამ არ გაიგოს და არ დამიშალონო, მაგრამ რომელს ღვდელსაც მიმართა, ყველამ სხვა და სხვა საჭირო მოწმობაები მოსთხოვეს, ურომლოებოთაც არ შეიძლებოდა ჯვარის წერა, ამაში გავიდა ხანი. ეს ამბავი, რომ სვიმონ ირთავდა იმ გვარის ურიგოს სახლიდამ გამოყვანილს ქალსა, გავარდა ელდასავით ყველგან და ტელეგრაფის უმსწრაფლესათ მიასწია სვიმონის დედმამამდის, იმან მიიღო დედისაცა და მამის წიგნიცა. მამა სწერდა,

«შვილო, სვიმონ! მამაჩემი არ წამიწყენდება, ვერ გამიგია შენი თავის ამბავი! არა შვილო, რა გინდა ჩვენგანა, რაზედ გვასხამ ქვეყანაზედ ლაფსა და რათ გვაგდებ ქვეყნის სირცხვილშია. შე მამაცხონებულო, რამდენი კარგის გვარისა და შეძლებული ოჯახის ქალი გექნებოდა, თუკი აგრე ცოლის შერთვა გინდოდა!... ახლა რაღა ეშმაკის საფრთხეს აუტანი ხარ!... არა, ჩვენ შენგან ამის მეტი აღარა შეგვიძლიან... გვეყოფა ამდენი სირცხვილი და არც გაძლევ მაგის შერთვის ნებასა..., მამა ვარ შენი, მტერი ხომ არა ვარ!—თუ კაცი ხარ და ჯვარს დაიწერ, რასან აგრეა... გირჩევ, მისამარ, ეგ ვიღაცა აგითრევია, გააგდე, თუ საციმბირეთ არ გინდა გაისაჯო ე შენი თავი!...»

დედა სწერდა:

«ჩემო დამტირებელო შვილო, სვიმონ! ჯერ ჩემს დამტირებელს ორთავ თვალებს, შორის გონების თვალით დაგიკოცნი და ღმერთსა ვსთხოვ შენს დიდს ხანს ბედნიერათ ცხოვრებასა, მერე, თუ ჩვენს ანბავს ინებებ, კარგათ გახლავართ. ახლა შენი ამბავი მოგვივიდა, შვილო, რომელმაც ისე შენს მტერსა და დუშმანს მოსწყვიტოს წელი, როგორც ჩვენ მოგვწყვიტა და დაგვაღონა და დაგვამძმარა... რა გინდა შვილო, ჩვენგანა, რაზედა გვჭრი მთელს ქვეყანაში ყელსა! თავათ მთელი ქვეყანა იმას იძახის, რომ შვილი რუსეთში გაზარდეს და სამსახურიკი არ შეუძლიანო,—რომ შენის ჭირვეულობით არა მდომობ სამსახურსა,—და ახლა ეგ ამბავი ხომ უფრო აგვიყაყანებს მთელს ქვეყანასა: მტერსა და მოკეთესა... ხომ ხედავ ქვეყანას ჩვენზედ გაუღია თვალი და შურით თვალები უბრმავდებათ... რაზედ ამოგვადებინებ უფრო თვალში ქვეყანასა... შენი დღენი და ჟამნი ჩვენს

ურჩებასა და უსიამოვნებაში დაგვადამებინე ჩუენი წუთის სოფელი, ახლა სიბერის ჟამს მაინც მოგვისვენე, რომ ცალი ფეხი ცოლსაც და ქმარსაცა სამარეში გვიდგია... . რა გინდა ჩუენგანა, თქუენი ჭირიმე, რაზედა გვხდი ქუეყნის სასაცილოთა და საპამპულოთა! დედამშჳლობამა, შენს დღეში ვეღარ გაიგონებ ჩუენს სახელსა, თუ ესლავე ხელი არ აიღე მაგ ქუეყნის ნათრევს გომბიოზედა... მამაშენი ჰფიცავს საშინელს ფიცსა, რომ თუ იმაზედ ხელი არ აიღო, ორთავეს ყელებს დავსჭრი ჩემის ხელითაო და ჩუენს სამარცხვინოთ კი იმათ არ გა-ცოცხლებო!... აბა შჳლო, რა გინდა ჩვენგანა, რაზედ შეგვანთხევ სი-ბერის ჟამს სისხლსა და ბოროტსა! გენაცვალოს, შჳლო, დედიშენის ორთავ თვალები, დაანებე მაგ ფიქრსა, შეაფურთხე ეშმაკსა და ნუ ჩა-დგები ჩუენს საცოდაობაში ამ სიბერის დროსა, თორემ ხომ იცი მამიშენის ამბავი: თავს აღარ იცოცხლებს... ან მე რაღათ მინდა თა-ვი ცოცხალი!»

სვიმონ ახლა კიდევ უფრო ცხარეთ შეუდგა ჯვარის წერის თავ-დარიგსა და იშოვნა კიდეც ყველა საჭირო მოწმობაები; მაგრამ ახლა სხუა უარესი დაბრკოლებაები შეხვდა: მოვიდა ბრძანება მამის თხო-ვნითა, რომ ჯვარი არავის დაეწერა იმისთჳს მაშაზედა. ვისაც ღვ-დელს მიმართა, ყველამ უარი უთხრა. სვიმონ ეძგერა ყოვლად უსა-მღვდელოესსა. იმან უწყენა მამის ქაღალდი...

სვიმონ მაინც არა ჰკარგავდა იმედსა.

—რომ დაიხოცნენ მე ამაზედ ხელს არ ავიღებ!—ამბობდა ისა: თუ მეყოლება უკანონო შჳლები, ვეცდები ისე დავზარდო, რომ თა-ვის ხელით ცხოვრება შეეძლოთ და სხუაფრივკი დიდი დასაკლისი არ არის იმათი უარი...

ის ჩაუჯდა მაშასა და დაუწყო სწავლა და მზადება. სვიმონ აპირე-ბდა თჳთონაც და მაშაც უნდა წაეყვანა ერთს რომელღასაც უმაღლესს ბუნებითის საგნების სასწავლებელში საზღვარს გარეთა.

მაშამ დაიწყო საკვირველათ კარგათ და ბეჯითად სწავლა. იმან გა-მოიჩინა ყოველი რიგის საგანში საკჳრველი ნიჭი. გარდა ამისა, მო-ცალებულს დროს ისა ჰკითხულობდა სხუა და სხუა რიგს საჭირო წიგნებსა და მოკლეს ხანში ვეღარავინ იცნობდა იმასა. ისა სჯიდა ყოველს საგანზედ და ისე გონივრულათ სჯიდა ყველასა, ისე მიხვე-დრით იყო ყველაზედ, რაც წაეკითხა, რომ ხშირათ მეცა და სვიმონ-

საც ბევრს იმისთანა აზრს დაგვირღვევდა ჴოლმე, რომელიც ჩვენ გვეგონა დაურღვეველ ჭეშმარიტებათ. ამას გარდა რომ ის ასრე ჰბეჯითობდა წიგნსა, ის კიდევ ისწრებდა ხელსაქმესაცა და შინაურს საქმესაცა.რომ ეყურებინა იმისთჳს კაცსა ჴელებში სულ ცეცხლი სცვივოდა. სახლში ყველა სუფთათ და მშვენივრათ იყო დალაგებული: უწესოებას დაურიგოებას ვერაფერში ვერა ჰპოვებდით, სადაცკი იმის ჴელი შეეხებოდა. ამ გვარს საქმეში ის იყო ყოველთჳს ხალისით გართული. ის გასუქდა და უფრო გამშვენიერდა. აი იმისი მაშინდელი სახე.(აქ დავითი წამოდგა და ამოიღო თავისი ერთი ბრანძვი ძველი ჩამადნიდამ მაშას სახე,ის მართლაცა და მშვენიერი რამ იყო.სახე იმისი წარმოსთქვამდა საშინელს ფხიზელს ჭკუასა,) ამ ყოფაში გადიოდა ხანი.

სვიმონს, რასაკვირველია, რაკი სახეში ჰქონდა რიგიანს სასწავლებელში სადმე სწავლის გავითარება და მამის იმედი აღარა ჰქონდა, რისგამოც თჳთონ უნდა ეზრუნა ამაზედა, ამისგამო იმან გახსნა პანსიონი, რომ აქედამაც არის შეკრიბა იმდენი ფული მაინცა, რომ ცოტას ხანსაც არის ჰყოფნოდა იქ სასწავლებელში; მაგრამ მოწაფე ვერც ერთი ვერ იშოვნა. ამის ცოლიანობის ამბავი ყველგან გავარდა და ყველა იმას გაიძახდა, რომ გასარყვნელი და გასაფუჭებელი შჳლი ვისა ჰყავს, რომ იმას მიაბაროსო.

—რაკი აქ ვერას გახდა, დაუწყო ძებნა სამსახურსა. მეტი ღონე აღარ იყო, უნდა მიმემართა სამსახურისათჳს.

—რაც გინდა ჰქნა, როგორც გინდა ეცადო ამ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს კაცს სამსახურს იქით გზა არა აქვს, არაფერი მომზადება არა გვაქვსრა და არც გვამზადებენ არაფრისთჳს, თუ არ ჩინოვნიკათა. ჩვენში საუკეთესო ხელოსნებიც ჩინოვნიკებათ უფრო გამოდგებიან, ვიდრემ ხელოსნებათა.

სვიმონმა დაუწყო სამსახურს ძებნა, და რაღა თქმა უნდა უწინ თავის ნაცნობებსა და მოკეთეებს მიმართავდა. ყველგან დაუხლართეს გზები, ჯერ ერთი იმისთჳსა, რომ თჳთონ თაკილობდნენ სვიმონის იმ ამბავსა, რომ ის ირთავდა იმისთანა ქალსა, მეორეც იმისთჳსა, რომ გივისაგან ნათხოვნი ჰქონდათ რომ არ მიეცათ სვიმონისთჳს ალაგი. გივიმ იცოდა, რომ რაკი ის ფულს აღარ მოაწოდებდა, სვიმონ მაშინვე სამსახურს დაუწყებდა ძებნასა და რაკი ალაგი ექმნებოდა, ცოლის შენახვაც შეეძლებოდა, და უალაგოთ და უფულოთკი, მეტი ღო-

ნე არ იყო, დაანებებდა ცოლს თავსა. სვიმონი მიხვდა ამ მახესა და დაუწყო სამსახურს ძებნა იქა, სადაც არ ეგულებოდა მამის ნაცნობები, მაგრამ აქაც ეს დღე დაადგა, აქაც გივის ნაცნობებს და მოკეთებს ეთხოვნათ, რომ შეეკრათ სვიმონისთჳს ალაგები. სადაც მივიდოდა სვიმონი სათხოვნელათ ჰკითავდნენ: «რა გვარი ბძანდებით?» — სვიმონ ბადლაძე. «ა! ვიცი, ვიცი. ალაგი არა არისრა ჯერობით ცარიელი.» ეუბნებოდნენ გადაწყვეტითა.

გადიოდა ხანი და სვიმონისთჳს ალაგი არსად იყო. ფული რაცდა ჰქონდა, დიდი ხანია შემოეხარჯა, ვინც აქამდინ ანდობდა ფულსა, იმათაც აღარ ანდეს, რათგან გაიგეს, რომ მამა აღარ აძლევდა ამას ფულსა. სვიმონ ჩავარდა დიდს გაჭირვებაში, ბოლოს იმას მოაგონდა ერთი თავისი მასლობელი ნათესავი, რომელსაც ეჭირა დიას საჩინო ადგილი მთელს მხარეზედა და, რომელსაც მთელი ნათესაობა, თუ გარეშე პირნი უყურებდნენ თაყვანებითა. ამ დიდ კაცს მართლაცა და ჰქონდა დიდი სახელი კარგ კაცობისა და პატიოსნებისა. ეს დიდი კაცი დიდი ხანია ეპატიჟებოდა სვიმონს თავისთან სამსახურში, მაგრამ რადგან სვიმონ აპირებდა სამზღვარს გარეთ წასვლასა, ამისათჳს სამსახურს არა ნდომობდა, და რაკი ახლა უჭირდა სამსახური, ამისგამო მოიგონა თავისი კეთილისმყოფი დიდი კაცი.

— წყალდ წაღებული ხავსს ეკიდებოდაო, — სთქჳა სვიმონმა: — მეტი ღონე არ არის, უნდა ახლა იმას მივმართო.

— რატომ ან აქამდინ არ მიმართე? — ვუთხარ მე: — იმას ყველანი ძალიან აქებენ: კაი კაციაო.

— გაჭირვება მითხარ, თორემ ის ბარემ მისამართი არ არის... ყველანი აქებენ!... იმიტომ აქებენ, რომ იმ ყველას აზრისაა და ისე იქცევა, როგორც იმათ მოსწონთ...»

სვიმონ ერთს დილა დღესა მიადგა თავის გამოჩენილს ნათესავსა ალაგისთჳს (იმ ჟამათ ალაგი იყო იმ დიდ კაცის სახელთქვეითოში). სვიმონს, რომელიც აქამდინ პირდაპირ შედიოდა ხოლმე ამ დიდიკაცის სახლში, ახლა დაუხვდა დერეფანში ბიჭი და მოახსენა: ჯერ ჩაუცმელია დიდი კაციო, ბოლოს ძლივს შეუშვეს მისაღებს ოთახში, ერთი ნახევარ საათს იქ აცდევინეს სვიმონსა. ბოლოს ძლივს გამობრძანდა დიდი კაცი, ჯიბეში კელებ ჩაწყობილი (რომ რა არის სვიმონმა კელი არ წამოაწოდოს ჩამოსართმევათ.)

—რისთჳს გასჯილხართ?—ჰკითხა იმან დიდკაცურის მეუფროსის კილოთი, ვითომც არცკი იცნობს სვიმონსა.

სვიმონ სულ აირია. იმას გაუელვა მაშინვე თავში უკან გამობრუნებამ, მაგრამ ვერ მოასწრსა.

—თქჳენ, შევიტყე,—დაიწყო მორცხობით სვიმონმა,—ალაგი თურმე გაქჳთ ცარიელი,.. თქჳენ წინათაც მეუბნებოდით ალაგსა; მაგრამ მოგეხსენებათ, რისთჳსაც არა ვნდომობდი, და ახლაკი მიჭირს და დიდათ დამავალებთ იმ ადგილითა.

—დიახ, ჭეშმარიტია! მე გამლევდით თქჳენ (აქ დიდმა კაცმა დაუწყო თქჳენობით ლაპარაკი, მინამკი შენობით ელაპარაკებოდა, რადგან ბიძათ მოხვდებოდა.) ადგილს მაშინ, როდესაც გიცნობდით რიგიან კაცათა და სანდო კაცი მეგონეთ. მაგრამ ეხლა, სამსახურშიაც რომ იყვეთ ჩემს ხელში, დაგითხოვდით.

—ეგ წყრომა რის ნიშანი გახლავთ?—ჰკითხა კიცხვის კილოთი სვიმონმა, რომელიც მოვიდა გონს ამ დიდი კაცის პასუხისაგან.

—მე მინდა რიგიანი და პატიოსანი ხალხი!—მიუგო დიდმა კაცმა წყრომითა.

—თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, როგორ გესმით თქჳენ ეგ სიტყვები: რიგიანი, პატიოსანი?

—როგორ თუ, როგორ მესმის!!—განრისხდა უფრო დიდი კაცი:—ერთის სიტყვით მე თქვენთჳს ალაგი არა მაქჳს!..გესმით!!—აქ დიდს კაცს აუთრთოლდა წყრომისაგან ტუჩები და სახე.

—აქამდინვე ბრძანებდით აგრე,—შეჰკლიმა პირში, დაცინვით სვიმონმა:—თორემ პატიოსნებაზედ ლაპარაკობთ..პატიოსნებაზედ იმან უნდა ილაპარაკოს, ვისაც კიდეც ეყურება პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა...

სვიმონმა წამოავლო ქუდს ხელი, შეაგცია, ფილექჯამდინ გაცოფებულს დიდ კაცს ზურგი, და გამოსწია. ამ ქცევამ კიდევ უფრო გაცოფა და გაანცვიფრა დიდი კაცი. იმან მიიხედ მოიხედა აქეთ იქითა, თითქო ეძებს ვისმე, რომ რაღაც წყრომისა უბრძანოსო და ბოლოს დაეშვა გაცხარებული კრესლაში.

უკანასკნელი იმედი ალაგზედ გადასწყდა, რომ ამდროს გაიხსნა ერთს დაბალს სასამართლოში ოც და ათ თუმნიანი ალაგი. სვიმონი აქაც შეეცადა, სთქვა იქნება: აქამდინ მაინც ვერ მიასწრობს კეთილის მყოფების თხოვნასაო და მივიდა ამ სასამართლოს უფროსთანა.

ამ დროს ისა სწერდა რაღასაცა. სვიმონის მისვლაზედ იმან არ აიღო თავი.

—მე შევიტყე, რომ თქვენ თურმე ალაგი გაქვთ,—უთხრა სვიმონმა თავჩაღუნულს მეუფროსესა.

—დიახ, გასლავთ,—უპასუხა იმან თავაუღებლივა:—თქვენი გვარი?—ჰკითხა იმანაც უცება, თითქო რაღაც მოაგონდაო.

—ბადლამე.

—არის ადგილი, მაგრამ სათქვენო არ არის,—დაუწყო კიდევ თავაუღებლივ წერაში, ლაპარაკი მეუფროსემ:—

—რატომ?

—პირველი იმიტომ, რომ სხვასა აქვს დაპირებული ეს ალაგი; მეორეც იმიტომ, რომ ამ ალაგზედ უნდა კარგი დამჯდარი, გამოცდილი კაცი, მესამეც იმიტ...

—მესამეც ასლა თქვენთვისა ბრძანეთ—გააწყვეტინა სვიმონმა და გამობრუნდა.

—მესამეც იმიტომ;—რომ მაინც კიდევ ამბობდა მეუფროსე, რომელიც თანა სწერდა გაცხარებული და უფრო ღუნავდა ძირს თავსა.

—მესამეც იმიტომ,—ჩამოართვა სვიმონმა, მომავალმა, სიტყვა,—რომ თქვენ პატიოსანი არავინ გინდათ, თუ არ თქვენნისთანა..

—არა!—დაიწყო კიდევ თავ ჩაღუნულმა მეუფროსემ და უნდა დაესრულებინა მესამე მიზეზიცა, მაგრამ სვიმონ წამოვიდა.

ამგვარათ შეეკრა სუყოველგან სვიმონს გზა. ალაგის შოვნის იმედი არსად იყო, რჩენის ღონე არსაიდა ჩანდა. მოვალეები აწუხებდნენ სვიმონსა, სახლის პატრონი იმუქრებოდა დათხოვნასა.

მაშას რჩევით დაითხოვა სვიმონმა გოგო ბიჭი. დაიწყო თითონ მაშამ სახლში გოგო ბიჭის სამსახური. მაგრამ ბევრში ისევ ისინი კი ეწეოდნენ. როცა კი ჩაიგდებდა ერთი ბეწვა მოცალებას გოგია, ან გოგო, რომელსაც სახელათ ერქვა პოლკა და, რომელსაც ისე საშინლათ უყვარდა მაშა, მაშინვე, რაცკი საჭირო იყო, მოდიოდნენ მაშას საქმეში. პოლკას მოჰქონდა სარეცხი და ურეცხავდა მშვენივრათ მაშასა და სვიმონსა და მოჰქონდა ყოველთვის მშვენივრათ დასუფთავებული და გაკეთებული, ეგრეთვე სხვა საქმეში, რაშიაც მაშა ვერ გასწვდებოდა, ისინი ეწეოდნენ და არ ამჩნევინებდნენ უმოსამსახურობასა.

რაკი თან და თან უფრო და უფრო გაჭირდა იმათთვის ცხოვრება

მეტი ილაჯი არ იყო, უნდა მივვემართა ისევ გივისთვისა. მე უთხარ ეს სვიმონსა.

—არა, ვითომა გგონია, რომ მამა ჩემი ამ საქმეს შეურიგდეს, მაშ შენ არ გიცვნია დიდი კაცისა და ოჯახის შვილის გული! — მიპა-სუხა იმანა.

რაკი სვიმონ ვერ დავიყოლიე, ავდექ და მე მივწერე გივისა და აუწერე ყოველიფერი, თუ რა უსამართლოთ იყო მამა ჩავარდნილი იმ ცხოვრებაში და აგრეთვე აუწერე მამას მშვენიერება და ნიჭიერე-ბა. ერთის სიტყვით ყოველი ჩემი მჭევრმეტყველება მოვიხმარე, რომ როგორმე ჩამეგონებინა და მომერბილებინა გივი; მაგრამ აი რა პასუხა მომივიდა.

„არა, ძმავ, — იწერებოდა ისა: — დეპეშანიძე ხარ თუ ვიღაცა!.. რათა, ძმავ! რა გინდა... თავათ ისე მესმის, რომ სულაც შენ გადაგი-ბირავს ეგ ბავშვი... მამაჩემი ოთამ არ წამოწყდება, რომ მინამ მაგას გომბიო სისხლში უგდია, მანამ როგორც ჩემს მკვლელს ისრე მაგას არ ვინდომებ და არც მაგის სახელს ვახსენებ... გვეყო მაგისგან ამტენი სირცხვილი და ქვეყანაზედ თავის მოჭრა... თუ იყვეს, რი-გიანათ იყვეს, თუ არა და არ მინდა...,,

მე წიგნი სვიმონის ჩუმათ შევსწერე. ამ წიგნს რომ ვკითხულობ-დი, სვიმონ უცებ წამომადგა თავსა. იმან იცნო თავის მამის ხელი.

—ეგ წიგნი საიდამ მოგსვლია? — მკითხა იმან გაოცებითა.

—ჩემი წიგნის პასუხია, — უთხარ მე ცოტა შემკრთალმა.

—კაი პასუხიც მოგივიდოდა! — სთქვა იმან მწარის ღიმილითა.

მე გავაქნიე ჯავრიანათ თავი.

—არა უჭირსრა! — სთქვა სვიმონმა გულის გამაგრებითა. — ზო-გი ჭირი კაცის მარგებელია, ამბობს ქართული ანდაზა. დეე გამო-ვცადო, რაც გამოსაცდელია! უფრო კარგათ გავიცნობ იმ მწუხარება-სა, რომელიც კაცს მიადგება ხოლმე... ჯერ ბევრი სანი არ გამსვლია და გამოვიყენებ გამოცდილებასა... იქნება შიმშილით არ დავიხოცნეთ..

ის არის მტკიცედ და მაგრათ მიეგება ამ უბედურებებსა, შიმში-ლსა, წყურვილს, სიტიტვლეს, ქვეყნის სასაცილობას, თავილობასა, კილვასა და სხვა და სხვა აურაცხელს უბედურებას, რომელიც მოსდე-ვდა იმის უსასრულო მდგომარეობასა. მე მიკვირდა იმისი ასე მხნეთ

2

მიგებება ამ ქვეყნის მწუხარებისა, მაგრამ ეს კიდევ უფრო იმიტომ მოსდიოდა, რომ ჯერ სიმწარე ძირამდინ არ დაელია. მე ვხედავდი ცუდს ბოლოსა და ვშიშობდი, რომ ცუდათ არ გათავებულიყო და გივის თავის გულის წადილი არ შეესრულებინა: უბედურება ეს იყო, რომ მეც არსად მიჩანდა ალაგი, თორემ მეკი დამშლელი არავინა მყავანდა. მეორეც ესა, სვიმონს მიუძღოდა ამაგი მამასთანა და კიდეც უყვარდა.

## 9

გადიოდა ხანი და არსად არაფერი ღონისძიება არა სჩანდარა სვიმონისათჳს. მამამ იყიდა კარგი კელსაქმე და დაუწყო საქმეს ძებნა, მაგრამ არსად არა სჩანდარა: ყველა ზიზღით და უნდობლათ უყურებდა იმასა.

მოვალეებმა და სახლის პატრონმა უჩივლეს სვიმონს პოლიციაში. პოლიციამ გამოუცხადა ვადა სვიმონ ა, სვიმონ ჩაფიქრდა, მეტი ღონე არ იყო, უნდა კიდევ მიემართა მამისათჳსა. ის ამ წიგნში უმტკიცებდა მამასა, რომ ამას მაშაზედ ვერა ღონისძიება, ვერც თჳთ სიკვდილი ვერ აალებინებდა ხელსა და იმის მეცადინეობა [illegible]ქილის, ხოლოთ აგდებს ორთავეში სიმულავილსა, და სწერდა რაც მდგომარეობაში ესლა იყო ჩაყენებული იმის მიზეზით.

მამისგან ისევ ის პასუხი მოუვიდა, რაც წინათა, რომ თუ კელს არ აიღებს მაშაზედა, ის იმას შჳლათ აღარ უნდა.

სვიმონმა რამწამს დაინახა უფულოთ წიგნი, კელშიც აღარ აიღო.

— მე ფული მინდოდა და არა წიგნიო, — სთქვა იმან ჯავრიანათა, მივიდა ფანჯარასთან, რომელიც იყო ქუჩისაკენ, ჩაიწყო ჯიბეში ხელები და დაიწყო ჯავრიანათ სტვენა რაღაცა ფიქრის სიმღერისა.

მე გავხსენ წიგნი და დავიწყე კითხვა ხმა მაღლა, და როდესაც მივედი იმ ადგილზა: «შჳლათ აღარ მინდაო», სვიმონმა ფიქრით ჩაიცინა.

— საცოდავიო!... იმას ფულზედ ელაპარაკებიან და ის შჳლობაზედ გაიძახის...

მე გავაიავე წიგნი და ჩავფიქრდი. მართალია ჩემს სამს თუმანს აქა ვხარჯავდი სახლის ქირასაც და სხჳა წვრილმანების საჭიროებას

გარდა, მაგრამ რას უნდა გაგვხდომოდა სამს ეს მცირედი ფული. მეც ვერსად ვშოვობდი უროკებსა; მეც ცუდის თვალით მიყურებდნენ, ვინც იცოდა, რომ მე ამათი მახლობელი მეგობარი ვიყავი და ხშირათ დავიარებოდი აქა. ცოტას გაწყდა ჩემი შეგირდების მშობლებმაც უარი არ მითხრეს ამაზედა, თუ პატარები არ ატირებულიყნენ, რომ მაგის მეტი ჩვენ სხვა ოსტატი არავინ არ გვინდაო... ცუდათ იყო იმათი საქმე. დღე დღეზედ სახლიდამ გამოგდებას ელოდნენ სვიმონ და მაშა, და სად უნდა წასულიყვნენ?... ამასთან სამოც თუმნამდინ ფული ემართა და ციხეში ჩასმას ელოდნენ. იმას ციხე არ აშინებდა, მაგრამ სადარდებელათ ჰქონდა მაშა: რა უნდა ექნა იმასა, რითი ეცხოვრა?, საქმესაც ვერა შოულობდა.

სვიმონ იდგა იქვე ფეხ შეუცვლელათა და ფიქრიანათ გაჰყურებდა ცასა. იმას ემღვრეოდა გული. იმის გულში ტრიალებდა მთელი ჯოჯოხეთის გენია.

ამ დროს შემოვიდა მაშა და მაშინვე შეგვნიშნა, რაზედაც ვიყავით ჩაფიქრებული. ჩვენ ვუმალავდით იმასა ჩვენს მდგომარეობას, მაგრამ ის დიდი ხანია ყურს ადევნებდა ჩვენს ყოველს მოძრაობასა. ის თოფნაკრავივით გაჩერდა შემკრთალი, და რაკი სტოლზედ წიგნი დაინახა, წაატანა წიგნს ჴელი. მე მაშინვე წავწვდი წიგნსა და ავიტაცე.

—ეგ წიგნი ჩემიან გასლავსთ... სეკრეტია?—მივატანე, ვითომც ხუმრობის კილოთი, მაგრამ ხუმრობა როგორღაც მოუხერხავი გამომივიდა და უფრო შემეტყო აღრევა გულშია.

მაშამ რასაკვირველია შემნიშნა ტყუილი.

—რას მიმალავთ?—სთქვა იმან არეულის ხმითა:—განა მე არ ვიცი, რაც ამბავია!...

იმას მოუვიდა თვალებზედ ცრემლი და გასწყვეტინა სიტყვა.

—რა იყო! რა გატირებს? მიუბრუნდა გულის გამხნევებით სვიმონს:—რა იცი! რა უნდა იცოდე!—და აქ სვიმონსაც აუღვრა ხმა.

—ვიცი, ვიცი! დაიწყო კიდევ მაშამ:—განა არა ვხედავ რაც მდგომარეობაში თქვენ ჩავარდით ჩემი გადამკიდე... დამანებეთ მე ახლა თავი... როგორც იქნება: ავათ იქნება თუ კარგათა მომივა ჩემს თავსა, უბედური ვყოფილვარ, და უბედურათაც უნდა გავათავო ჩემი წუთის სოფელი... ჩემთვის თქვენ რაღაზედ იტანჯებით და იწვალებით... ჩემთვის ესეც დიდი ბედნიერებაა, რომ გამომიხსენით იმ სა-

შინელის ტყვეობიდამა....- მე განა არ ვხედავ და არ ვიცი, რომ ჩემთჳს სასჯელის მოშორება ძნელიდაა!.,. გამიშვით, დამანებეთ თავი, რომ თქჳნ მაინც არ ეწვალოთ..,

მაგრამ გიდეც რომა ნდომოდა ხვიმონს. დრო აღარ იყო: საუბედუროთ ამ საშინელს შეიწროებულს ცხოვრებაში მაშა დაორსულდა.

— მე შენ მხნე მგონიხარ,— უთხრა ხვიმონმა და მგონია, რომ ჩემთან ყოველს შეჭირვებას მოითმენ და იმიტომ გაიძახებ... თუ შეგიძლიან ჩემთან შეჭირვება, გაძლე!... მე არ მეშინიან არაფრის შეჭირვებისა... რაც მოგვივიდეს, ორთავეს ერთათ მოგვივიდეს... იმდენს უბედურებასთან, გამოსცადე ქმართანაცა ქმრის უბედურებაცა.. დეე დავიღუპნეთ, თუ დავიღუპებით და დეე გაიხარონ ყვავთა და ყორანთა- თუ გავახარებთ...

მაშა მივარდა და მოეხვია ცრემლით ხვიმონს. ხვიმონიც შემოეხვია მაშას და აკოცა შუბლში. მე პირველათ ვნახე ასე·ალერსიანათ ხვიმონი...

— ყველა მხნეთ გამოვსცადოთ, დაატანა ხვიმონმა: იქნება ყველა გამოგვადგეს, თუ ვიცოცხლებთ... თუ არა და... სულ ერთია... სიკვდილს შემდგომ ყველა დაგვავიწყდება...

ჩემს თვალში ხვიმონ მაშინ ერთი ორათ გაიზარდა. აქ წარმოითქჳა ყოველი ძალა ჴვიმონის ხასიათისა და სიმტკიცე იმის ლტოლვილებისა...

## 10

ესენი რომ ამ საშინელს გაჭირვებაში იყვნენ: ვერა შოვობდნენ ვერც სამსახურს, ვერც საქმესა; დღითი დღე ელოდნენ ციხეში ჩასმასა, ყველა ჩამოეცალა და ზიზღით უყურებდა, მაშინ იმათთჳს ზრუნავდა ერთათ ერთი უკანასკნელი ადამიანი, სახელი ამისი პოლკა, რომელიც ვახსენე ზემოთაც და რომელიც ამათ უდგათ მოახლეთ. ის იყო თვრამეტ—ცხრამეტის წლის გარგათ მოყვანილი და მხნე შეხასედაობის გოგო. ის იყო საშინელი სულ ძრიელი და მარჯვეთ გამსჯელი მოსაქმე. ის რაკი ჰხედავდა ამათს ასეთს მწუხარებასა, როგორც ზემოთაცა ვსთქვი, ჯერ თავის შრომას არ იშურებდა, მერე დადიოდა ყველგანა და ეძებდა მაშასთჳს სულ საქმეს და ხვიმონისთჳს უროკებსა.

სვიმონი რომ ამ გაჭირვებაში იყო, ერთხელაც შემოვიდა პოლკა გახარებული.

—მე გიშოვეთ საქმე,—ახარა მაშასა:—და ძალიან ბევრი საქმეც არის. მე სხვის სახელობაზედ ავიღე, და არამცა და არამც არავინ არ მიასწრობს; თორემ დავიღუპებით: აღარ მოგცემენ.

მაშა სიხარულისაგან მივარდა პოლკასა და დაუწყო კოცნა. ამას გარდა პოლკას რაკი გაეგო, რომ სახლის პატრონი იწუხებოდა, საცა რამ გაცემული თავისი ჯამაგირები ჰქონდა, რვა თუმნამდინ ფული შეაგროვა და ისიც მოუტანა მაშასა, მოსცა და უთხრა, რომ ეგ ფული მე არ მეჩქარება და როდესაც გქონდეთ, მაშინ მომეცით.

ამ ფულით, როგორც იყო, ცოტას ხნობით შეიჯერეს სახლის პატრონი; ახლა ჩაუჯდა მაშა საქმეს და დღე და ღამე აღარ იყო იმისათჳს. ისე მხნეთ საქმობდა ისა, რომ დღეში მანეთ ნახევარ მეტს იღებდა ხელსაქმეში; რაკი ცოტაოდენს ფულს მოუყარა თავი, მერე თან ოქრომკედის ხელსაქმეს მიჰყო ხელი, აძლევდა პოლკასა და ის ყოველთჳს რიგიან ფასათ უსაღებდა. ამგვარათ ცოტა მოიმაგრეს ფეხი იმათ. მაშა არა ჯერდებოდა მარტო ხელსაქმეზა: როდესაც მოიღალებოდა ხელსაქმისგან, ის ჩაუჯდებოდა ხოლმე წიგნებსა და რა მოიღალებოდა წიგნებიდამა, ჩაუჯდებოდა ხელსაქმესა. ამასთან ის ისწრებდა სახლის დალაგებასაცა და რომ შესძლეიყავი იმათ სახლში, გეგონებოდა ამ სახლის ერთი სამი მარჯვე მსახური მაინც ადგიაო. ამ გვარს ჭკუისა და სულის ვარჯიშობაში, მაშა თან და თან უფრო გამხნევდა და იმის მაგივრათ, რომ ამდენის ჯაფით გამხდარიყო, ის პირიქით გასუქდა და, რომ გენახა მოწყენილს ვერაოდეს ვერა ნახავდი: საკერავს უჯდა, და ჰღიღინებდა დაბლა ლამაზ კილოზედ სიმღერასა, და თუ წიგნს კითხულობდა ხმა მაღლა სვიმონთან ერთათ და თან, სხჳა და სხჳა წიგნების აზრების სჯასა და ბაასში შედიოდა თავის საყვარელს კაცთანა. ან არა და, მაშა აკეთებდა საქმესა და სვიმონ ჰკითხულობდა წიგნსა! ამ გვარათ გადიოდა დრო. მაგრამ მოატანა მაშას დაწოლის დრომა. მაშამ უფრო მოუმატა საქმესა რომ ორიოდე გროში გადაედო სალოგინოთა.

სვიმონკი ჩააფიქრა ახლა თავის მდგომარეობამ. ის შეაწუხა მეტის მეტმა უსაქმობამა. ფულიც არა ჰქონდა, რომ გამოეწერა ახალი და

მო ის კაცი, რომელიც ამას აჴე ხაშინლად უყვარდა. მაშა მწუხარე-ბით შეჭყურებდა სვიმონსა, ინტვრევდა ჩუმათ თითებს და არ იცოდა რა ექმნა.

სვიმონიც ჰგრძნობდა, რომ იმას ჭლექი შეჰყვიდა. ამან კიდევ უფრო დაალონა ისა და გაატაცებინა ის ფიქრსა.

— ჰმ! — დაიწყო ერთხელ იმან ჩემთანა: — მაჯობებს მე ჩემთ გითარებსათ!... მე უფრო ძრიელი მეგონა ჩემი სხეული და ჯანი... ეტყობა საკმაო გამოცდილება არ მიმიღია და არ მივარჯიშნია საკმაოთ, რომ ასრე მალე დამიმორჩილა ცუდმა მდგომარეობამ!..

მე დაუწყე განგებ ნუგეში, ვითომ მეგი არ ვატყობდი, რომ იმის საქმე ცუდათ იყო

— რა არი!.. რა დაგემართა. ,ვინ შენა და ვინ ეგ ამბები... აგრე მალე როგორ დაუვარდი ცუდს მდგომარეობასა?!.. რა გიჭირს!..

— არაფერი... ვსთქუათ მოვკვდე... თავი დავანებოთ იმასა, რომ ჩემი სიცოცხლე და ცდა ამაოთ ჩაივლის... ჩუენი ბავშვი ვსთქუათ? თუ ნიჭიერი იქნებოდა, მე მინდოდა, მაგისი გაზრდა საჭიროების დაგვარათა... ახლა რა ეშველება უჩემოთ ბავშვსა?... ბევრს ვერც იმის დედა იცოცხლებს... მაშინ ვინ ეყოლება ქუეყანათ სულდაუფრობელსა?... რა ერქმევა მაგას ქუეყანაზედ, რომელსაც უსუსურს ბავშვს ნუგეშის მცემელი არავინ ეყოლება?!.. ამასთან უკანონოა, მაგას უფლებაც არა აქუს სხუა გვარებივით ცხოვრებისა.

სვიმონ ჩაფიქრდა.

— დიახ!... ბევრი გამოცდილება და ვარჯიში ნდომებია კაცისა, როგაუმაგრდეს გრძელს, ცუდს მდგომარეობასა, — დაიწყო კიდევ სვიმონმა, როდის ექმნება კაცს კაცური ცხოვრება?!.. არავინ იცის... ჯერკი მაგრა აქუს ფესვები გადგმული აწმყო მდგომარეობასა, და იმის დამარღვეველნიკი შორსაც არსადა სჩანან....

სვიმონ კიდევ ჩაფიქრდა მძიმეთა.

— ღმერთია მოწყალე, — ვეცი მეც ვითომ ნუგეში.

სვიმონმა მწარეთ გაიცინა.

## 11

პოლიციამ კიდევ დაუნიშნა ვადა სახლიდამ გასვლისა და ვალის მო-

ცემისა სვიმონს. ახლა უნდა გენახათ რა ბრ!ანებითისა და კიცხვითი კილოთი ელაპარაკებოდა და ეპყრობოდა პოლიციის ჩინოვნიკი სვიმონსა.

—ეს მეოთვრამეტეთ შეგიწუხებიათ ეს სახლის პატრონიცა და ჩუჱნ-ცა... თქუჱნს მეტი საქმე ხომ აღარა გვაქჳსრა! აბა ჯერ გადაზედ ნუ გასულხართ აქედამა! მაშინ ნახავთ, როგორც უნდა შეწუხება!..

სვიმონ მხოლოდ მწარედ გაიღიმებდა ხოლმე ამ გვარს მუქარასა და რისხვაზედ და მეტი ანკი რა ეთქმოდა,.. არამთუ ჩინოვნიკებისაგან უნდა მოეთმინა ესეები, დესიატნიკებიცკი ბატონკაცურად ექცეოდნენ, რისხვითის თვალით უყურებდნენ ამასა.

მოატანა სახლების დაცლისა და ფულის მიცემის ვადა. დღე დღეზედ პოლიციას უნდა გადმოეყარა ამისთჳს ბარგი. ანკი რაღა ბარგი ჰქონდათ! რაც საჩენო და გამოსაყენებელი რამ იყო, სულ დაჰყიდეს გაჭირებაში და მარტო რაც აუცილებელი საჭირო რამ იყო ისღა დარჩათ; სვიმონის მდგომარეობა საშინელი იყო. საწყაო თავს გადმოდიოდა, იმედი არსად იყო. შიმშილი, წყურვილი, უბინაობა, ნიშნის მოგება და დაცინვა, სიცივე და სიტიტვლე, გაკიცხვა, დაცინვა და გამარჯვება წინააღმდეგებისა, ყოველივე ესე შეუბრალებლად და გაუკითხავათ ესხებოდნენ და მოადგნენ სვიმონს თავსა, მთელი ორი დღე სვიმონ დაფიქრებული არ გამოსულა თავის ოთახიდამა.. სვიმონ რაღაცა ღრმა ფიქრში იყო, მაგრამ,როგორც ეტყობოდა სანუგეშო მას არა წამოუდგარა გონებაში, მეორე დღეს საღამოზედ ის გამოვიდა ჩემთანა.

—დავით, როგორც იყვეს უნდა შეინახო შენ მაშა,მინამ მე ციხიდამ გამოვიდოდე.

ის ამდენის ფიქრის და მწუხარების შემდგომ ისე მხნეთ ლაპარაკობდა, რომ კაცი ვერ შენიშნავდა, თუ ამას ამოდენა უბედურება თავს ადგიაო.

მე, რასაკვირველია, აღუთქვი.

—ვნახოთ რითი დასრულდება ეს ჩვენი ამბავი...

—ღმერთია მოწყალე,—ვეცი კიდეც სულელურათ ნუგეში სვიმონსა.

აქ რომ ეს სამწუხარო ლაპარაკი გვქონდა, უცებ შემოვარდა გახარებული მაშა და მივარდა სვიმონს.

—სვიმონჯან! უროკები, უროკები ვიშოვნეთ...პოლკამ გვიშოვნა კიდევ უროკები...

ჭმ! აქაც კიდევ პოლკა!..

ჩვენ საშინლათ გაგვიოცდა, თუ სად უნდა ეშოვნა პოლკას ეს უროკებიცა. თურმე ნუ ბრძანებთ, ის ყოველგან მეძებარივით დაძვრებოდა და ეძებდა სვიმონისა და მაშასთჳს საქმეს, ბოლოს იმას შეეტყო, რომ ერთს ახლად მოსულს ფრიად დიდს კაცს ჭყავს ორი პატარა ქალ-ვაჟი და ეძებენ იმათთვის რიგიანს მასწავლებელს. დღესაც არ ვიცით, თუ როგორ შესძრომოდა პოლკა იმათს გუვერნანკას და ეთხოვნა რომ მიეღოთ სვიმონი, თუ მოეწონებოდათ. დიდს კაცს ეთხოვნა სვიმონის ნახვა.

სვიმონ, რასაკვირველია, მაშინვე წავიდა დიდ კაცთან, რომელიც ძალიან კმაყოფილი დარჩენილიყო სვიმონისა და დაენიშნა კვირეში ექვსი უროკი, ორორ მანეთათ თითო.

ამ ახლად მოსულს დიდს კაცს, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ეჭირა ფრიად დიდი ალაგი,სახელათ ერქვა ვლადიმირ ვლადისლავიჩი და გვარათ იყო კუსტნიცკი; იქნებოდა ორმოც წლამდის მისწეული კაცი და პირველათვე სხვანაირათ დაიჭირა თავის სამსახურის საქმე. ცოლი იმისი, ამალია კარლოვნა იყო ძალიან განათლებული და გონება გახსნილი ქალი, იმას ძალიან ეჯავრებოდა ბალები და ვეჩერები, რომლის გულისთვისაც ის სხვებს ეჯავრებოდათ.

ამ სახლობაში, სვიმონ, როგორც დიდებს, ეგრეთვე პატარაებს ძალიან შეუყვარდათ. სვიმონსაც ძალიან მოსწონდა ესენი...სვიმონ ძვირათ თუ ვისმე აქებდა და ამათს ქებას ხშირათ ამბობდა...

ეს ამბავი: რომ სვიმონ ასრე მიღებული იყო იმისთანა კაცის სახლში, როგორც ვლადიმირ ვლადისლავიჩი, გავარდა მთელს ქალაქში. ჯერ ქალებმა დაიწყეს ჩურჩული.

—ქა! გაიგონე, ახალი ამბავი? სვიმონ ისე თურმე ჭყავს კუსტნიწკისა, როგორც შინაური...

—მეც გავიგონე, თქვენმა მზემა;მაგრამ რა დასაჯერი გახლავთ: იმისთანა დიდი კაცი, როგორ იკადრებს იმისთანა პაყარნის სახლში შეშვებასა!..

—სწორეთ ამბობენ, თქვენმა მზემა! იმ დღეს თურმე ფაეტონითაც დასეირნობდა იმის ცოლთანა.

მერე თან და თან დაიწყეს ამაზედ კაცებმაც ლაპარაკი და დარჩნენ პირდაღებულნი, თუ როგორ მოხდა ესა, რომ იმ კაცსა, რომლისაც შიშით ვინ იცის რამდენი სხვა დიდ-კაცი ხდება ავათა, ასე მიღებული ჰყავს სვიმონი.

—ეტყობა ჯერ არ გაუგია იმას იმისი ამბავი!-ნუგეშობდნენ ისინი:—თორემ როგორ შეიძლება!?..

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და ვნახოთ, ვიღაცა უცნობებმა, სთხოვეს სვიმონს თავის შვილების სწავლაცა.

—ალბათ კარგი მცოდნე კაცია,—იფიქრეს იმათ,—რომ იმისთანა დიდკაცი ასწავლებინებს შვილებსა, თორემ ის რაღათ აიყვანდა?

და ერთმა პატარა შვილების პატრონმა სამი მანეთიც მისცა, ოღონდ იმის შვილებისთვისაც ესწავლებინა.

გავიდა მოკლე ხანი და ამ დიდკაცმა აიყვანა სვიმონ თავისთან ჩინოვნიკათ საკუთარის მინდობილებაებისა (**особыхъ порученій.**)

საზოგადოებამ უფრო კიდევ ჰცქვიტა ყურები. ზოგმა კიდეც დაუწყო სვიმონს კარს ვლემა და ცდილობდნენ იმის დაახლოვებასა.

## 12

სვიმონ თან და თან მოკეთდა და ბოლოს თითქმის თავის თავათ გაუარა ავათმყოფობამ.

იმან დაიწყო ხალისიანად სწავლება თავის მოწაფეებისა და აგრეთვე უფრო და უფრო ბეჯითობდა მაშასა.

მაშამ დაუწყო ახლა უფრო წიგნებს ბეჯითობა, დაუწყო ბეჯითად ფრანციცულს და ნემეცურს სწავლას და აგრეთვე სხვა სამეცნიერო წიგნებსა. ახლა რაკი პატარა ბედმა გაუღიმათ, უფრო გამხნევდა და უფრო და უფრო გამოიჩინა თავისი საოცარი ნიჭიერება ყოველისფერში. სვიმონმა დააწყებინა მაშას ცხენით სიარული და ცხენზედ ჯდომა; თოფის ხმარება და ნიშანში სროლა. კვირაში ორჯერ მივდიოდით ჩვენ სამნი ნიშანში სასროლელათ, ან სანადიროთ. მაშამ აქაც საკვრველი ნიჭი და სიმარჯვე გამოიჩინა. ის მოკლეს ხანში ჩვენზედ მარჯვეთ ესროდა ნიშანსა და ფრინველსა; ცხენოსნობაში ის სვიმონს არ უვარდებოდა. მაშაც ახლა უფრო მოსუქდა და მოკეთდა. მოვალეები ცოტ ცოტათი თან და თან შეიჯერეს; სახლის პატრონის ვალიც გა-

დისადეს. პოლიციელები ახლა ქუდმოხდილები გაუვლიდნენ ხოლმე ამას გვერდითა, ერთის სიტყვით ყველა დეკარაციასავით უცებ შეიც-ვალა.

ერთხელაც,—ეს იყო გიორგობის თვეში,—სვიმონს როგორღაც მოუნდა ოპერაში წასვლა, თუმცა ის მკირათ თუ დადიოდა როდისმე აქა და რაცხავდა აქ ყოფნის დროსა და ამაში მიცემულს ფულს ტყუ-ილათ დაკარგულათ.

სვიმონს აელო ლოჟა და მოიტანა. მაშას არ უნდოდა წასვლა, მა-გრამ რაკი სვიმონს მოუნდომნა, უარი აღარ უთხრა, თუმცაკი საში-ნლათ რცხვენოდა.

—წავიდეთ ერთი, თქუენი ღუთის გულისათჳს, ერთი სალაპა-რაკო საგანი მივცეთ ჩუენს ხალხსა, თორემ აქამდინ შემოაკლდებოდა სათვანელი. რა გენაღვლებათ პატარა გავართოთ—მადლია.

სვიმონმა ეგრეთვე მეც მიმიწვია და წავედი.

მაშა არ იყო ძალიან მორთული, მაგრამ ისე ლაზათიანათ ჩაეცვა (მაინც იმან ჩაცმა ლაზათიანათ იცოდა), ისე ყველა მოხდენით გაი-წყო, თითქო ყველა ბუნებით ასრე დაჰყოლიაო.

ჩუენ შევედით ლოჟაში. ერთმა ბინკოლმა როგორღაც უცებ მო-ისედა ჩუენსკენა, შეგვნიშნა, ის ჩაგვაცქერდა მძიმეთა და მერე რაღაც ანიშნა ჩუენზედ მეორე ბინკოლსა, რომელმაც ეგრეთვე მსწრაფლათ მოისედა ჩუენსკენ და ჩაგვაბყირდა. ამათ მაგალითს მიჰბაძეს ბევრმა სხვებმაცა და ახლა არამთუ ყველა ბინოკლებმა დაგვიწყეს ცქერა, და უბინოკლოებიც სულ ჩუენს მხარეს მობრუნდნენ და შემოგვცქეროდ-ნენ გაოცებითა, რაღაცა ჩურჩული და ხელის ჩვენება შეიქნა ჩუენზედა.

მაშა აენთო წითლათ თონესავით; სვიმონმა მოუმატა ოხუნჯობასა.

—ახლა უყურე სვალ რა ერთს ილაპარაკებენ ჩუენზედა! რამდენი ხჯა, კიცხვა, კილვა, და თავში ცემა ექნებათ ჩუენის ნახვითა...

ჩუენ გავიცინეთ. ხალხი კიდევ ისე გვიყურებდა და რაღასაც ლა-პარაკობდა ცხარეთა. ხალხის საყვარელი პირიმადონა *** გამოვიდა სცენაზედ და გეგლუცურად რაცა სანია თვალებსა ბლეტამდა, რომ ბევრმა იმისმა თაყვანისმცემლებმა ვერ შენიშნეს ისა და ისევ ჩუენ შე-მოგვცქეროდნენ; მეტადრე დიდის ყურადღებით იყვნენ ჩუენზედ ქა-ლები, რომელნიც თუმცა შუბლ ქუეშ გამოგვცქეროდნენ, მაგრამ მა-ინც, თითქო ანდამანტს მიუზიდავს ამათი თვალებიო, ისე ჯელარ

გაშორებდნენ თვალსა. ერთმა ქალმა ქოქოლაცკი მოგვაყარა ჩუმათა, ისე რომ თითქმის ყველამ დაინახა.

თუმცა აგრე რიგათ არც კუსტნიცკი და იმისი ცოლი სწყალობდნენ ოპერას, მაგრამ რადგან დღეს კარგი ჭაზრის ოპერა იყო, ისინიც მოსულიყვნენ თეატრში და სხვის მიბაძვით იმათაც დაგვიწყეს ცქერა, და რაკი ჩვენ გვიცნეს, დაუწყეს მაშას ყურადღებით შინჯვა.

გათავდა ოპერა. ყმაწვილი ხალხი მოუთმენლად ელოდა ჩვენს გამოსვლას გარეთა, მაგრამ სვიმონმა, რაკი იცოდა რომ ეს ასრე იქნებოდა სწორეთა, დიდს ხანს შეაგვიანა მაშა ლოჟაში; რაკი ლოდინში თვალები გამოელამებოდათ დაშლილიყვნენ თითქმისა, როდესაც ჩვენ გამოვედით, და წამოვედით შინა.

მეორეს დღეს ვლადიმირ ვლადისლავოვიჩს და ამალია კარლოვნას ეკითხნა სვიმონისთვის, თუ ვინ იყო ის ქალი, რომელიც იმასთან წუხელის ლოჟაში იყო. იმან დაუფარავათ უამბო ყველა მაშასი და თავის ამბავი იმის შესახებ და ისიცა, რაც ამაზედ იმათ თავს გადახედოდათ.

სწორეთ იმ კვირის სწორზედ, შუადღის თორმეტს საათზედ მოადგა ვლადიმირ ვლადისლავიჩი თავისი ცოლშვილით სვიმონს კარსა სავიზიტოთა.

სვიმონ და მაშა, რასაკვირველია, გაეგებნენ სიამოვნებითა. ამალია კარლოვნა მოეხვია და აკოცა მაშასა, როგორც თავის დიდის ხნის კეთილს ნაცნობსა.

ისინი ვიზიტის მაგივრათ დარჩნენ იქ ორს საათამდინ და ისრე გამხიარულდნენ და წრფელის გულით დარჩნენ, რომ ყოველი თავისი საიდუმლო აზრები აქ წარმოსთქვეს. ამათ გააბეს სხვა და სხვა პოლიტიკურისა და სამეცნიერო საგნებზედ ლაპარაკი, ამალია კარლოვნაჱ უფრო მაშასთან და შეიქნა გაცხარებული სჯა. ამათ სჯაში მალე გაერივნენ კუსტნიცკი და სვიმონიცა და აქ უფრო გაცხოველდა ბაასი.

ორი საათი დაჰკრა, რომ ძლივს მოაგონდათ იმათ წასვლა და სთხოვეს გულითა, რომ იმათაც არ დაევიწყნათ ესენი. შემდგომ შეექმნათ ამათ ერთმანერთში ხშირი სიარული. ამ ამბავმა ხრულებით მოსწყვიტა წელი იმათაცა, რომელნიც იძახდნენ, რომ უთუოთ კუსტინსკიმ არ იცის სვიმონის ამბები, თორემ არ აიყვანდა იმასა და დაარწმუნა, რომ ის მართლა არამთუ არ ერიდება ამასა და როგორც თავის თანასწორს, კიდეცა მეგობრობს. მაშინ ამათაც დაუწყეს ჩუმ

ჩუმათ შორიდამ სვიმონის თავის დაკვრა და თან და თან ეხენიც ცდილობდნენ დაახლოვებას და მოკლეს ხანში დავაცალოთ, დაუწყეს ვიზიტების კეთება და საყვედური, რატომ მაშა არ გაგვაცანიო. გამოჩნდნენ ახლა იმისთანა პირნიცა, გივის მახლობელნი, რომელთაც კიდეც დაუწყეს შუამავლობა, რომ გივის მიეცა ნება სვიმონისათჳს მაშაზედ ჯვარის დაწერისა, რომელზედაც მოუვიდათ პასუხი, რომ უწინ იმის გულზედ ქვასა ნახამენ, ვიდრემ ის ამ გვარის თავის შეუმარცხვენარის საქმის ნებას მისცემს სვიმონსა.

დასტური ჯვარის წერისა თუმცა მაშას არ მოუვიდა, მაგრამ ახლა საზოგადოებამ დაუწყო ქება და მართლება.

—უი, თქვენმა მზემა კარგი რამა ყოფილა!—იძახოდნენ ახლა ქალები.

—კაი ქალი ყოფილა, თქვენი თავის მზემაო, ამბობდნენ კაცები.

— ეგ სრულებითაც დასაძრახისი არ არის, რომ ის უბედურება შემთხვევია: თავის თავათ ხომ არ მოსვლია!.,. უფრო შესაბრალისიც არის, თორემა!—ამბობდნენ ქალები.

—თქვენმა მზემა მაგითი დასაწუნი არ არის, რომ ის ამბავი შემთხვევია... ეგ მამის ბრალია, რა!—იძახოდნენ კაცები:—მამაა მაგისი ჩამოსახრჩობი.—სვიმონი საქებურიც არის, რომ გამოუხსნია...

ესე და ამ გვარი ლაპარაკი ისმოდა ახლა ყველგან სვიმონის მგელსა და ახალს ნაცნობებსა და მოკეთებში.

ასე გასინჯე იმ დიდკაცმაც, სვიმონის ნათესავმა, რომელმაც ისე გაუკითხავათ დაითხოვა სამსახურის თხოვნაზედა სვიმონი, იმანაცკი გაუკეთა თავისის ცოლით ვიზიტი სვიმონსა და მაშასა.

—რატომ აქამდისინ თქვენი ცოლი არ გაგვაცანით?—ჰკითხა დიდიკაცის ცოლმა,რომელმაც უკანასკნელი სვიმონის მისვლის დროს, არცკი ინდომა ნახვა.

—მაშინ ჯერ საქები არა ჰქონდა!—წაიბუტბუტა სვიმონმა ცხვირ ქვეშ.

ამ გვარათ მაშა, არამთუ სათაკილოთ აღარავის მიაჩნდა და პირიქით ცდილობდნენ რომ გაბედნიერებულიყვნენ იმისი გაცნობითა, თუმცა გულშიკი არავინ იცის რა ედოთ. მაშას დაუწყეს პატიოობა და წვეულება. სვიმონმა ამ გვარი ხალხის ზნეობისა და თვისების გასაცნობათ ურჩია მაშას მიყოლა. მაშასაც რასაკჳრველია, უნდოდა გაეცნო

იმ საზოგადოების ცხოვრება, რომელიც აქამდის ასე ზიზღით უყუ-რებდნენ ამასა და ახლაკი ცდილობდნენ ამის გაცნობასა. სვიმონის ლტოლვილება და აზრიც კარგათ იცოდა მამამა და უნდოდა რომ არამთუ დამაბრკოლებელი ყოფილიყო იმის აზრების შესრულებისა, პირიქით უნდოდა და ცდილობდა, რომ ყოველისფერში თანაშემწე და მოზიარე ყოფილიყო იმის საქმეების და მეცადინეობისა. ამისგამო ისიცა ცდილობდა ყოველისფრის შესწავლასა და გაცნობასა, რაც შეეხებოდა იმათს ლტოლვილებასა.

მამამ დაიწყო სიარული წვეულებაზედ. მის ერთს წუთს არ ჰკარ-გავდა მუქთათ.

## 13

ვლადიმირ ვლადისლავიჩმა მოკლეს ხანში შეიძინა მრავალი მტერი, შევიდა თუ არა თანამდებობაში, იმან სულით დაუწყო ძებნა მუქთა-ხორა და უწესო მოსამსახურებსა და ყველას მალე დაასცლევინა ალაგები. ამ გვარი ხალხი ყოველთვის იერარხიაში, როგორც მოგეხსენებათ, არიან ხოლმე უფრო დიდკაცისა და მდიდრის გვარის შვილები. ამ გვარს ხალხში, რომელიაც ეჭირათ დიდი ალაგები და საქმის გაკე-თებაკი არ შეეძლოთ გროშის დანათვალები, ერივნენ იმ გვარი დიდ-კაცებიცა, რომელთაც ეჭირათ ძალა და სამართალი ხელში. მაგრამ ვლადიმირ ვლადისლავიჩი არც ამათ დაეფერა და მალე უჩვენა კარის გზა და ამათს ალაგსა ცდილობდა სანდო კაცების ჩაყენებასა. შეიქნა საშინელი ღრიანცელი ვლადიმირ ვლადისლავიჩზედ, ზოგი ეძახდა იმას იოანე გროზნის, ზოგი ნერონსა, ზოგი ჩრდილოეთის მხეცსა, ერ-თის სიტყვით რაცკი შეეძლოთ ამის მტერობასა, არა ზოგავდნენ ამის ლანძღვასა და სხვა და სხვა ცუდის სახელების დარქმევასა. ეს ამბავი იმის სანდურავისა გავარდა ყველგან. ძლიერმა მტრებმა უფ-რო სხვაფრივ დაიწყეს საქმე: დაუწყეს ბეზღება იქა, სადაც შეიძლე-ბოდა; ვლადიმირ ვლადისლავიჩს არა ჰყვანდა აქ ინდელზედ ნაკლები მტრები. იმათაც თავის მხრივ დაიწყეს ყოველს შემთხვევაში ცდა, რომ ევნოთ, დაემცროთ და ეწყენინებინათ რამე. ცუდად შეაგონეს უმაღლესთ პირთ, რომელსაც შეეძლოთ ავიცა და კარგიცა კუსტინიცე-ზედა. ესე ყოველივე არ დარჩა ვლადიმირ ვლადისლავიჩს შეუნიშნავი

ამან დაატყო, რომ ამას დაუწყეს ავის თვალით მზერა იმ პირთა, რომელთაც შეეძლოთ ამისი ვნება და ცდილობდნენ მიზეზის პოვნას, რომ ეს დაეღუპათ და ამან დააჩქარა სამსახურის თავის დანებება, მინამ ძალათი დაანებებინებდნენ თავსა.

მარტო ერთი კაცი ვერას იზავს — უთხრა იმან სვიმონს წასვლის დროსა — მეორეც ესა, თუ კაცს უნდა ჭაობის დაშრობა, უნდა ჯერ ის მდინარეები და წყაროები დაშრიტოს, რომელნიც აჩენენ ჭაობებსა და მერე ჭაობებიც დაშრებიან... თუ არა, ყველა ცდა ამაოა... მანამ ყველა მეცადინეს მალე მოიდნობენ, რაც უნდა ძლიერიც იყვნენ კეთილის საქმის მეცადინენი...

ვლადიმირ ვლადისლავიჩი გამოვიდა სამსახურიდამ და წავიდა თავის ყმა და მამულში, რომელიც ჰქონდა იმას დასავლეთის რუსეთის გუბერნიებში. იქ იმან დამართა, იმ წესზედ, როგორც თითონ საჭიროთ ჰხედავდა, სასალხო სასწავლებლები, და ზოგს სასწავლებლებში თითონ თავისის ცოლით ასწავლიდა გლეხკაცის შვილებსა.

წასვლა კუსტნიცკისა და იმის სახლობისა და სვიმონის, როგორც ჩვენს ზღაპრებში ამბობენ, ბედის ჩარხის უკუღმა დაბრუნება ერთი იყო.

ყოველგან, როგორც მოგეხსენებათ, შეხვდება კაცი პოლშია, გაფსუებულს და საქმე გამოლეულს ყმაწვილკაცებსა, რომელთათჳსაც ღმერთს არა ნარი არ მიუნიჭებია გარდა ფულების უფრთხილოთ ფანტვისა, არშიყობისა, და მოდური ფრაზებისა და უსაზიზღრესი კომპლემენტების როხვისა, და ან თუ მიუნიჭებია, სხუაც რამე, იმათ ვერ მოუხმარიათ. ამ გვარი ყმაწვილები არიან მომეტებული ნაწილი უფრო შვილები მდიდარი კაცისა.

რაკი ღმერთს ამათთჳს არ მიუცია არაფერი საქმე, ან უკეთა ვსთქვათ, რაკი ესენი ისე გაფსუებულან თავის სიმდიდრით, რომ ველარ მოუხერხებიათ ვერაფერი საქმე, თუნდა კიდეც რომ უნდოდეთ, ისინი ეძებენ თავის გასართობელს საქმესა. სხუა იმათს გასართობელს საქმეში ურევია, როგორც ზემოთაცა ვსთქვი, არშიყობაცა. რასაკჳრველია, რაკი ფულის პატრონნი არიან, ისინი ეძებენ საარშიყოს რომ ღირდეს კიდეც იმათ და ეძებენ კიდეცა იმისთანასა, რომელიც თავის საკბილოთაც ეგულებოდეთ.

ამათ რაკი იცოდნენ, მაშას წარსული ცხოვრება, იფიქრეს; აბა

ჩუჱნი საქმე ეხ არისო, აი! და შეუდგნენ თავის თავდარიგსა. ხადაც მაშა განჩნდებოდა, ეს ბუზიყლაპია ყმაწვილებიც იქ დაიბადებოდნენ და ევლებოდნენ გარშემო. მაგრამ უნდა გენახა რა საცოდავნი რამ იყვნენ ეს ნაქები თავის საქმეში ყმაწვილები: იმათ უწუდებოდათ პირის წყალი და უშრებოდათ ნერწყვი მაშასთან, უვარდებოდათ შოშისსავით ენა და ველარ ახერხებდნენ სრულებით ლაპარაკსა. ეს ხომ ისრეა, რომ ჭკუა ცარიელი და წამხდარი კაცი სულ დავთარსა ჰკარგაშენ ჭკვიანსა და რიგიანს ხალხთანა და რაღაც საცოდავი სანახავები შეიქნებიან ხოლმე იმ დროსა იმათი გაწყობილი და გამშვენებული ენა და ლაპარაკი. დაწყობილი და შემკობილი კომპლიმენტები, ერთი მაშას დამშვიდებული სახის დანახვაზედ, როგორც ეშმაკი მამაო ჩუჱნოზედ, გაჰქრებოდნენ და დაიკარგებოდნენ ხოლმე.

ბუზიყლაპიები გაოცდნენ,თუ როგორ მოსდიოდათ ეს საქმე ერთს «ვიღაცა საქუჱყნო გომბიოსთან»—მინამ იმას ნახავდნენ, ამათს ენას თჳთ ქუაც ყურს უგდებდა და ლბილდებოდა და მაშას დანახვაზედ ხრულებით ენაცა და გონებაც ეკარგებოდათ. იმათ არ იცოდნენ რისთვის დაებრალებინათ ეს თავის უბედურება. იმათ მიაწერეს ბოლოს ეს, ორს მიზეზსა: პირველი იმასა, რომ საზოგადოებამ თავისის მილებით თავს გამოადებინა და იმისთჳს იწევს ისე მაღლა თავშია, და იმათ არაფრათ აგდებს; მეორეც იმასა, რომ იმას ეშინოდა სვიმონისა, რომელიც თუ ვინიცობაა რასმე შენიშნავდა, გააგდებდა მაშას, როგორც ხასასა და არა ცოლსა.

ასე საცოდავათ პირღია დარჩენილთ და დამარცხებულთ ბუზიყლაპიებმა დაიწყეს ჭორების მოგონება და ცილის წამება მაშაზედ. ამათ მიასწიეს სვიმონამდინ. იმან იცოდა საცოდაობა ბუზიყლაპიებისა მაშასთან და მეელოდა ამ ამბავსა. იმან იმის მაგივრად, რომ დაეშალა მაშასთჳს ხიარული, უფრო გააყოლა ის საზოგადოებასა. მაშამ უფრო და უფრო მაგრა უჩვენა ბუზიყლაპიებს თავი და დაუწყო ისე ცქერა, როგორც საცოდავსა და ჭკუით გლახებსა. ამან კიდევ უფრო ააშფოთა მათი ბუზიყლაპიის დიდებულება და იმათ არ იცოდნენ ვიზედ ან როგორ გაესეთქნათ ბრაზი. იმათ მოინდომეს ბრაზის გახეთქა სვიმონზედ, რათა ეჩვენებინათ მაშასთჳს, რომ სვიმონი იმათი ტოლი და იმათი ყადრი არ არის.

ერთი ყმაწვილი ლამაზი, გვარდიაში ნამსახური ბუზიყლაპია, შჳლი დიდის ალაგის მჭერისა, მაგრამ თავის საუბედუროთ დარჩა საშინელი შერცხვენილი და ჩასა მშრალი; ამან ეს ისე ააშფოთა, რომ სულ თმებს იგლეჯდა. როგორ! ის ყმაწვილი კაცი. რომელიც პეტრებურგის გასათხოვარსა და გათხოვილს ქალებს ერთის თავისის დანახვით აგიჟებდა და ერთი თვალის დახამხამების მეტი არა უნდოდა რა! ეს ყმაწვილი კაცი სალაპარაკოთაც არ მიიყენა ვიღაცა ქჵტყუნის ნათრევმა გომბიომ!... იმან მოინდომა მაშას მოტაცება, მაგრამ იქამდის გული აღარ მიზდევდა. სხვა ბუზიყლაპიათაშორის ამანაც ბრაზის გასეთქა სვიმონზედ მოინდომა. იმას უნდოდა, რომ რამე მიზეზი მიეცა სვიმონისათვის, რომ იმასთან ჩხუბი გამორეოდა და საქვეყნოთ ერთი გვარდიული სილა ეჭმია, როგორც აჭმევდა სოლმე ის ხშირათ პეტერბურგის სამოქალაქო სამსახურის ყმაწვილებს.

ერთხელ აც.—ეს იყო რამდენისამე კვირის უკან, შემდგომ ჭვუსტნიცკის წასვლისა,—ერთს დიდს კაცთან იყვნენ სვიმონ და მაშა მიწვეულნი ბალში, თუ არ ვიცი ვეჩერზედ. იქ იყვნენ მოწვეულნი, როგორც დიდი კაცის შჳლები, ბევრი ბუზიყლაპიებიცა და სხვათა შორის გვარდიის ბუზიყლაპია ლომიცა.

გაიმართა ტანცაობა და ქადრილი; სვიმონ არც ერთხელ არა სწყალობდა, მაგრამ, რაკი აღარ მოეშვნენ, ჩაჯდა ქადრილში.

გვარდიის ბუზიყლაპია ლომი და ორი სხვა ბუზიყლაპია გამოვიდნენ ქადრილის სათამაშო ოთახში ცხარის ლაპარაკით. გვარდიის ლომი დადგა სვიმონის მახლობლათ ზურგ შექცეული, ვითომც და ვერა ჰხედავს და არც იცის, რომ ის აქ ზის.

—მერე, მერე? თუ ღმერთი გწამს!—ჰკითხავდა 2-ე ბუზიყლაპია, ბუზიყლაპია ლომსა.

—გამოვართვი სიტყვა, რაღა, და დამინიშნა ალაგიცა.

—აგრე მალე როგორ გაარიგე?—ჰკითხა 2-ე ბუზიყლაპიამ.

—ჰმ! ვალაპარაკებდიკი ბევრს სანხა!... ეგ ქჵტყუნის ნათრევი, რომ მალე არ გამერიგებინა, მაშ გვიან ვიღას გავირიგებდი!... მაგისთანაები იყვნენ პეტერბურგში, რომ ორი დაჩურჩულების მეტი არ მინდოდა.

სვიმონს ესმოდა ეს ლაპარაკი და მაშინვე მიხვდა, ვიზედაცა ლაპარაკობდნენ. სვიმონ აენთო და დაუწყო ტუჩებს კვნეტა. ის მიხვდა

იმათაც რაცა ჰწყნებავდათ.

—ეჰ! არცკი ღირს ეგ იმათა, რომ იმათზედ კაცი მოსცდეს!— სთქვა ამ ბუზიყლაპიამ.

—განა კი მართლა ღირდა! არც მე გახლდით იმისათვის დაფეთე-ბული, მაგრამ იმის ცრუ მეუღლეს უნდოდა ისე დაეჭირა ის კელში, რომ იმის მეტს არავისა რგებოდა.... და მგონია ისეც ჰგონია, რომ იმის მეტს აღარავის ინდომებს... თორემ მაგაზედ დროს მოვაცდენ!. მინდა მეცადნა რადა... რომ შემხვდებოდეს სადმე უფალი ბადლამე, ამას საქვეყნოდ ვეტყოდი.

სვიმონ აენთო თონესავით; იმან შეიმაგრა გული და წამოიწია სტო-ლიდამ, მოთამაშეებმა შენიშნეს ცვლილება სვიმონსა.

—რა დაგემართათ?—ჰკითხეს იმათ ერთიმავ.

—არაფერი, ცოტა თავი ამტკივდა.—უპასუხა იმან.

ამ დროს გამოსწია სვიმონმა სკამს ასადგომათა და როგორღაც მოსვდა გვერდიის ლომს სკამის ფეხი; (ის ახლო იდგა სვიმონთანა.) ლომმა შეხედა მრისხანებით.

—აქ დათვები არ გახლავან, მოწყალეო კელმწიფევ, რომ აგრე ბრიყულად იგცქვით!—შენიშნა იმან შეტევით სვიმონსა.

—მე დათვზედ უარესებსაც გვნახვდავ აქა!—უპასუხა გაბრაზებით სვიმონმა, და აქ აპირებდა თავისთავს გავლასა.

ლომი აენთო თავისის კეთილშობილურის მრისხანებითა და სტაცა სვიმონს მკერდში ხელი.

—მამ მე დათვი ვარ, რაღა?!.. თქვენ იქნება არ იცით ვისთანა გაქვთ საქმე!! მე დაჩოქილს მოგათხოვნინებთ ჩემ წინ ბოდიშსა!—

—ხელი!—შეიტია თავის მხრივ მრისხანეთ სვიმონმა და იმას გა-უელვა სამინელად თვალებმა.

—სულ გაგხდი ემა კბილებიდამა, მე საქვეყნოს ქმარო, შენა....

სტუმრები მოსცვივდნენ ყოველმხრიდამ. სამინელმა მოლტივით სილის ტყლაშუნმა გააწყვეტინა ლომს სიტყვა; ლომი დაიფარიმავდა, და გაისვა სმალს კელი. გაიტყლაშუნა მეორე სილამ და ლომი ზღმა-რტლივით დაეცა ადგილზედ გაშოტილი.

სტუმრებმა სტაცეს სვიმონს ხელი.

—ეყოფა!—უთხრა სვიმონმა:—დღეს მაგაზედ გადაივლის და ხვალ როგორც გამოჩენილი სამხედრო კაცი, უეჭველია არ შემარჩენს და

სხჳას მოინდომებს.

მეორეს დღეს მოუვიდნენ სვიმონს სეკუნდანტები.

—კეთილი!—უთხრა სვიმონმა:—სადაც ნებავდეს და რაშიაცა ჰნე-ბავდეს მე მზათ გახლავართ, თუმცაკი ჩემხრივ დიდი სიმჴეცე და სი-სულელე იქნება დუელი, მეტადრე მაგისთანა მხეცებთანა, მაგრამ არ ვაწყენინებ.

სვიმონმა მე წამიყვანა მოწმათა.

ლომმა მოინდომა ხმლით ბრძოლა, რადგან ეგონა, რომ ხმალი სვიმონს არ ეცოდინებოდა.

ჩჳენ მივედით დანიშნულს ვადაზედ; წინააღმდეგები ჯერ არა ჩა-ნდნენ.

—ვარგა რასმე ე შენი ხმალი?—ვკითხე მე სვიმონსა.

—იმისათჳსკი კმარა, რომ ის მოვიგერო და მოვკლა,ამისიკი მე არ მინდა... დეე იცოცხლოს, რამდენი მაგისთანა მავნე მატლია ქჳეყა-ნაზედ.

ძლივს მოვიდნენ ისინიც. ლომი იყო საშინელი გაფითრებული და ფერ გადაკრული. ყბა ჰქონდა ახვეული.

—მამ აღარ იშლით?—ჰკითხა სვიმონმა.

ლომმა რაღაც წაიჩურჩულა ფილენჯიურათ.

წინააღმდეგები დადგნენ თავთავის ადგილას. ლომი თრთოდა.

ერთი... ორი... სამი...: და შეიქნა ბრძოლა. ლომმა დაუწყო სა-სიკვდილოთ ხმლის ქნევა. სვიმონმა სამჯერ ოსტატურათ ამოღებუ-ლი ხმალით მოიგერა.მეოთხეთ შემოჰკრა ძირიდამ ხმლის ყუა ლომს მაჯაში, აუგრა უცებ ხმალსა და გააგდებინა. ლომმა შეაქცია ზურგი და:..აბა ჰა!..სვიმონმა მიაყოლა ხმლის ყუა და თან შეუტია სხვა ბუზიე-ლაშიებსაც. იმათაც მალე იცადრეს ადგილის ცვლა. მე არ მომითმინა გულმა და დავეც ყიჟინა. ისინი შიშით დაეშვნენ საშინელს კლდეზედა და სულ ყარწაყურწით წავიდნენ ძირს თავდაყირა. ჩჳენ შეგვეშინდა რომ, არ დალეწილიყვნენ, მაგრამ ძირს ჩაგორებულნი. ისინი ისევ წამოსცვივდნენ და ქუდმოშვლეპილები გარბოდნენ, თითქო ისე უკან მოსდევდენო, თუმცა ჩჳენ ადგილდამ აღარცკი დავძრულვართ; სი-ცილითა და მწუხარებით უცქეროდით იმათს შიშსა და ფაცაფუცსა.

## 14

—ახლაკი კმარა!—უთხრა სვიმონმა მაშას:—ახლა საკმაოთ გაიცანი შენ ეგ საზოგადოება და იცი მაგათი ცხოვრება, აზრი და ცხოვრება, აზრი და მდგომარეობა, რაც არის. ახლაკი უნდა მაგათ ცოტ-ცოტათი თავი მოვარიდოთ, თორემ მანდ ბევრი დროება იკარგება და მაგგვარმა ცხოვრებამ შეჩვევა და ჩათრევაც იცის.

იმ დღეს იქით მაშამ და სვიმონმა დაიწყეს თან და თან რიდი ამ საზოგადოებისა: აგრე ხშირათ აღარ მიდიოდნენ წვეულებაზედ, სტუმრებს აღარ უჩვენებდნენ ძველებურათ გულსა. ეს შეუნიშნავი არ დარჩათ ამ გვარს საქმეში შორს მხედველს ჩუჱნს საზოგადოებას და ახლა უფრო შეშფოთდნენ ისინი.

—ჰყურობ, როგორ ცხვირსაც მაღლა იღებს!—ჯავრობდნენ ჩვენი ქალბატონები:—აბა ჩუჱნ მაშინ დავაშავეთ და დავამარცხეთ ჩვენი თავი, რომ ეგ ჩუჱნში გაურიეთ!—

—თქუჱნმა მზემ ამას იქით კაცათაც ნურავინ ჩავაგდებთ!... აბა რა იცის თქუჱნი ჭირიმეთ, პატიოსანი სახლის ყადრი იმ გვარმა გომბიომ. იძახდნენ სხვები:—პატარა დაცადეთ, თუ ისევ წყალი ნაწულევში არ ჩავარდეს!.,. თავათ ამბობენ, რომ დოელი სულაც იმაზედ მოსვლიათ სვიმონსა და კნიაზ ლ. რომ სვიმონს ვითომც...

—თქუჱნმა მზემ, სწორეთ აგრე გხლებიათ,—უკრავდნენ ერთმანერთს კვერსა:—მაგრამ კინაღამ მოუკლავს კნიაზ არჩილს სვიმონი დოველშია: მოკვლაკი აღარ უნდომებია—შესცოდებია და გაუგდებინებია ხელიდამ ხმალი და მერე სულ კბილებში უცემია. დაუგორებია მთიდამა და ძირამდის სულ ტომარასავით უგორებია.

—აბა რას გაუსდებოდა, თქუჱნი ჭირიმეთ, სვიმონი არჩილსა... ვარდიის პოლკში, ხელმწიფის კარზედ ნამსახურსა...

—ეგა ბრძანეთ!... მაგისთანა კაცი ხომ მალე აიწევს თავშია.

საზოგადოებაში რომ ეს ამბავი და უკმაყოფილება იყო სვიმონსა და მაშაზედა, ბუზიყლაპიები უფრო სხუასა ლაპარაკობდნენ, რაკი მოსპეს სვიმონთან სიარული, დაიწყეს იმათ ლაპარაკი. რომ მაშა სვიმონმა იმიტომ დაამწყვდია, რომ შენიშნა ყმაწვილიკაცების აყოლა. რაკი ჰხედავდნენ, რომ ეს ლაპარაკი სჯეროდათ ყველასა, იმათ ამასაც აღარ დააჯერეს და დაიწყეს კვეხნა რომ მაშასი ხამნი ისინიც არ არიან.

—მე კიდეც მომწყინდა ისა,—იძახდა ერთი ბუზიულაშია.

—მე ფიცი დამიდო და მეც ფიცსა მთხოვდა ერთგულებისასა!—იძახდა მეორე .

—მე,.. კვეხულობდა მესამე.

—მშვენიერი მხარ მკერდი აქვს!—იძახდა მეოთხე.

—რა ყინიანია, და!...

—შენ სხუა სთქვი!.-.

—ჰო, და!—იძახოდნენ ერთხმივა და სთვლიდნენ,საქვეყნოთ ამგვარს მაშას ღირსებასა.

ამგვარი ხმა გველივით დამკრებოდა ჩუმნი საზოგადოების შირში. სვიმონს, რომელიც თუმცა ძალიან ყურმძიმე იყო ამისთანაებში, სტკენდა ეს გულსა. იმას თან და თან ძალიან შეუყვარდა მაშა; ისა ჰხედავდა, რომ ამისთანა ამხანაგს საცოლოთ ვერსად იშოვნიდა ისა და ის შეჰფერობდა ყოველს იმის აზრსა და ღტოლვილებასა, მიზე-ზიც ეს იყო, რომ სვიმონ ყურს უგდებდა და სწყინდა მაშაზედ ცუ-დი ლაპარაკი.

არამთუ არ დასჯერდნენ იმასა, რასაც ლაპარაკობდნენ თვით მაშას პირველი მეგობარი ქალებიცა, ასლა დაყარეს ხმა, რომ სვიმონ ცუ-დის გულისათჳს თავს ანებებდა მაშასა.

—უნდა დროით წავიდეთ და გავეცალნეთ აქედამ,—ამბობდა სვი-მონი,—თორემ ეს ხმები ჩემზედ ცუდათა მოქმედებენ.

—ილაპარაკონ,—ეუბნებოდა მაშა:—რა გენაღვლება: შენ მაგითი რა გაკლდება?!

—არაფერი... მაგრამ... მაინც, თუმცა მეც არ მინდა, მაგრამ მწ-ყინს.

სვიმონ აპირებდა სამზღვარს გარეთ სამიოდ ოთხის წლობით წა-სვლასა და როგორც ზემოთაცა ვსთქვით, მაშაც თან მიჰყავდა- ის აპი-რებდა სხუა და სხუა უნივერსიტეტებში და სალაბარატორიოებში ყუ-რისგდებას და ფიზიკისა და ხიმიის ღრმათ შესწავლას; აგრეთვე უნდო-და თუალით ნახვა და თჳთ გამოცდით შესწავლა სხუა და სხუა სასასლო-პატრონო სამეცნიერობაების ალაგობრივ შესწავლისა და სხუა კიდევ ბევრ რისამეს გაცნობასა და შესწავლასა, ამისგულისათჳს სვიმონ აგ-როვებდა ფულებს თავის ჯამაგირისას და თავის უროკებისა და მაშას უროკებისაგან. ამათ კიდეცა ჰქონდათ ერთი ან ორმოც თუმნამდის

შეკრებილი, რომ ამ დროს იმისი დაუძინარი მტერი და იმის მო-კეთები, რაკი ცხადად ვერა დააკლესრა, უპირებდნენ ჩუმათ გადახდა-სა. ესენი არ იყვნენ სამნი არავითარს ჩუმათ მოქმედებისა. . . , . .

სვიმონს გაეგონა ესე ყველაფერი ამბები იმ ოჯახისა; მაგრამ ვერას დროს ვერ მოელოდა, თუ ისინი ცხადათ საქვეყნოთ მთელს ამოდენა ქალაქს ალაგას მოახდენდნენ რასმე ამის თავზედაც-ის ელოდა რომ ამას დაუხვდებოდნენ გზაში და არც სასიკვდილოთ, არც სხვაფრივ არ დაზოგავდნენ ისინი ამასა, მაგრამ შიგ სახლში, ისე საქვეყნოთ ვერც ისა, ვერც მე და ვერცა რაგინდ სხვა ვერ მოი-ფიქრებდა.

ერთღამესაც სვიმონმა იგრძნო, რომ თავს რაღაც დაასწვა და მაგრა დაბოჭეს. იმან გაცვიფრებულმა წამოიწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ვერ აუდგა იმას; აწვა თავს ხუთი ექვსი თოფიარა-ღიანი კაცი. მერმე ოთახიდამ შემოესმა , მამას ხრიალი და ამ ხრია-ლის უცებ ჩაკმენდა. სვიმონმა უფრო ძლიერათ წამოიწია და რაკი ვერა გააწყო რა, დააპირა ყვირილი; მაგრამ დაუჭირეს თავი, გაუხს-ნეს ყბის ტარით კრიჭა და ჩასჩარეს პირში ჭუჭყიანი ხელსახოცი. ნახევარს საათს უკან მაგრა გაბოჭილი და თვალებ აკრული ისიცა და მამაც გაიტანეს სადაღაც. სვიმონ და მამა, რომლებსაც მიიყვანეს ალა-გობრივ, დააშორეს ერთმანეთს. სვიმონ წარადგინეს ერთს მრისხანე შეასხანს გადასულს კაცთან სადღაც უცნობ ალაგას. სვიმონს გაუხსნეს თვალები, და ამოართვეს პირიდამ ხელთსახოცი.

—მიცნობ?—ჰკითხა მრისხანეთ ერთმა მდიდრათ და შავათ ჩაცმუ-ლმა კაცმა.

—სვიმონმა იცნა და ხმა არ გასცა. სვიმონ იყო მოღალული ბრძოლითა და შეწუხებული ცემითაცა და შეკრულობითა.

აქ მრისხანე დიდმა კაცმა გაუშალა დიდკაცური სილა. სვიმონ შეთრთოლდა, მარდვებმა სულ ცემა დაუწყეს; თოკებმა შეჰქნეს ჭაჭაჭუჭი.

—მოიტა როზგი!—შესძახა დიდკაცმა.

—სვიმონ გალურჯდა და აევსო თვალები სისხლითა.

—ახლა გაიგე ვისთანაცა გქონია შენ საქმე?! გაიგე?!—უყვიროდა შავიანი კაცი,გონება დაკარგულს სვიმონსა,მაგრამ სვიმონს, ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა.

მეორე დღეს, სადილის დროს მივედი სვიმონისას. იმის სახლს ედო გარედამ კლიტე. მივედ კუხნასთან, ისიც დაკეტილი დამხვდა. ამ ამბავმა მე გამაოცა. «თუ წავიდნენ სადმე, — ვფიქრობდი მე, - სად წავიდოდნენ; თუ არა და ეს რა ამბავია?!»

მე ავედი სახლის პატრონთან. არცა რა იმათ იცოდნენ.

— ჩვენ თვითონაც გვიკვირს. — მიიხრეს იმათ: — ასე ადრე სად უნდა წასულიყვნენ. არცა რა სადმე ბიჭი ჩანს... მარტო სახლი როგორ დასტოვეს.

მე როგორღაც იჭვი შემივიდა. ჩვენ ავედით და გავსტეხეთ სახლის კლიტე. შიგმა მტერმა ნახოს ის სანახავი, რაც ჩვენა ვნახეთ. ყუთები და კამოდი სულ დანტვრეული და აფორიაქებულები ეყარნენ აქეთ იქით. სახლი სულ გადმოქოთიალებული და ჭურჭელი სულ დამტვრეული იყო. სვიმონ და მაშა არსადა სჩანდნენ; გიორგი ცოცხალმკვდარი ეგდო აკვანში, ჩხავილისაგან ჰქონდა გული წასული. შევედით სამზარეულოში! ისიც ცარიელი დაგვიხვდა. ჭურჭელი სულ წაღებული იყო, მეგრელი ბიჭი, რომელიც გოგიას მაგივრად დაიჭირა ამ მოკლეს ხანში, არ სად იყო.

მე იმწამს მივეც განცხადება.

მესამე დღეს იპოვეს სვიმონ წყლის პირას გაშეშებული და დასიებული. ტანი რომზგიბაგან ჰქონდა დაფლეთილი. მეორეს დღეს მოიყვანეს ცოცხალ მკვდარი მაშა და დააგდეს იმათის სახლის კარებზედა.

ეს ამბავი, რასაკვირველია, გავარდა მთელს ქალაქში; მთელი ქალაქი აღრეული და შეშფოთებული დადიოდა.

გავარდა უცებ ხმა, რომ სვიმონ მოჰკლეს მაშას საყვარლებმა. ეს ხმა თან და თან უფრო და უფრო გაცხოვლდა და რა კითხი უნდა, სამართალს არ დარჩა შეუნიშნავათ. ცოცხალ მკვდარი მაშა დაიჭირეს და მორჩენამდის ის გაისტუმრეს საავათმყოფოში. გიორგი აიყვანა პოლიცამ და მიაბარა ერთს თავის ნაცნობს ბებერს.

## 15

მაშას თავსა და სვიმონის თავს რომ ამბავი იყო, კიდევ ამის წინა ჩემი შეგირდები მომზადებულები გიმნაზიის მეოთხე კლასისათვის

შევიდნენ გიმნაზიაში. დავრჩი უშეგირდოთ, მაშასადამე უფულოთაც. მინამ სვიმონსა და მაშას ეს უბედურება ეწეოდათ, მეც მინამ იმათთანა მქონდა ხარჯი, ახლა დავრჩი ყოვლის მხრივ უნუგეშოთ. რადგან უროკები მე მქონდა დილ დილითა, და ჩემი რჩენის ღონე ჯერობით მარტო უროკები მეგულებოდნენ, ამისგამო, მეტი ღონე არა მქონდა, უნდა რამდენიმე საათი დილაობით დამენებებინა თავი სამსახურისათჳს. ამის გულისათჳს რამდენიც ალაგი გაიხსნა, მისცეს სხვასა, რადგან ჩემი სამსახურიდამ განშორებას რაცხავდნენ ჩემი მეუფროსენი ჩემს სიზარმაცეთა, თუმცა მე სხვებზედ უფრო ბევრს ვაკეთებდი. . . . . . . . . .

რაკი უუროკო დავრჩი და ალაგიც არსად მიჩნდა, ჩემი საქმე მალიან ცუდათ იყო, მე დავუწყევ უფრო მეცადინეთ უროკებს ძებნა, მაგრამ უროკების კვალიც ვერსადა ვჭპოვე, მე ჩავიცვალ ვალებში და მიცემა არსად მიჩნდა. გამომაგდეს სახლიდამა, მედუქნემ საჭმელი აღარ მანდო, მასლობელი რიგიანი ნაცნობი და მეგობარი არავინა მყვანდა, გარდა ჩემსავით ღატაკებისა და გაჭირვებულებისა. მე ჯერ მინამ სახლიდამ გამომაგდებდნენ ნახევარ ფასათ დავყიდე, ასე გამინჯე ქვეშსაგებიცა, გარდა ამისა რაც შემრჩა ტანზედა, რასაც ამბავს ამ წლის ნახევრის წინათ მოელოდა სვიმონ თავის თავზედ, მე დამადგა. დავრჩი უბინაო და უსმელ უჭმელი. ბინათ დავიდევ მე ღამობით ჩემი სამსახურის სასახლე. სამი დღე ჩემს პირში ნაწილი არ ჩასულა, შიმშილმა ასირებულათ შემაწუხა. თუმცა ვიცოდი, რომ ჩემი ნაწილის მეუფროსე არ მიყურებდა მე კარგის თვალითა, მაგრამ შიმშილმა გამაბედვინა და წაველ იმასთან ალაგის სათხოვნელად, იმ ჟამს კიდეც იხსნებოდა იმის ნაწილში ერთი ალაგი. მე წინ და წინ დავაწყე რაც უნდა მეთქვა და ამასთან კიდეცა ვფიქრობდი მეამბო იმისათჳს ჩემი სამწუხარო მდგომარეობა, რომ ეგება ამითი მაინც შემიბრალოს და ამ მდგომარეობიდამ გამომიხსნას მეთქი.

შევედ თუ არა, ის მეუფროსე მომეგება ამრეზილი. მე სულ ავირიე.

—რა გნებავთ!—მკითხა იმან შუბლშეკვრითა.

—მე თქჳენთან სათხოვარი მაქჳს... მე არ გაგიბედავდით შეწუხებასა... რომ დავიწყე მე არევითა და თითონაცკი აღარ ვიცოდი რას ვამბობდი... ცალკე სისუსტით, ცალკე სირცხვილით მუხლთ მეკეცებოდა.

— ვიცი. ვიცი! — გამაწყვეტინა იმანა: — მე თქჳენ ვერაფერს გიშველით...

— მე ძალიან ცუდს მდგომარეობაში გახლა...

— მე მეტი არა მცალიან თქჳენთჳს! — ამ სიტყვებით ის გახრიხხებული გაბრუნდა მეორე ოთახში და მიიჯახუნა მაგრა კარები.

ეს ამბავი იყო ნასწავლის რიცხვს გიორგობის თვეში. საღამოს რვა საათზედ. დაფიქრებული და დაძმარებული გამოველ მე იქიდამ. რასაც მე მაშინა ვგრძნობდი, არ შემიძლიან წარმოვსთქუა. გული მიცემდა და მიღელავდა, გრძნობა ამერია. მე დიდს ხანს მოვდიოდი გონება არეული, გამოურკვეველის შეიწრებულის ფიქრებითა. მე მელოდა შიმშილით სიკუდილი. სიბრაზით ვინტვრევდი კბილებსა... ბოლოს წამკარდა თვალებიდამ ცრემლი. ეს ცრემლი იყო დამწვარის გულისა. მე ისე შიმშილის დარდი არ მაწუხებდა როგორც ისა, რომ რამთენი მოსათმენი უნდა ამეტანა ტყუილ უბრალოთა; უნდა ცხრათ მოკაკული ხვეწნით უნდა მივსულიყავ იმისთანა კაცთან, რომელსაც პატიოსანი კაცი ხელს არცკი მისცემდა, და იმისგნით ვინ იცის რა არ უნდა მომეთმინა. ერთის სიტყვით ისეთს მდგომარეობაში ვიყავი, რომ დანა ვისმე დაეცა, სისხლი არ გამოვიდოდა.

ამ ყოფაში მე ვიარე დიდს ხანს. ბოლოს, მე ხაცალას ჩავუხვიე ერთს ვიწრო ურუ ბნელს ქუჩაში. რამ მომიყვანა მე ქუჩაში, ესეც ვერ მომიფიქრია. მე ვეგდე იქ ერთი უფანჯრო კედლის ძირას და არცთუ მეძინა და არც ფხიზელი ვიყავ. ამ მდგომარეობიდამ გამომიყვანა ერთმა ვიღაცა პაყარნმა კინტუამ. როგორც ეტყობა იმ კინტოს მე რუსი ვეგონე.

— ეი!... ბრატ!... ეი!... სტავაი!... ზდეს დოხნიშ! — მიყვიროდა ისა: — ეი ბოლუ ზდოხნიშ! — და აქ წამკრა კინტომ ფეხი.

მე ძლივს გამოვერკვიე ფიქრიდამ თუ ძილიდამ. გამორკვეულმა ამ მდგომარეობიდამ მე ვიგრძენ საშინელი შიმშილი და მაშინვე შევაჩერე კინტოს ხელებში თვალები.

— ერთი ლუკმა პური ხომ არა გაქუს, ჩემო ძმაო? — უთხარ მე თრთოლვითა.

— პური?.. პური ხომ ჯიბით არ დამაქუს! — მითხრა იმან დაცინვით: — ოხერო, დამთვრალხარ და ახლა პურს თხოულობ! — და იმან გასწია თავის გზაზედ: — წასვიდე შინ გამოიძინო... მომატანა იმან მომავალმა.

მე გიჟივით წამოვხტი და უკან დავედევნე, თითონაცკი არ ვიცოდი რას მივდევდი. რაკი დამინახა, რომ უკან მივდევდი, ერთიკი დამიძახა: «ყარაულ!» და მოჰკურცხლა საჭყარომზედა. მეც გამოუდექ ფარფატითა. რომ დავენახე ვისმე სწორეთ მართლა მთვრალი რუსი ვეგონებოდი.

ამ სირბილით მე გამოველ ერთ ქუჩიდამ ერთს ღია ნაცნობს ქუჩაში და შევდექ.

შტაბის საათზედ დაჰკრა თორმეტი.

შიმშილი თან და თან უფრო მაწუხებდა, რომ არა მტკენოდა, ხელებს დავიჭამდი. მეტი ღონე არ იყო, უნდა პური მეთხოვნა. მე წაველ, დაუწყე მებნა ღია დუქანს სადმე. ყველა დუქნები იყვნენ დაკეტილნი. ძლივს მივადექ ერთს დუქანს, რომლისაც დარაბებიდამ სჩანდა სანთლის შუქი და ისმოდა დუდუკის ხმა. მე შევიხედე ჭუჭუტანაში. ორი ვიღაცა ქართველი თავადიშვილი, თუ აზნაურიშვილი, უსხდნენ ორ სავსე ალაზნიურ ღვინის წითელს გოგოსა, შედიოდნენ ემსმის და მიდიოდნენ პირამდის ხან ერთმანერთთან და ხან გოგოებთან, რომელნიც უსხდნენ სამაგიეროსა და, რომელნიც ალერსით იგინებოდნენ საშინელის კაცურის სიტყვებითა, რომლისაც, როგორც ეტყობოდათ უმაწვილები ძალიან კმაყოფილნი იყვნენ.

მე ჯერ ერთი ეს, მშიოდა საშინლადა, მეორე მწყუროდა გაგიჟებითა. რაკი დავინახე პური და წყლის ჭურჭელი, სულ ჟრჟოლა დამაწყებინა. მე დაუწყევ კარებს რაკუნი. ყური არავინ მათხოვა.

მე დაუწყე უფრო კიდევ რაკუნი დარაბებსა.

— ეი! ქტო ტამ. ჩტო ნადა? დამიძახა მედუქნემა.

— თუ შენი ღმერთი გწამს, შემიშვი, — დაუწყევ მედუქნეს ხვეწნა.

— რომელი ხარ! — მელაპარაკებოდა დახლიდამ მედუქნე, რომელს ფიქრადაც არ მოსდიოდა კარის გაღება.

— მე ვარ, მე! — დავიწყე მე უიმედოთა: — ერთი ლუკმა პური მომაწოდე შენი ღვთის გულისათვის! ლამის შიმშილმა მომკლას.

— ეეი, ეშმაკი! — შეიტიეს ჩვენმა მოქეიფეებმა და წამოხტნენ ხანჯალზედ ხელ ნატაცებით: — აბა ერთი დაგვენახვე, რომელი ხარ!.. სიცოცხლე ხო არ მოგბეზრებია!..

ქალებმა სტაცეს ხელი და დაიჭირეს.

—წადი, დაიკარგე ვიღაცა მხეცი ხარ! — დამიძახა მედუქნემ: — ხომ ხედავ აქ კნიაზები ქეიფობენ.

მე წაველ და დაუწყე სხვა დუქნებს ძებნა, მაგრამ ყველგან დაკეტილი იყო. შიმშილით დაუწყე კბნეტა ხელებს და რაკი ტკენამ შემაყენა, დაუწყე თითებს წუწვნა...

გონება უარესათ ამემღვრა, ცნება მიმიხდა, გავსწიე უნებურათ კიდევ და არ ვიცოდი სად მივდიოდი. დიდს ხანს ვიარე კიდევ ასრე და როდესაც გამოვფხიზლდი და გამოვერკვიე ფიქრიდამ, მე ვიდექ ხიდზედ მტკვრის პირას მოაჯირთან ღილებ გახსნილი, ვისდიდი ხერთუესაცა და გადავცქეროდი მჩქეფარე წყალსა...

მე მივიხედ-მოვიხედე იმგრგვლივ და დაუწყე რაღაცა ყურის გდება. ფანრები აღარ ენთნენ ხიდზედა. ყველგან სიჩუმე იყო, ცა იყო მშვენივრათ მოწმენდილი; ვარსკვლავები ოქროს ფერად ჯგუფ-ჯგუფათ ანათებდნენ და ბრწყინვალებდნენ ლურჯს სპეტაკს ცაზედა; მტკვარი მხიარულის ჩხრიალით მორბოდა ჩემს ფეხსქვეშა; ოდნავი ქარი მოხისხიებდა მტკვრიდამა, შორს ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ბაიყუშური ხმა ჩასავლებისა...

მე წარმომიდგა ჩემი სიყმაწვილე და ყოველი დრო ჩემის ცხოვრებისა, როდესაც იმედით უყურებდი ჩემს მომავალს, როდესაც თვითონაც ბედნიერი და უზიანო დრო მქონდა. მე შემენანა თავი სასაკვდილოთ და ისკი დამავიწყდა, რომ ესლა ის ბედნიერი დრო აღარა მაქვს.

მე ჩავფიქრდი... შევიკრიბე ყოველი ჩემი ღონე და ფიქრები.... შიმშილმა და წყურვილმა დამიწყო კიდევ ღონება. მე გადავავლე მაშინ მართალის ფიქრით თვალი ჩემს ცხოვრებას: აწმყოს და მომავალსა და დავრწმუნდი, რომ ჩემი სიცოცხლე შეუძლებელი იყო: ყოველივე ჩემი ვითარება და მდგომარეობა მარწმუნებდა, რომ ერთი ღონისძიებაღა დამრჩენოდა.... მე კიდევ მივიხედე მოვიხედე... თვალები ცრემლებით ამემღვრნენ... ქარი მიბერავდა შიგ პირში, და მამხნევებდა ჩემს დაწყობილებაში... შევხედე წყალსა და ისიც თავისის წყნარის ჩხრიალით თითქო მეპატიჟებოდა თავის ტალღებში გასასვენებლად, მე განვემზადე გადასავარდნელად... მაგრამ კიდევ შევდექ... იქნება რამე იმედი სადმე გამომიჩნდეს და დავიწყებული მქონდეს მეთქი, ვფიქრობდი მე, და დავიწყე კიდევ ფიქრი... მაგრამ მაინც კიდევ ხანუგე-

შო არა წარმომიდგარა... მე გადავწყვიტე გადავარდნა და შემებრალა ჩემი თავი.. მე მომივიდა ცრემლები... დავიწყე ბოვშივით ტირილი... ქვეყანაში, სადაც ყოველისფერი საკმაოა, უნდა კაცი შიმშილისაგან კვდებოდეს!.. ლოდინი საჭირო აღარ იყო... სიკვდილს იქით ხსნა აღარ მიჩანდა.. მე მოვკიდე თუჯის მოაჯირს ხელი და როგორც ავიღე ფეხი გადასახლაჯებლად მოაჯირზედ და გადასავარდნელად, ვიღამაცა მტაცა ხელი.

—გამარჯვება, დავით პავლოვიჩ!—მითხრა მე ვიღამაცა რუსულად:—რას ჩადიხართ?... ან აქ ამ დროს რა გინდათ?...

მე შემკრთალი შევდექ, შევხედე და ვიცან ერთი რუსის მწერალი, რომელიც სწერდა იმ სტოლზედ, რომელზედაც მე ვმსახურებოდი. გვარი ამ მწერლისა იყო ტრეშჩოვი.

მე ცალკე კიდეც შემრცხვა, ერთ რიგათ კიდეც მეწყინა, რომ დამიშალა თავის დასრჩობა და თითქო კიდეც მიამა.—ერთის სიტყვით აუხსნარი გრძნობა ამერია.

—არაფერი.—უპასუხე მე:—ცოტა თავი მტკივა და გამოველ გასაგრილებლად...

—არა,—მიპასუხა იმან:—თქვენ რაღაცა ცუდი განზრახვა გაქვთ გულშია.... მე შევიტყე, რომ თქვენ ბინა თურმე არა გაქვთ... და ყველა ავეჯი დაგიყიდნიათ.. თუ უკაცრავათ არ გახლდებით, დავით პავლოვიჩ, და არ ითაკილებთ,—დაიწყო კიდევ ტრეშჩოვმა ყოყმობით:—და თუ მიკადრებთ, ჩემთან მობრძანდით, მინამ ალაგს იშოვნიდეთ... თქვენ ღმერთი არ დაგკარგავთ, ისეთი კეთილის გულისა ხართ... მე და ჩემი ცოლი არაფერს დავიშურებთ, თუ გვექნება რამე და ბევრე თქვენც გადაგვიხდით.

ამას ისეთის მორცხობით და მოკრძალებით მეუბნებოდა საწყალი თორმეტ მანეთიანი მწერალი, რომ თითქო თითონა სთხოვს კაცსა მოწყალებასა და ეშინიან უარი არ უთხრანო. მე ამაზედ უფრო შევკრთი და ავირიე.. ვერას ვახერხებდი რა მეთქვა. იმან რაკი დამატყო, რომ მე უარს არ ვეუბნებოდი, წამავლო მტკიცედ ხელი და თითქმის ძალათი წამათრია, მე როგორც ბავშვი ქურდობაზედ დაჭერილი, ისე მივდევდი უკანა. მე მომდიოდა ტირილი და ვიმაგრებდი თავსა; შიმშილი და წყურვილი მიცხოველდებოდა..

ჩვენ მივედით ტრეშჩოვის ბინაზედ.

ტრემჩოვს ყვანდა ცოლი, რომელსაც ერქვა აქსინია სიმიონოვნა. ის იქმნებოდა ოცისა, თუ ოცდა ორის წლის ყმაწვილი, კაი შესახედაობის მოყვანილი და მხნე ქალი. იმას თავის ხელით შეჰქონდა შო-თვეში ერთი თუმნიდამ თუმან ნახევრამდინ. ამ გვარათ, როგორც იყო ცოლქმარნი ცხოვრებდნენ. იმათ ეჭირათ ერთს რუსულს ქუჩაში ორი რუსული პაწაწინა ოთახი.

ჩვენ რომ მივედით, აქსინია სიმონოვნას ეძინა.

პირველსავე ოთახში მე თითქმის უგონოთ დავეცი ერთს რაღაცა ძველს კრავატზედ.

— ერთი ლუკმა პური და პატარა ბოთლი წყალი მომეცით, თუ ღმერთი გწამთ,— უთხარი მე ტრემჩოვს.

ტრემჩოვმა მაშინვე გააღვიძა ცოლი და აანთო სანთელი.

აქსინია ადგა, სასწრაფოთ ჩაიცვა ტანთ და მოიტანა ერთი კარგი ნაჭერი ფიროგისა, ცივათ მოხარშული კარტოფილი და ორნახადი არაყი.

მე წინათვე გამეგონა, რომ არ ვარგოდა ხარბათ ჩემისთანა მშიერი კაცისაგან პურის ჭამა. ამისგამო ვცდილობდი, რაც შემეძლო არ მეხარბნა. რაკი პატარა გული მოვიწყე, მე მაშინვე მივეგდე დასაძინებლათ; ჩემმა ახალმა სახლის პატრონებმა დამითმეს თავის კრავატიდამ ერთი ლეიბი, საბანი, ბალიში და ზეწარი და დამიგეს ცალკე ოთახში. როგორც ბანგ დალეულს, ისრე დამეძინა.

მეორეს დღეს. რაკი ვნახე იმათი გულით მიღება და გულის სიწრფელე: მე ყველაფერი ჩემი ამბავი უამბე. იმათ კიდევ მთხოვეს, მინამ რასმე ღონეს გავხდებოდი, იქ დავრჩენილიყავ.

## 16

მაშას გამოაჩნდა ანთება, რომელიც ეცა თავში და გადაეცა საოფლეთს. ის ბლარავის ვერა სცნობდა და ვინც მიდიოდა, ყველას აგდებდა წივილით თავისგანა... ხამუშ-ხამუშ ეძახდა ის სიმონსა და გიორგის, და როცა მოჰყავდა იმასთან გიორგი ბოლოგას, იმასაც ვერა სცნობდა და აგდებდა თავისგანა. ბოლოგა ხშირად მოდიოდა იმასთან, და როცა ძალიან შეწუხებული იყო, თითქმის არა შორდებოდა. ეს უკანასკნელს გროშს იკლებდა და მოჰქონდა მაშასთჳს სხჳა და სხჳა ნაი-

რი შესარგო ნუგბარები.

მამას კარგი უკეთობა ეტყობოდა, რომ უცებ მომივიდა წიგნი ერთი ჩემი მეგობრისაგან, რომელიც იმყოფება * * * ქალაქში უეზდნი სუდიათ. რომ იმას ეხსნებოდა სუდში დიამბეგობის ალაგი, და მწერდა რომ გამეჩქარებინა იმ ალაგის ჩასაბარებლად.

არ ვიცი რას გაიგებს კაცი იმისთანა სასიამოვნოს, რომ ასრე იამოს. ჯერ ერთი ესა, რომ მე გამოვდიოდი საშინელი მდგომარეობიდამ, მეორეც ესა, რომ ვყოლებოდა მამას და იმის გიორგის ნუგეში და არ დარჩებოდნენ ყოველგნით ხელ-აღუპყრობელნი. ამასთან თუ მამა ინდომებდა, ვფიქრობდი იმის შერთვასა და ჩვენ კიდევაც შეგვეძლო რამე საქმე ამოგვერჩია, იმ განზრახვათაგანი, რომლისათჳსაც ისრე ცხარეთ იბრძოდა და ცდილობდა სვიმონ თავის სიცოცხლეში.

მე რასაკვირველია, ისე დაუყოვნებლივ გავეჩქარე იმ ქალაქისაკენ, სადაც მელოდა ალაგი.

წასვლის დროს მე წაველ და აღუთქვი ექიმს, რაცკი შემეძლო, ოღონდ ფული ეგდო მამასთჳს.

მამა დარჩენილიყო ბოლნიცაში კიდევ ერთი თვე. ერთ თვეს უკან მორჩენილიყო, გაეგზავნათ ციხეში, რაკი ზოგი დამნაშავენი გამოჩენილიყვნენ.

რაკი მოიხედა მამამ და ხედავდა თავისთან გიორგისა, პოლკას და სვიმონსკი ვერა. ის თან და თან იგრებდა ცნობასა და იგონებდა იმ თავ გადასავალსა, რაც ერთს ღამეს მოუვიდათ იმ ორთავა. იმას მოაგონდა, რომ ისინი ორთავენი ხელფეხ გაბოჭილნი და პირაკრულნი გაიტაცეს ვიღაებმაცა და მერე ესა და სვიმონ დააშორეს ერთმანერთს. მამა ვერას დროს ვერ იფიქრებდა, თუ სვიმონს სასიკვდილოთ გაიმეტებდნენ ავი კაცები. იმას სვიმონიც ავათ ეგონა.

—სვიმონისა რა იცი?—ჰკითხა ერთხელაც მამამ პოლკასა.

პოლკამ უნებურათ ამოიოხრა და მოადგა თვალებზედ ცრემლი. იმას შეებრალა მამა, რომ იმან ჯერ არ იცოდა სვიმონის ამბავი და კიდევ ცოცხალი ეგონა.

—რა! ცუდი ხომ არა იცირა?—ჰკითხა საშინლათ შეშინებულმა და შეკრთალმა მამამ.

არა!.. ჯერ არსად ჩანს მას აქეთ სვიმონი,—უპასუხა პოლკამ

განგებ, რაკი ატყობდა, რომ მართლის თქმას შეეძლო უარესად ავათ მყოფობაში ჩაეგდო.

ამ დღიდამ მაშა ჩავარდა სამინელს ფიქრში. იმან არ იცოდა რა ამბავი იყო იმის თავს. ერთი მელა ეგულებოდა ნუგეშით და მეც, იცოდა რომ სხვაგან ვიყავი. ფიქრისაგან მაშა ატაცებულივით შეიქნა. ის დიდს ხანს იყო ამ ფიქრში და მიიყვანეს გამოსაძიებლათ თუ ვინ იყვნენ იმის საყვარლები, რომელთაც მოჰკლეს სვიმონი.

—სვიმონი მოკლეს?!—იკითხა იმან გიჟივით:—თქვენ რა იცით, რომ სვიმონი მოკლეს?!—და მინამ ამ სიტყვას გაათავებდა მაშა გულშემოყრილი დაეშვა ძირსა.

ორ თვემდის კიდევ გაურცელებულიყო გამოძიება. მინამ არ მიეგნო პოლიციას ნამდვილი მკვლელების კვალისთვისა (ესე იგი ბიჭებისა, რომელნიც დღესაც ვერ ჩაიგდეს ხელშია) მაშინ გამოუშვათ მაშა. ამ დაჭერის დროს, რაცდა კიდევ დარჩენილიყო, შემდგომ იმ უბედურის ღამისას, სუ გააყიდნა მაშას და დარჩენილიყო ცარიელი. პოლკას ეშოვნა ამისთვის ბინა დროებით იმავე ქვრივ მოხუცებულ დედაკაცთანა, სადაც ჰყვანდა მიბარებული გიორგი. პოლკა აძლევდა თავის უკანასკნელს ჯამაგირს მაშას შესანახავათ.

მაშამ ვეღარ აიტანა იმდენი მწუხარება. იმას გამოაჩნდა მჭლექი და ამდენს სიკეთესთან დააწყებინა ავათმყოფობა.

რაკი ყოველისფერი უბედურება სვიმონისა დაბრალდა მაშას საზოგადოების აზრით, თუმცა სიმართლით ის გამართლდა, და რაკი კიდევ უფრო ამაზედ წინათ დავარდა ხმა, რომ მაშამ თავის ქმარს გზას შეუდგაო, რასაკვირველია ახლა უფრო დარწმუნდებოდნენ მაშას იმნაირს ცუდზედა და ახლა, რაკი სვიმონისაგანაც თავისუფალი იყო, დაუწყეს აქეთ იქიდამ ყოველნაირმა ხალხმა მაშას დევნა. ხშირათ ჩამოურბენდნენ ხოლმე პატარნები და ზოგჯერ ბუზიულაშიავებიც სკელობითა და სტვენით მაშას კარებზედა. მაშაზედ ესე ყოვლიფერი ჭმოქმედებდა საძაგლათ და იმას თან და თან ემატებოდა ავათმყოფობა.

ერთხელაც შებრძანდება იმასთან ერთი ხანში შესული დედაკაცი.

—აქა მშვიდობა! ეტყვის. უნდა დაბრძანდება დაუპატიჟებლათ.

—ვინა გნებავთ?—ჰკითხავს ავათმყოფი მაშა

—ქა, ვინ უნდა მნებავდეს!... შენ რატომ აგრე გამხდარხარ, შვილო?.. შენისთანა ვინმეებმა, როდი უნდა აგათ იყოს... ხომ არა-

ვის ჯავრი ჩაგრჩენია გულში... როდი უნდა, შვილო, ფიქრს თავი მისცე...

მაშა თონესავით აენთო.

—რაზედ ლაპარაკობ, დედი?—ჰკითხა გაშფოთებით მაშამ:—ან რას მიცნობ, რომ აგრე შინაურულად მელაპარაკები?...

—ქა! შენისთანა ლამაზ ვინმეს ვინ არ უნდა იცნობდეს!... მე შვილო, შენისთანა ლამაზებისთვის ბევრჯელ მიშველია გაჭირვებაში....

—მერე, როდისა გთხოვეთ, რომ თქვენ მე მიშველოთ... ან საიდან მიცნობთ.

—ქა, როდი უნდა გაცხარდე... ყმაწვილმა ხარ, გული წაგისდება.. შენისთანა ვინმეს, როდი მოუხდება გაჯავრება!...

—მე თქვენ არც ოსტატათ დამიბარებიხართ, არც გიცნობთ... და გთხოვთ წაბძანდეთ, თორემ ეხლავ დაუძახებ სახლის პატრონებს..

მაშა გაჯავრებული წამოხტა. დედაკაცმა შეშინებულმა წამოავლო ჩადრს ხელი.

ქა! მურაზს გეუბნები!.. უბრალოთ ვინმე ხომ არ არის..

მაშას სიბრაზით მოუვიდა ტირილი, ამის შემდგომ იმას აუვარდა ხველება...

ამ გვარს დღეში იყო დიდს ხანს მაშა. მარტო დარჩებოდა, იგონებდა სვიმონსა და იმას მოგონებით უფრო იკლავდა გულსა. ახლა იმის ნუგეში მარტო პოლკა იყო. იმის აღარ უნდოდა ხოლმე პოლკას მოშორება, მაგრამ პოლკას ხშირად ვერ იცლიდა, ამიტომა, რომ მაშაცა, გიორგიცა და თითონ პოლკაცა, სულ იმის ხელზედ იყვნენ დამოკიდებულნი

## 17

დიდი ხანი გავიდა, რაც მე აღარ მომსვლოდა მაშას ამბავი. რამდენჯერმე მივწერე მაშას წიგნი, და რაკი იმისაგან პასუხი არ მომდიოდა, მივწერე პოლკას და არც იქიდამ მომდიოდა პასუხი. მე ეს ამბავი ძალიან მაფიქრებდა. ამასთან, თითქმის ოთხი თვე მეტი გავიდა და ჩემი დამტკიცება არ მოდიოდა. ყოველივე ესე საშინლათ მაწუხებდა. მინდოდა მაშინვე მაშა და გიორგი მომეყვანა აქა და რაკი დამტკიცება არ მომდიოდა, ჯერ ვერ ვახერხებდი. «ოხ, როდის იქნება

ერთი ის საცოდავები მოვაშორო იმ ალაგსა, სადაც ამოდენა მწუხარება და დარდი გამოუვლიათ და სადაც კიდევაც ცალკე შეიწრებისაგან და ცალკე სალხისაგან ამ მწუხარებაში არიან მეთქი! ვფიქრობდი მე.

ერთხელაც მე ვიჯექ საღამოს ჟამზედ ჩემს ოთახში და ის იყო იმასა ვფიქრობდი, თუ რამიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ მაშას წიგნი არა მქონდა, რომ უცებ თავს წამომადგა ერთი ყმაწვილი ქალი. სახე თითქო ნაცნობსა ჰგვანდა და ჯერობით კი ვერ ვიცან.

—ა! პელაგია მისაილოვნა! ეგ საიდამ, რამ გაგაჩინათ აქა?— ვკითხე მე გაოცებითა და მივეგებე სიხარულითა.

ის იყო პოლკა.

—მე გავთხოვდი,—მიპასუხა იმან ღიმილით,—და ჩემი ქმარი ახლა აქეთ გაანწესეს. მე განგებ წამოველ თქვენს სანახავათა.

—მაშა? მაშასი რაღა იცით?... მე დიდი ხანია, რაც აღარა ვიცი რა: წიგნი აღარ მომდის იმისგანა,.. ანკი რა ეშველება უთქუმნოთა?

—მეც აღარა ვიცირა იმისი ამბავი... წამოსვლის დროს დაუგდე ერთი სამიოდ თუმანი და კიდეც გამოელოდა აქამდინა... მინდა კიდევ გაუგზავნო... მე მეგონა აქამდინ თქუმნ მოიყვანდით მეთქი... თუ დროით არ მიხედეთ, მოიდნობენ იმ საცოდავსა: მთელი ქვეყანა იმაზედ მიმდგარია,. ემას წინათ, რაკი სხუაფრევ ვერას გახდნენ, პოლიციაში შეებეზღებინათ, როგორც იმ გვარი გცევის ქალი და უპირებდნენ პოლიციაში წათრევასა სხუა იმ გვარებთანა, თუ სახლის პატრონი არ შესწრებოდა: ის დაუდგა მაშას თავდებათა... ახლა ვილაც პოლკოვნიკია მიმდგარი მაშაზედ... ღამის საწყალმა თავი მოიკლას... გიორგი ენანება, თორემ არც აქამდინ იცოცხლებდა თავსა... ერთხელ ღამე პოლკოვნიკი შიგ სახლში შემჭრომოდა... და მაშა დაფეთებული გულ გადმობრუნებული გავარდნილიყო სახლისპატრონთანა.. ამდენს უბედურებასთან, გიორგიმაც ავათმყოფობა დაიწყო.

ამ ამბავზედ მე სიბრაზით გული მიდუღდა, სულ თითებს ვიკვნეტავდი, «როდის ექნება დასასრული ამდენს იმის ტანჯვასა მეთქი!» ვფიქრობდი მე,

მე ვკითხე პოლკას მაშას სახლის პატრონის ადრესი და იმავ დღეს მივსწერე წიგნი, რომელშიაც ვსთხოვდი, შეეტყობინა მაშას ამბავი დაწვრილებითა. იქიდამ მომივიდა შემდეგი პასუხი:

ერთხელ ხომ მოვირჩინე ფიცითა და ჯვარით პოლიციაში ჩასმასა, ახლა მეორეთ ვიღამაც პოლკოვნიკმა დააჭერინა. მასუკანკი, რაც პო-ლიციაში ვყავდა და ათასნაირი ბრიაბრობა ჭამა, ორი ღამეღა იყო მა-რტო ჩემთან საშინელი ავათმყოფი და მერეკი ხაცალას დაიკარგა და ავათმყოფი ბავშვი ჩემს ამარას გაუშვა... იმ ღამეს, მართალია, რა-დაც ყვირილი გავიგონე იმის ოთახიდამა, და ვერ გავიგე რა ყვირი-ლი იყო. როდესაც გამოვედ შესატყობრათა მარტო გიორგიღა იყო და მამაკი აღარსადა სჩანდა... ეს ბავშვიც ასრე ავათმყოფია, მომვლე-ლი არა მყავს და არ ვიცი რა უყო!...»

ეს წიგნი წავიკითხე თუ არა, მე გავქანდი მაშინვე პოლკასთანა. იქიდამა ჩემს ამხანაგთან ფულის გამოსართმევათ, რომ წამოვსულვი-ყავ აქა მამას ამბის შესატყობრათ და ვიფიქრე, რაც უნდა იყვეს, თუ კიდევ ვიპოვე ეხლავე წამოვიყვან მამასაცა და გიორგისაცა მეთქი. მე სრულებით ფიქრს ვერ მოვდიოდი, თუ არ დამამტკიცებდნენ იმ ალაგზედ. ისკი არათუ, რასაც დღეს მე მოვდიოდი, იმ დღეს მოვი-და ქაღალდი, რომ ჩემს ადგილას სხვა გაენწესებინათ.

ამ ამბავმა სრულებით მომწყვიტა წელი. მე საუკუნოთ გამოვესალმე ამ ქალაქს და გამოვსწიე აქეთ კინწ გადაგდებული და ყოვლის მხრივ, მკვლებურათ, უიმედო...

აქ დავითი აპირებდა გათავებას, მაგრამ მე აღარ მოვეშვი. მინდა შემეტყო მამასი და გიორგის ამბავი.

—მერე? მერე?—ვკითხავდი მე მოუთმენლად.

—ახლა სჯობს გავათაოთ... მე ცოტა, არ არის კიდეც დავიღალე და აღარ მინდა მოვიგონო ის საცოდაობა, რაც მე პატარა გიორგისა ვნახე.

—არა, მე მინდა შევიტყო, რითი თავდება ეს ამბავი.

—კარგი, რათგან უეჭველათ გინდა.. დამიგდე ყური.

ის აქ პატარას კიდევ ჩაფიქრდა, ამოიოხრა მძიმეთ და დაიწყო:

«პოლკოვნიკს, რომელზედაც იწერებოდა მოხუცებული, რაკი ვერა გაეწყორა მამასთანა და ისრე შერცხვენილიყო, როდესაც თითონ მო-სულიყო მამასთან სახლშია, რომ მამამ საჩივარი არ დამასწროსო, იმავე ღამეს მოსულიყო პოლიციაში და ეჩივლა, რომ ამა და ამ ქა-ლის კარებზედ გავიარე, დამიძახა იმ ქალმა და რაკი ხმა არ გავეცი გინება დამიწყო. ეს ამბავი ამოწმებინა ორს ვიღაცა რუსსა. მაშ ჩა-

ეხვათ პოლიციაში და მოეთხოვნათ იმისთჳს ქაღალდები თავის ვინაობისა: იმას არაფერი ქაღალდები არ გამოსჩენოდა. პოლიცია აპირებდა თურმე ამაზედ მიწერ-მოწერის გამართვას და მანამ გაიგებდნენ ამის ვინაობასა და ადგილობრივ გაგზავნას, მანამ უნდა ყოფილიყო დაჭერილი. აქედამ თითონ პოლკოვნიკს თავის თავდებობით გამოეშვებინა... რა გინდა, რომ ის თურმე არ ითმენდა პოლიციაში ჩინოვნიკებისა, კვარტალნებისა, დესიატნიკებისა და სხვა ათასნაირის სალდადამა!.. ისინი პირდაპირ თურმე ელაპარაკებოდნენ იმ გვარათ და ეუბნებოდნენ ათასნაირს უწმაწურს საქმეებსა.. და როდესაც გამოეშვათ ამდენის ბრიაბრობისაგან, მოემატებინა იმისთჳს ავათმყოფობას და ის მაშინვე ჩავარდნილიყო ქვეშაგებათა. იმას თურმე უვლიდა სახლის პატრონი.. მესამე ღამეს, როგორც ზემოთაც გიამბე, ის დაკარგულიყო სახლიდამ.

რაკი ესენი ყველაფერი შევიტყე, მაშინვე გავექანე პოლკოვნიკისგენ; მაგრამ იმის სახლის პატრონმა მითხრა, რომ ის რაოა ხანია წავიდა ქალაქიდამაო.

ამაზედ მე მაშინვე მივეც განცხადება საცა რიგი იყო.

—ესეც უთუოთ ერთი იმის საყვარელთაგანი იქნება, იძახდნენ ჩემს გასაგონათ ჩინოვნიკები:—რამდენი მდევნელები ჰყოლია, და!...

—ვინ იცის ვის გაჰყვება მათი პატიოსნება?—მითხრა ერთმა ჩინოვნიკმა დაცინვით.

განცხადებაკი მაინც მიიღეს და ყურის გდება ღმერთზედ ჰკიდია.

მაშას დაკარგვის შემდგომ გიორგისთჳს უფრო მოემატებინა ავათმყოფობასა, ის შიშისაგან ელდა ნაცემი იყო. მე სრულებით ველარ ვიცან მშვენიერი გიორგი: ის სამთელივით ჩამომდნარიყო; თვალები დაკარგული ჰქონდა, თავისის სუქანის ტანის მაგივრად მარტო ძვალი და ტყავილა იყო.

იმან დამინახა თუ არა, მაშინვე მიცნა. გააჭყიტა თვალები და წამოიწია ზეზედა.

—დედა?—მკითხა მე იმან საჩქაროთ. მიმკნავებულის მომაკვდავის ხმითა.

—დედაც მალე მოვა, უთხარ მე გულ ჩათუთქულმა იმის დანახვაზედ.

—ის უიმედოთ ისევ მიეშვა ბალიშზედ და მოუმატა ქშინვა. ეტობა იმას ბევრი ამისთანა მალე მოვა გაეგონა და ცარიელი სიტყვა

ნუგეშათ აღარ მიახნდა.

მე მოუჯექ გვერდითა და უალერსებდი მომაკვდავს ბავშვსა. იმას თან და თან უფრო და უფრო მოუმატა ქშინვამა, პატარა ხანს უკან უცებ შააჭყიტა ჭერში თვალი და დაიძახა: «დედაი! დედაი!» მერე მოუშვა ისევ ქვეშაგებზედ, ერთი გააზმორა, შეკანკალა და დალივა სული.

ბებერმა დედაკაცმა შეჰქნა ტირილი როგორც საკუთარს შვილზედ. მე საცოდავობისაგან გამოვიქეც...

## 18

დავითმა გაათავა, რაც სათქმელი ჰქონდა. ახლა დასასრულს მე გიამბობ, რათგან მე ვიყავ თითონ მოწამე ამისი, უთხრა ამ მოთხრობის დამწერს ბესარიონ ვარგისაშვილმა. (ნუ დაივიწყებ მკითხველო, რომ ამ ამბავს ამბობს ბესარიონ ვარგისაშვილი.)

შენ ხომ კარგათ იცნობდი გ. მ. ის გახდა ავათა. აგორდა ქოთანი და იპოვა სარქველიო, ამბობს ქართული ანდაზა. ყველა ჩვენმა ამხანაგებმა სულ ქუჩუნის დატაკებმა შევიყარეთ ერთათ თავი. ამოდენა ამხანაგობაში, იმოდენა ფული არ მოიპოვებოდა, რომ საავათმყოფოთ არ გაგვეხადნა ერთი ჩვენი საუკეთესო ამხანაგისთვის საქმე. მეტი ღონე არ იყო, ის უნდა წასულიყო საავათმყოფოში.

მ. მე გავაცან დავითს იმის საავათმყოფოში წასვლის წინადღეებში.

ერთხელაც მე და თავით წავედით მ. სანახავათ საავათმყოფოში. ის იყო სიცხიანი ავათმყოფი და მალე იშფოთებდა ხოლმე გულსა. მ. იყო ძალიან დასუსტებული. მეორე ოთახიდამ ისმოდა საშინელი ხველება.

—რაცა ხანია ვეხვეწები,—დაიწყო სუსტის ხმით მ.—რომ ან მე მომაშორონ ამ ოთახსა, ან ის ავათმყოფი გადიყვანონ სადმე. იქით რომ ხველა ისმის და აქამდინ ყურს არავინ უგდებს... საცოდავი ვიღაც ქალია მჭლექიანია, სისხლს აღებინებს, სიკვდილის პირობაზეა მისული და ხან და ხან საცოდავათ ჰკვნესის და ღამით არ მასვენებს... თითონ ისიც აგერ რაცა ხანია აქ არის, ეხვეწება, რომ, რაღაცა პატარა შვილი ჰყოლია, უჩვენონ ვიდრემ ცოცხალია და ვერა გააწყორა.

საშინლათ მებრალება ხოლმე: როცა ძალიან შეწუხდება, სულ იმის ხსენებაშია და ჩივის იმის უპატრონობასა. ზოგჯერ ბრაზიც მომივა ხოლმე, ისრე უყურადღებოთა ჰყავთ ის აქა.. რამდენს ნაირს საცოდაობასა ნახავს კაცი, რომ გული ჰქონდეს და ყური უგდოთ ამ საავათმყოფოში.

—ხომ არ იცით ვინ არის ის ქალი?—გააწყვეტინა დავითმა, რომელიც ამ ამბავზედ საშინლად შეიცვალა სახეზედა.

—-არ ვიცი! ზოგნი ამბობენ, რომ გავარდნილი ქალიაო. ფელდშარიკი ამბობს, რომ ეგ ქალი ჯერ გავარდნილი ყოფილა იმ გვარს ქალებში. მერე დაუჭერიათ პოლიციაში რაღაცა საქმეზედ. აქ ვიღასაც პოლკოვნიკს ნდომებია ის ხასათა და წაუყვანია თავდებობით თავისთანა; მერე პოლკოვნიკს საცაღას გზაში გახდომია ავათა და ახლა აქ გამოუგზავნია, მინამ მორჩებოდეს.

—შჳლს რა სახელს ეძახის, ხომ არ გაგიგონიათ?—ჰკითხა დავითმა თრთოლვარეს ხმით.

—გიორგისა.

—ის არის, სწორეთ ისა!—შესძახა დავითმა:—საწყალო მამავ!...

მეორე ოთახიდამ მოგვესმა საშინელი ღრმა ყრუ ხველა.

დავით წამოხტა საჩქაროზედა ფერშალის მოსაკითხავათ. სტოროჟმა მალე გვიპოვა ფერშალი.

—რა გნებავთ?—გვკითხა იმან უკმაყოფილოთ, რომ ჩჳენ გავბედეთ და უდროვოთ შევაწუხეთ.

—მარია სტრუგავსკოვი გვინდა,—უპასუხა შეწუხებით დავითმა.

—ჰო! აგერ აისა!—თქჳენ რას იცნობთ?..

- ეგ თქჳენი საქმე არ არის, თქჳენ ოღონდ შეგვიყვანეთ იმასთანა.. ძალიან საჭიროა...

—არ შეიძლება იმისი ნახვა!—თქჳა გადაწყვეტით ფერშალმა:—ჯერ ერთი ესა დღეს ნახვის დღე არ არის...

ჩვენ ჩაუდეთ ერთი მანეთი ხელში. ეტყობოდა იცოტავა: უკმაყოფილოთ გამოგვართვა, მაგრამ მაინც კი წაგვიყვანა,

—ჩქარა, ჩქარა;—თუ ღმერთი გწავს!-ეხვეწებოდა დავითი.

—რასა ჩქარობთ?!—მაინც ვეღარას უშველით: იმის საქმე წასულია.,.თვითონ ღმერთიც ვეღარ გამოიხსნის.,.

დავითი გააყრუოლა ამ სიტყვებმა.

ჩვენ შევედით. მაშა მძიმეთ ხუნთქავდა. ის იწვა თვალებ დახუჭვილი და იმაგრებდა ხველას, რომელიც საშინლათ გულზედ აწვებოდა.

—მარიამ, სერგიევნა!—შესძახა დავითმა:—გძინავთ?

მაშამ ნაცნობს ხმაზედ გაახილა თვალები, რომლებიც ჰქონდა სრულებით დახოცვილნი. ის იყო საშინელი გამხდარი და სამთელივით გაყვითლებული. ვინა იცნობდა, თუ ეს ის მაშა იყო, რომლისაც სახე მე მიჩვენა დავითმა!...ჩასათვურთხებელი ჯამი სავსე ჰქონდა სისხლიანის ნახველითა.

მაშამ შეიკრიბა უკანასკნელი ღონე და წამოიწია, მაგრამ ვეღარ შესძლო.

—დავით, ჩემო ერთგულო ძმაო დავით!...რა უყავ შენი სვიმონი?!—აქ მოყრია საწყალს მაშას ტირილი და შეეკრა კრიჭა:—დაჯექი აქ ჩემთანა, ნუ მომერიდები.—დაიწყო იმან როცა მოიბრუნა გული. მეც მალე შევუდგები სვიმონის გზასა...ნეტავი ჩემი გიორგიც მოგეყვანა, თუ კი ცოცხალია სადმე.

დავითს აემღვრია თვალები, და რაკი ატყობდა, რომ მაშა ბევრს აღარ იცოცხლებდა, დაუმალა გიორგის სიკვდილი და აღუთქვა, რომ მალე უჩვენებდა.

—მე როგორღაც ცუდათ მითქვამს გული,—დაიწყო ცრემლით და აიღო დავითის ხელი,—თუ ცოცხალია, გებარებოდეს, დავით, ჩემი გიორგი.,.ნუ დაივიწყებ რა უბედური დედის შვილიც არის... შენ ხომ ადამიანის გული გაქვს...

მე ვერ შევიმაგრე ტირილი; დავით შესცქეროდა სულ მაშასა. ის იყო როგორღაც არეული.

ჩვენ დავრჩით კარგა ხანს მინამ ვახშმის ზარები არ დაჰკრეს. დაშორება საშინლათ ეზარებოდა მაშასა. წამოსვლის დროს იმას აემღვრა კიდევ სატირლათ თვალები და სთხოვა დავითს, რომ ხშირათ ენახა ხოლმე და გიორგი მალე ეჩვენებინა.

მეორეს დღეს დავითს მლივსღა ასწრო სულთმობრძავის მაშასთჳს. კიდევ ენახა დავითი და მაშინვე წაელუღლუღნა: «გიორგი?.. მაგრამ დავით გიჟივით ჩამოიჭრა ჩემთანა.

## 19

გამოვიდა ხანი და დავითის მდგომარეობა თან და თან უარესი

შეიქნა. ის სვერხშტატობიდამაც დაითხოვეს, რათგან მთელი ექვსი თვე არ გაუვლო სამსახურში. არამც თუ ალაგი ვერსად ვერ მიიღო და სვერხშტატათაც კი არ იღებდნენ. იმ მიზეზით უფრო, რომ თუ კარგი ყოფილიყო თავის სამსახურიდამ არ დაითხოვდნენო, და თუნდა კიდევაც ნდომებოდათ სადმე ამის მიღება ძნელი იყო, ამიტომ, რომ ყველა ადგილას ათასი მგელი შეჰყურებდა, ასე რომ მინამ დავით გაიგებდა ალაგის გახსნასა, მინამ სხვებს გარიგებულიცა ჰქონდათ.

ამ ხანებში დავითს შემოაცვდა ტანისამოსი. პურის ჭამაში როგორ-რათაც იყო ჩვენ ამხანაგობაში გამოკვებამდა.

დავითმა დაუწყო სხვას საქმეს ძებნა; მაგრამ სადაც მივიდა, თავი-სის შეწუხებულის სახითა და დაგლეჯილის ტანისამოსითა, ყველგან პირშივე ეუბნებოდნენ, რომ შენისთანას ლოთებისთვის ალაგი არა გვაქვსო., თუმცა ერთი წელიწადიც იყო ღვინო და არაყი გემო-თიც არ ენახა.

დარჩა დავით უწაღოთ, უსერთუკოთ, უპერანგებოთ...წაღებიდამ გამოყოფთ თითებს ლოკოკინასავით თავი, ტიტველა ნიდაყვები უჩა-ნდა დახეულის სერთუკიდამ და პერანგიდამა ..

იმასა რცხვენოდა სახლიდამ კარში გამოსვლისა და ქვეყნის ამ ყო-ფით დანახვისა. ბევრი იმას ყვინჩილა ნაცნობები აღარც კი გადრუ-ლობდნენ იმასთან გამოცნაურებასა და თავილობდნენ სალამსა...ერთის სიტყვით რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უარესათ მიდიოდა საქმე.

ერთხელ მე შევედ დავითთან სანახავათა. მე მაკვირვებდა იმისი მოთმინება...დავითი იყო დაფიქრებული; სახე ჰქონდა ალანძული, თვალები საშინლათ უელავდნენ, გამხდარი, გაყვითლებული სახე წარმოსთქვამდა რაღაცა განწირულს და შეწუხებულს მდგომარეობასა.

ჩემს დანახვაზედ, ის თითქო აირია სახეზედ,

—რატომ აგრე არეული ხარ?—ვკითხე მე იმასა.

—არაფერი!—მიპასუხა იმან არევით:—ნეტავი იცოდე, სახლს მატლევინებენ ..მოვალეებსაც არ ვიცი რა უყო...

—რა გმართებს?

—იმდენი მემართება, რომ ციხეში ჩამსვან.

მე ჩავფიქრდი.

—რა კარგი სიცოცხლე მქონდა!—დაიწყო მწარეთ დავითმა:—მეც ვიტყვი მიცოცხლია მეთქი!..ჰმ!.. ჭიასსავით უსარგებლოთ არ გაიარა ჩემა სიცოცხლემ!..ვინ იცის რაებს არა ვფიქრობდი პირველათ, რომელსაც გამოველ ცხოვრების გზაზედ...მეტადრე, რომლსაც გავიცან სვიმონ და იმისი აზრები და ახლა რითი ბოლოვდება ყველაფერი... ამბობენ: კაცს მხნეობა ჰქონდეს, თორემ იცხოვრებსო!..,სტყუის ამისი მთქმელი!.. ყოველთვის არ გამოადგება კაცს თავის მხნეობა.. მეტადრე თუ მომზადებაც არა აქჳს ყოველ რიგს მოძრაობასა და მოქმედებისათჳს... მე მეგონა უკანა ვდგები საქმეში?!.. მე განა არ მიყვარს შრომა და მოქმედება?!.. მაგრამ სად არის საქმე?.. სად არიან კაცნი, რომელთაც უნდოდეთ და დააფასონ ჩემი შრომა?!.. კიდეც იმითია ცუდი ეს დრო, რომ ყველა კაცს არ შეუძლიან თავის შრომით ცხოვრება...

—იცი რა, დავით! გადმოდი ჩემთან საცხოვრებლათა.

—კარგი!—მიპასუხა იმან, მაგრამ რაზედ დავიძინოთ? შენ ერთის კრავატისა და ერთის ხელის ქვეშსაგების მეტი არა გაქჳსრა.

—ერთათ დავიძინოთ.

—კარგი! მაგრამ რომდემდის უნდა აგრე ვიყვეთ?

—მანამ ალაგს იშოვნიდე.

—კეთილი! ახლა რა ვჭამოთ? რა ჩავიცვათ? რა დავიხუროთ?... ეგ ალაგი როდისღა იქნება?!..

—ღმერთია მოწყალე!...

—ჰმ!... ეგ არის!... არაფერი იმედი გახლავსთ...

—ყოველთჳს ხომ ასრე არ იქნება. შეიცვლება დრო და ვინ იცის როგორ იყვეს!

დავით ჩაფიქრდა.

—თანახმა ხარ?—ვკითხე მე, თუმცაკი თანა ვფიქრობდი, რომ როგორ უნდა მეცხოვრებინა ისიცა და ჩემი თავიცა რვა მანათითა, (მაშინ რვა მანათს ჯამაგირს ვიღებდი.)

—თანახმა ვარ,—მითხრა იმან სხჳა ნაირის კილოთი:—მაშ წადი, შენ ჯერ ჩემი საჭმელი რამ იზრუნე: აგერ მესამე დღეა უნაწილო ვარ. და მინამ შენ მოატანინებდე რასმე შინა, მინამ მეც მოვალ.

მე წამოველ და იჭვნეულათკი შევხედე იმის ტამბაჩას რომელსაც ის ამისთანა გამარჯვებაში არა ჰყიდდა, და კინაღამ ვკითხე, თუ რაღა

დღისათჳს ინახავდა ის ამ ტამბაჩასა. მაგრამ აღარა გხთქვირა.

დავით დარჩა მარტო. ის მოვიდა კარებთან და ჩაკეტა რაზა, აგ-რეთვე ფანჯრებიცა. მერე ჩამოიღო ტამბაჩა, დააყარა საპირისწამლე და შემოსვა ფეხზედ. დავითი შეაყრყოლა. გულმა დაუწყო იმას ხმა-გლად ცემა, იმას გაუელვა თავში ყოველმა ბედნიერად და იმედით გატარებულმა დროებამა. იმას მოაგონდა თავის სიყმაწვილე, როდე-საც ის უდარდელად დადიოდა და არ იცოდა ცხოვრების ცუდი მხა-რეები; მოაგონდა თავის საყვარელი მშობლები და ძმანი, სიყრმის მე-გობარნი, რომელნიც ასრე ალერსით და გულწრფელად ეპყრობოდნენ. წარმოუდგა თვალწინ სივრცე თავისის მშვენივრად ამწვანებულის და თვალგაუწდომელის სამშობლოს მიწებისა; მშვენიერი ნათელი, ლაჟ-ვარდი ცა, მოჭედილი მშვენივრად მანათობელის ბრწყინვალეს ვარსკვ-ლავებით, რომელთაც რაღაცა ტკბილის გაუგებარის სიამოვნებით ადევნებდა ხოლმე ის თვალსა; მშვენიერი წმიდა მსურნელიანი ჭაე-რი; ხუილი და ჩქრიალი თავისის გიჟის ანკარასავით წმინდა მდინა-რეს წყალისა, — ერთის სიტყვით ყოველ რიგი მშვენიერება და შემკო-ბილება თავის სამშობლო ბუნებისა, და დავითს დანანდა სასიკვდილოთ თავი... მაგრამ როდესაც მოაგონდა, რომ იმას აღარა ჰქონდა ნება და აღარ შეეძლო ამებით დატკბობა და სარგებლობა, იმას ჩაეთუთქა სიმწარით გული... ის ჩაფიქრდა პატარას ხანს და მოუვიდა თვალებ-ზედ ცრემლი... დავითმა აიღო ტამბაჩა და კიდევ ვერ გაიმეტა თავი. ის შედგა და ჩაფიქრდა... იქნება კიდევ მოვიდეს ვინმე გამოსახსნე-ლათაო... მაგრამ არსად არაფერი ხმაურობა და ჩაჩუნი არ ისმოდა. მხოლოდ თაგვი, გამოსული ქურდულად ხოროდამ აფაჩუნებდა რაღა-ცა ქაღალდის მვ[illegible]ლასა; ფანჯარაში ბზრიალებდნენ ბუზები, რომელნიც თავებით ეცემოდნენ მინებს გარეთ გასასვლელათა, და ეზოში, პატარა ხეზედ ჭყრიპინებდნენ მხიარულათ ჩიტები... დავითს შეეკრა სულთქ-მა: ბუზებსაც, თაგვსაც და ჩიტებსაც შეეძლოთ გაევრცელებინათ თა-ვის ცხოვრება ავათ იყო თუ კარგათა და კაცს, ადამიანის შვილს, რომელსაც ჰქვიან გვირგვინი და მეფე ყოვლისავე გაჩენილისა, უნდა თავისის ხელით თავისი თავი მოეკლა, რომ გამოეხსნა თავი უარე-სის უბედურებიდამ... დავითმა მიიდო გულზედ ტამბაჩა. «ქრისტე რადი, ბარინ!... მოწყალება მოიღე!..» შემოიძახა გლოვის ხმით ძო-ნძებიანმა და დამახინჯებულმა გლახამ. დავითმა დაუშვა ტამბაჩა.

«აგერ კაცი, არ არის, რომ სცხოვრებს!—იფიქრა დავითმა გუნებაში, მე რაღა ვარ!...» ის განწირულებით დაეშვა კრავატზედა. «არა!—წამოხტა პატარას ხანს უკან ის ზეზედა:—ამ გვარათ ცხოვრება, ცხოვრებაა?!...» აქ იმან სტაცა საჩქაროთ ტამბაჩას ხელი, მიიბჯინა გულში და ჩამოუშვა შეჩვენებით ფესიდამა...

—აი სამწუხარო ამბავი, ჩემო ანტონ,—მითხრა მე ბესარიონმა, აბა დასწერე, თუ შეგიძლიან.

ანტონ ფურცელაძე.

## ჩუჱნი ლიტერატურისა და ბეჭუდის შესახებ.

ქართველები ძველადგან ისე დაშორებულები ვიყავით განათლებულ მხარეს, რომ ჩვენთვის დიახ ძნელი იყო იმ მდგომარეობაში, რომელიც ჩვენ ვიმყოფებოდით, რომ ჩუჱნ თავათ ბეჯითათ და სურვილით, გრძნობით და მტკიცეთ შევდგომოდით იმ გზასა, რომელსაც დიდი ხანია დაადგა განათლებული ხალხი და რომელსაც საჭიროთ ხედავს თითქმის მთელი ქუჱყანა . . . . . . არც ერთს კაცს, არც ერთს ხალხს არ შეუძლიან იმ გზაზედ დადგომა, იმ საქმის ხელის მოკიდება, რომლისაც საჭიროება არ არის იმაში გამოღვიძებული და რომლისათვისაც არ მეცემა იმას მარჯვე შემთხვევა. ოთხკუთხივ მტერი ძლიერი და დაუცხრომელი, შიგნით უთანხმოება, აღრეულება, ძალმომრეობა და მფლობელ მონაობა, უთაურობა და სრული მართვის უმეცრება, მომეტებულის ნაწილის ჩვენის მეფებისა, რომელნიც ისრე უყურებდნენ თავის სამეფოს, როგორც ლუკმა პურსა, რომელიც საკუთრებად და შესაჭმელათ დარჩენიათ ამათ მამაპაპიდამა, რომლისაგამოც უყოფდნენ შვილებს ნაწილ-ნაწილათ თავის სამეფოს . . . . . . ამასთან განხეთქილება სხვა და სხვა ძლიერს გვარებსა და წოდებაებ-

ში და ბევრი სხვა ამ გვარი მიზეზები, რომელნიც დაუცხ-
რომლათ ჰმოქმედებდნენ ადრინდელ დროს ჩვენს სამშოგლო
მამულზედ, იყვნენ დამაბრკოლებელნი მიზეზნი ჩუჱნის განა-
თლებულს მხარეზზედ უკან დავარდნისა.

საქართველო ძველათვე ყოფილა მოყვარული დამჯდარის
და მოქალაქურის ცხოვრებისა, რომელსაც გვიმტკიცებენ თვით
ძველი საბერძნეთისა და რომის მწერალნი. მხვნელ-მთესველო-
ბისა და მიწის მოვლის სიყვარულისათვის ბერძნებს დაურქ-
მევიათ საქართველოსთვს გ ი ო რ გ ი ა, რომელიც ითარგმ-
ნება ქართულს ენაზედა: მიწის შემმუშავებლად. ამას ამტკი-
ცებენ სხვა მრავალი ფაკტებიცა. პირველი და უფრო სარ-
წმუნო ფაკტებიც ის არის, რომ ამდენს მტრების შემოსევა-
სა, საქართველოს ქვეყნის აოხრებასა და ხალხის დატყვევე-
ბაში, ისე ძვალსა და რბილში ჰქონია საქართველოს მოქა-
ლაქური ცხოვრება გამჯდარი, რომ არ დაუნებებია იმას ამ
ცხოვრებისათვს თავი, და ამდენის ხნის ტანჯვასა და მო-
უსვენრებაში, არ აუღია ამასაც თავი და არ გაველურებუ-
ლა ზოგიერთა ხალხებივითა. მიზეზიც საქართველოს ხალხოსნობის
დაცვისა და ალმოუფხვრელობიხა დამჯდარი და მოქალაქუ-
რი ცხოვრების სიყვარული და ამ ცხოვრებაზედ მტკიცეთ
დგომა იყო. საქართველოს ბუნება. ისეთი ტკბილი და წამ-
ხალისებელი ბუნება იყო, რომ აქ მცხოვრები კაცი ამ ბუ-
ნებიდამ უფრო ბევრს და მკვიდრს სარჩოს გამოელოდა,
მინამ ტაციაობისა, ქურდულისა და მოუსვენარის ავაზა-
კურის ცხოვრებიდამ, რომელსაც ელტოდნენ ბუნება-მქლე
ზოგიერთა ამის მეზობელი ხალხები. ამ თავის უხვისა და

ნაყოფიერის ბუნებისგამო საქართველო ელტოდა დამჯდარმოქალაქურს ცხოვრებასა. და ის ხალხი, რომელსაც უყვარს დამჯდარი ცხოვრება, გამოელის სარჩოს თავის შრომიდამა და არის მინდობილი თავის შრომაზედა, ის ხალხი აუცილებლად ელტვის წარმატებასა და განვითარებასა. ამ გვარს წარმატებისა და განვითარების ლტოლვას, გარდა სხვა კულტურისა, გვიმტკიცებენ ჩვენ ჩვენი ძველი საღმრთო და საერო წერილები....... საქართველოს ძველათვე გამოუჩენია მწიგნობრობის სურვილი. თქმა აღარ უნდა, რომ მწიგნობრობა სხუა საჭიროებაებთან გავრცელდებოდა და გაცხოვლდებოდა თუ სხუა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები არ გამოგვჩენოდა. პირველი მიზეზიც სხუათა შორის იყო დაშორება განათლებულ მხარესთან. თუ ეს და ამ გვარი დაბრკოლებაები არ შეხვედროდა ძველ დროებაში და რიგიანი შეერთება და დამოკიდებულება გვქონოდა განათლებულ ხალხთან, ჩვენც როგორც იქნებოდა აუჩანჩალდებოდით წუთის სოფელსა. . . . . . . . . . . . .

პირველი დამღუპავი მიზეზი ჩვენი განათლებულს მხარეებთან დაშორებისა იყო დამეხობლება ოსმალებისა. ოსმალების შემოსვლამდინ ევროპასა და პატარა აზიაში, ჩვენ ხშირათ ვიყავით დაახლოვებულნი ბერძნებთან. . . . . . . . . . . . . . მაგრამ რაკი ოსმალმა დაიპყრო მთლათ საბერძნეთი, ჩვენ შეგვეკრა გზა განათლებისა. ოსმალი გვიყურებდა ჩვენ, როგორც ურწმუნო ხალხს, ცდილობდა ჩვენს დაჰმამადიანებას და თუ ეს სურვილი არ აუსრულდებოდა, ცდილობდა ყოველს შემთხვევაში ჩუენს დამხობას და მოსპობას. რაღა თქმა უნდა

ამაზედ ერთმანერთი სასაცილოთ აგდებული და ჩაიდეს ერთმანერთის უარესი მტრობა გულში. ერთი იძახდა ჩუენი სარწმუნოება სჯობსო, მეორე იძახდა ჩუენიო და ეს ტუტუცური დაცინვა ერთმანერთზედ დღესაც კიდევ არ გამოლეულა ამ ორს ხალხში. ვის არ ახსოვს ის ყოვლად საქებური საქმე ჩუენს ქართულს ისტორიაში, როდესაც . . . ამ ორი ხალხის წარმომადგენელთ პირთ ძაღლებს მიანდეს გადაწყვეტა, თუ ვისი სარწმუნოება იყო საუმჯობესო: ქართველებისა თუ სომხებისაო! აქედამ ცხადათა სჩანს რა კარგათაცა ჰყურებიათ ორთავეს საწმუნოება ამ გვარათვე და არა უკეთესათ ეყურებათ კიდევაც სარწმუნოება. მომატებულს ნაწილს ამ ორის ხალხისას. მაშ რაზედ იკლავდნენ თავსა, თუკი თითონაც არ იცოდნენ რაზედ ჰქონდათ ერთმანერთთან აშუღლი და შური! რაზედ ჰღუპავდნენ ერთმანერთსა და რაზედ სვამდნენ ერთმანერთის სისხლსა?! რასაკვირველია იკითხავს ყველა, ვინც ამ საქმეს ჩააკვირდება. ამ კითხვის პასუხს მოიპოვის მაშინ, როდესაც შეისწავლის მაშინდელს ხალხისა და იმათის მმართველების გონების მდგომარეობასა. რასაკვირველია კიდევ უფრო ღრმათა დევს ამ კითხვის პასუხები სახალხო ისტორიებში; მაგრამ ჩუენ მხოლოდ ამას ვამბობთ, რომ ამ გვარმა უმეცრულმა და უგუნურმა ერთმანერთის მტრობამ დაღუპა ეს ორივე ხალხი . . .
. . . . . . . . . . ჩვენმა მტრებმა (მაგალითათ მონგოლებმა, ოსმალებმა, სპარსელებმა და სხუათა) სომეხები გაჰფანტეს თავის სამშობლო ქვეყნიდამ და მოჰფინეს მთელს ხმელეთსა. . . . . ქართველები მუსრეს ჰყარეს თავის ქვეყნიდამ და ასახლეს უცხოს ტო-

მის ხალხებში, ან არა და ძალათი ათათრეს და აკარგვინეს თავისი სარწმუნოება და, რომელიც უფრო ძნელია, თავისი ხალხოსნობა. და ბოლოს იქამდინ მიახწიეს, როგორცა ვხედავთ უკანასკნელს საუკუნოებში. მაგრამ ქართველებმა თითონ შიგნით, შიგ საქართველოშივე ვერ მოიხმარეს ჭკუა. ქართველები ადვილათ ასდევდნენ თავის მეფების სურვილს ზოგს შემთხვევებში და უფრო იმ შემთხვევებში, რომელნიც უფრო დამღუპველები იყვნენ საქართველოსთვის. ჩვენი მემატიანენი არ გვიჩვენებენ არც ერთს წოდებას, არც ერთს საზოგადოებას, არც ერთს პირს, რომელთაც გამოეჩინათ უთანხმოება მეფებისთვისა, როდესაც ისინი ჰფლეთავდნენ საქართველოს ნაწილ-ნაწილათ; ასუსტებდნენ ამითი და ამ გვარის საქმებით უიმისოთაც მოუძლურებულს და დასუსტებულს საქართველოსა. მართალია, ბოლოს დროს მიხვდნენ ამასა, რომ საქართველოს ნაწილ-ნაწილათ დაფლეთა იყო საქართველოს დამღუპველი და დამაუძლურებელი. მართალია ვახტანგ მეფემ და ზოგი ერთმა გამოიჩინეს სურვილი საქართველოს შეერთებისა, მაგრამ ისე სუსტათ რომ ვერ შეასრულეს ეს წადილი. . , . . . .

ერთის სიტყვით, როგორც საქართველოს ხალხი, ეგრეთვე სომეხნი არა ყოფილიყო სავსე ათასის უფიქრელობითა და შეცდომილებითა და ამ ორს ხალხს რომ ეხმარნათ ჭკუა, მიეცათ ერთმანერთისთვის პირი და დაეშინებინათ მტერი, რა კითხი უნდა, შეეძლოთ მაშინ მიეყოთ რიგზედ ხელი შინაურის მართვისთვის. აქ ყოველი საჭიროება თითონვე უჩვენებდა თავსა და იფიქრებინებდა მოვლასა და შესრულებასა. . . . . . . . .

ამ საძაგელს მდგომარეობაში, რომელსაც ჩვენ გვიჩვენებს ჩვენი ისტორიული ცხოვრება, როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, ქართველებს მაინც გამოუჩენიათ მწიგნობრობის სურვილი. ხშირათ გამოჩენილან მწერალნი, რომელთაც თუმცა (გარდა მემატიანეთა) ბევრი სასარგებლო არა დაუწერიათ რა, მაგრამ იმათს შრომას არ ჩაუვლია ისრე მუქთათა, როგორც ბევრსა ჰგონია. თითქმის ყველა ხალხი იწყობს თავის ლიტერატურას ზღაპრულის თხზულებაებითა და ნაწერებითა. ლიტერატურაც იზდება და კეთდება თითონ ხალხის გონებასთან, და გამოსახავს თვით თავის პატრონი ხალხის გონების მდგომარეობასა. ჩვენი მწერლების ნაწერი და ნათარგმნები ეთანხმებოდნენ და იყვნენ ზედ გამოჭრილნი ხალხის აზრსა და იმის ცხოვრებაზედა. ხალხი სცხოვრობდა სულ ომსა და ბრძოლაში, სულ ნახევარ ველურსა და გარეულს ცხოვრებაში; იმის აზრი და გონება იყო ისევ ყმაწვილურს გატაცებულს ოცნებაში და იმისი მოთხოვნილება იყო იმ გვარი სურათების კითხვა, რომელიც ყოფილიყო გასაცვიფრებელის საქმეებით სავსე: ყოფილიყო მღევგმირული ამბები, ჩჩვილი გულისა და ოცნებაების გასატაცებელი ტკბილი სიყვარული; და რაც მოთხოვილება საზოგადოებაში იყო, იმის აღმასრულებელნიც მაშინდელი მწერალნი იყვნენ. ამ გვარი თხზულებანი არ უნდა დარჩენილიყვნენ გაუნულენელათ ხალხზედა. ჯერ ერთი ესა, რომ შეაჩვევდა კითხვასა და ახალისებდა წიგნებზედა, მეორეც ესა, ამგვარი თხზულებანი ჰქონდა იმას მაგალითათ თავის მოქმედებაში და ცხოვრებაში და ამითი იმხნევებდა გულსა ძლიერს მტერთანა და გაუტანებელს დაბრკოლებაებთან. თქვენ ვერ ნახავთ

ვერც ერთს თხზულებაში, სადაც თავი მოქმედი პირი არ ადგეს მტკიცეთ სიკვდილამდინ ერთხელ არჩეულს თავის საქმესა და დაწყობილს აზრსა: ის იბრძვის და ცდილობს მინამ შეუძლიან და ან გაიმარჯვებს თავის საქმეზედ, ან თან გადაჰყვება ამ საქმესა. რასაკვირველია იმ მაგალითებს უნდა ემოქმედათ მკითხველებზედაც, და წაკითხვა ამ თხზულებაბისა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მაშინდელის საზოგადოებისაგან, როდესაც ის იქნებოდა ამ გვარათ დაწერილი, როგორც იწერებოდნენ მაშინდელის მწერლებისაგან, ესე იგი ზღაპრულათ. არამც თუ მაშინ და ჯერ ეხლაც, როდესაც ვენი მკითხველი საზოგადოება უფრო წინა ჩანს მაშინდელებზედ, ეხლაც გრიგოლ რჩეულოვის ზღაპრები უფრო იკითხება და იქნება, მინამ სხვა რამე ცხოვრების მსგავსი თხზულებაები. რა თქმა უნდა რიგიანი გონება გახსნილი ადამიანი ერთხელ რომ შესცდეს ამათ წაკითხვაზედ, მეორეთ გაფრთხილდება და ხელს აღარ მოჰკიდებს, რომ ცუდათ დრო არ დავკარგოთ, მაგრამ ჩვენი ოცნება ცხოველი ყმაწვილი ქალები გატაცებით უდებენ ამათ თავსა და სტეხენ ამაზედ დღე და ღამესა....თითქმის ყოველი მწერალი არის დროების შვილი, „ჟამნი მეფობენო,“ სთქვა ვილამაცა, და ჭეშმარიტიც უთქვამს. ძვირათ მოხდება, რომ მწერალი ბევრით მაღლა იდგეს დროებაზედა. უკეთუ მწერალი თავისის აზრებით შორს მიდის თავის დროების ხალხზედა, მაშინ ეს მწერალი არის თითქმის უსარგებლო იმ დროების ხალხისთვის, რომელშიაც თვითონა სცხოვრებს. (*) რასაკვირველია

(*) «ვისრამიანი», რომელიც სხვა ნაწერებზედ უფრო ცხოვრებიდამ იყო აღებული, რომელშიაც უფრო სხანს ჭეშმარიტი ნამდვი-

ამ ზღაპრულს ნაწერ ამბებს ეხლანდელი საზოგადოებისთვის ისტორიული მნიშვნელობის გარდა სხვა მნიშვნელობა აღარა აქვს რა და არცა სარგებლობა შეუძლიან, მაგრამ თავის დროს ამათ უსარგებლოთ არ გაულეს: ისინი თან და თან ახალისებდნენ და აჩვევდნენ ხალხს კითხვასა, უღვიძებდნენ მწიგნობრობის სურვილსა და კიდევაც საკმაოდ გაცხოველდებოდა, თუ ჟამთა ვითარებას არ დაეპრკოლებინა ამ სურვილის გავრცელება...

წერა კითხვის ცოდნა, რაკი ვაჟკაცებს ცოტა დრო ჰქონდათ, იყო უფრო გავრცელებული ქალებში, რომელნიც უკითხავდნენ მოცლილს დროს ქმრებს სხვა და სხვა თხზულებაებსა. სტამბა არ იყო ჯერა (*), მაგრამ ძვირათ იქნებოდა იმისთანა რიგიანი ოჯახი, სადაც არა ყოფილიყო სხვა და სხვა რიგი ხელნაწერი სხვა და სხვა რიგო მწერლების თხზულებისა და ბევრს ოჯახებში ჰქონდათ ამგვარი ხელნაწერი თხზულებაებისა მთელი ბიბლიოტეკა.

იმ დროებაში, რასაკვირველია, წიგნზედ გაზდას და სწავლას ძალიან საჭიროთ არ დაინახავდნენ და წიგნებსაც ჰკითხულობდნენ მხოლოდ გასართობად და დროს გასატარებლად. სხვა მნიშვნელობას წიგნში ვერა ნახავდნენ და არც შეეძლოთ წიგნებიდამ სხვა რამე მოეთხოვნათ. ისინი ამ გვარს

ლობა და ჭკუაზედაც უფრო ახლოა, ამასთანავე კაცი უფრო იცნობს ნამდვილს ცხოვრებას, ვიდრემ ბევრს სხვა მაშინდელს თხზულებაებში, დაუწუნა დამწერს თვით თამარ მეფემ, თუმცა არც ეს თხზულებაა ძალიან მაღალი.

(*) პირველი სტამბა დაფუძნდა საქართველოში ვახტანგ მეექვსე დროსა, მაგრამ მაშინაც თითქმის სულ საღმრთო წერილის წიგნები დაბეჭდა.

ხელ მოუმართავს მდგომარეობაში, რა კითხი უნდა, ვერ დაუდებდნენ თავს და გულის ყურს მძიმე და გონების სასწავლებელს წიგნებსა და სამეცნიერო საგნებსა, რომელთაც შეეძლოთ ნამდვილი და ღრმა სარგებლობა მეეტანათ, და არც ეცალა მაშინდელს საზოგადოებას ამ გვარი გონების ვარჯიშისთვის, (*) მაგრამ როდესაც მოგვეცა შემთხვევა რუსეთის მფარველობის ქვეშ დამშვიდება გარეშე ძველთ მტერთაგან და მოგვეცა შემთხვევა განათლებასთან დაახლოვებისა; მაშინ აუცილებელია, დღეს იყო თუ ხვალა ჩვენ უნდა გვეგრძნო, რომ სწავლა და განათლება ჩვენთვისაც საჭიროა. და ჩვენში თუმცა ამ გრძნობამ განიღვიძა, მაგრამ ჩვენ ვერ მივხვდით ნამდვილს სწავლასა და სწავლას სრულებით სხვაფრივ უყურებდით და უყურებთ. ჩვენ სწავლას არ მივეცით ის მნიშვნელობა, რაც მნიშვნელობა იმასა აქვს ნამდვილათა

. . . . . . . . . . ჩვენ მხოლოდ იმიტომ დაუწყეთ შვილებს სწავლება და წავეეტანეთ სასწავლებლებს, რომ სასწავლებელში გაზდილი ხალხი შექნება მიღებული სამართებლო ასპარეზედა და იმათ ეძლეოდათ უფრო მეტი ღირსება. მარტო ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ ვზდით შვილებს სასწავლებელში და ვაძლევეთ იქ სასწავლებელათა. სხვა სწავლის ღირსება, ჩვენ არ გვეყურებო-

---

(*) უკანასკნელს დროს ფრანგების მისიონერებმა თავისის დაახლოვებულის მეგობრობით ცნობის მოყვარულს ანტონ 1-ს კათალიკოზს, აგრძნობინეს ამას და სხვებსაც სამეცნიერო წიგნების საჭიროება და ეს მისსიონერები იყვნენ მიზეზნი, რომ ანტონ 1-მა კათალიკოზმა ისწავლა ლათინური, გადმოთარგმნა სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნები, შეადგინა პირველი ქართული გრამატიკა და დააფუძნა სასწავლებლები.

და და . . . . . . . . . . . .

რასაკვირველია, დღეს იყო თუ ხვალა, სწავლის სურვილის გაცხოველებასთან, უნდა შესულიყვნენ ფიქრსა და სჯაში, თუ სადმე ცოტაც არის ჭკუა და გონება იყო, რომ საკმაოა ეს სწავლა, რომელიც ჩვენ გამოგვაქვს ან, რომლისათვისაც ჩვენ შევდივართ სასწავლებლებში, თუ კიდევ სხვაც შეიძლება, რომ ისწავლოს რამე კაცმა და იყვეს, არამცთუ მარტო ერთის იმ პირისთვის, რომელიც სწავლობს და მთელს საზოგადოებისთვისაც გამოსაყენებელი? ან რისთვის არის სწავლა? . . . . . . . . . . .

ეს ფიქრი უფრო მოსასვლელი იყო თავში იმ მიზეზით, რომ მეზობელი სწავლული ხალხები მეცადინეობაში არიან, იგონებენ სხვა და სხვა მაშინებსა (მანქანებსა): მოიგონეს ტელეგრაფი, რკინის გზები, ცეცხლის გემები და სხვა ათასნაირი სიმარჯვეები, რომლებს, ზღაპრათაც ვერ მოიგონებდნენ ჩვენა და ჩვენი მამაპაპები; აგრეთვე აკეთებენ და ავითარებენ ფაბრიკებსა, ცდილობენ რომ გააუმჯობესონ თავისი ცხოვრება. ერთის სიტყვით იმათში მეცნიერება ემსხვრება ხალხს და ცხოვრებას იმდენათ მაინც არის, რამდენათაც არ უშლის თვით ხალხის უმეცრება და.... სურვილი კაცობრიობის წინ წასვლის ცოდნისა აუცილებლად უნდა ყოფილიყო ხალხში. ძნელათ თუ იმისთანა ხალხი იპოვებოდეს ქვეყანაზედ, რომელიც ცნობის მოყვარე არ იყვეს. ამ სურვილის შესასრულებლად უნდა ჰქონოდა ხალხს იმისთანა რამ ღონისძიება, რომელსაც გადმოეცა ხალხისთვის ეს ცნობაები და უნდა გადმოეცა იმ რიგათ, იმ ფორმით, იმ ენით, რომელსაც გაიგონებდა ხალხი და რომელიც წაიზი- დავდა ხალხსა.... რაკი ეს სურვილი არ

ეუსრულდა ხალხსა მაშინ ის უნდა დარწმუნებულიყო, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ვისწავლოთ ისა, რასაც სწავლობენ და აკეთებენ ეს უცხო ხალხები. . . . . . ამ ფიქრით, ამ აზრზე-დაც უნდა დამდგარიყვნენ, რომ ის სწავლული ხალხები სხვა ხალხნი არიან და იმათ სხვა რიგი გონება და აგებულება აქვს. ბევრი ამაზედაც დარწმუნდა, რომ ფრანციცები და ინგლიზები ეშმაკის მანქანებაზედ დგანან და ჯადო-ქარები არიან, ამისგამო ჩვენს ხალხს არ შეუძლიან ამ საქმეების გაგება და მიხვედრა, რომელსაც განათლებული ქვეყნები შესდგომიან.

ამ აზრზედ დადგომა, რა თქმა უნდა, არ იყო სანუგეშო, ამიტომ რომ ამ აზრზედ დამდგარი ხალხი უეჭველათ ყოთურდება, ჰკარგავს თავის თავის იმედსა, მხნეობასა და მეცადინეობასა: სჯერდება თავის ძველს და აწმყო ცხოვრებასა, მაგრდება და მტკიცდება თავის შეცდობილებაებსა და ცრუ აზრებში; და მაშინ ყოველივე ახლად თქმული და ახლად შემოღებული საქმეები უნდობლათ და დაცინვით მიიღება ხალხისგან . . . . . . . . . .

რაკი ამ აზრზედ დამყარდა და ამ გზას შეუდგა მომეტებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა და ხალხისა, მაშინ როგორც ზემოთაცა ვთქვი, იმათ სასაცილოთაც აღარა ჰყოფნიდათ, როდესაც თითო ოროლა ნასწავლმა კაცმა დაიწყო თითო ოროლა მართლის თქმა, დაიწყო ზოგიერთა ნაკლებულებასა და საზოგადო სარგებლობაზედ ლაპარაკი. მომეტებულმა ნაწილმა ჩვენი საზოგადოებისამ არამცთუ ცუდათ და მტრულათ მიიღო ამ ნასწავლი ხალხის ლაპარაკი და პირიქით დაუწყო ამათ ათასნაირი ცილის წამება, მოგონება, უშნო-

ვო დაცინვა და გაჰხადეს თითით საჩვენებლათა და სალაპარაკოთა. ეს თითო ოროლა რიგიანი და სასარგებლო აზრები და ლაპარაკი ნასწავლი კაცებისა, საკვირველი არ არის, რომ ცუდათ და მტრულათ ჰჩვენებოდა ჩვენს საზოგადოებასა. ეს აზრები არ იყო ნაყოფი ქართველის ხალხის ფიქრისა და აზრისა და არც იყო საქართველოში შემუშავებული . . . . . . კიდეც იმიტომ იხამუშა ესენი ჩვენმა საზოგადოებამ.... ამ პირველს შემთხვევაშივე ჩვენმა საზოგადოებამ ცხადათ გამოაჩინა თავისი შეცდომილებაებში მტკიცეთ გაბმა..... ყოველი ხალხი, რომელიც არ აფასებს სხვის კარგსა; რაც ახალია, თუნდა სულის ცხონებაც იყვეს, ყველას მტრულათ უყურებს და არა აქვს გრძნობა თავის შინაურის ცუდის და ნაკლულევანების დანახვისა, ის ხალხი არის ზნითაც და გონებითაც დაცემული და წამხდარი. ყოველი კარგი არღვევს ძველს ცუდსა და ცდილობს, რომ სარგებლობა საზოგადო იყვეს. რასაკვირველია, აქ უნდა შეიჭიროს ყველა ფრთებ გაფხორილმა და ბევრის მუქთათ ჩანთქმულმა ადამიანმა. . . . . . . .

რასაკვირველია ჩვენში ამგვარი არა წარმოთქმულა, მაგრამ . . . . . . რაკი ამგვარნი მუქთა ჩამთქმელნი ჩვენში მრავალნი იპოებიან, მაშინ საკვირველი არ არის, რომ ეს ჩვენი ახალი აზრების კაცების თითო ოროლა სიტყვა, სადაც ისმოდა, რომ მომატებული ნაწილი ჩვენი საზოგადოება ცუდათ დაეჩვია მუქთახორაგობასა, სიზარმაცესა, სხვის ოფლით შრომით ცხოვრებასა; ისმოდა საჩივარი, რომ დრო არის მივცეთ ყურადღება მიწა-წყალსა და ჩვენს ბუნებასა და. . . . დრო არის ვიფიქროთ ჩვენს

სწავლაზედა, რომ ვსწავლობდეთ იმასა, რასაცა თხოულობს ჩვენი ბუნება და ჩვენი საჭიროება; დრო არის ყველამ თავის ოფლით და შრომით შეიძინოს პური; — ყოველივე ესე მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ უსიამოვნოთა, გამოჰკრა გალაცების ტაში და დაუწყო დაცინვა. . . . . . . . . ამ შემთხვევამ, რომ მსჯელი და გონიერი კაცების აზრი უსიამოვნოთ მიიღო ზოგიერთმა უნდა დაანახოს იმათა, რომ თავის შვილებს ან სრულებით არ მისცენ სწავლა, რომ არ გაუჯდეთ იმათაც გონებაში ამ გვარი ამათი მოუწონებელი აზრები თავში, ან, თუ მისცეს, ისეთი სწავლა მისცეს, რომ კიდევაც ჰლიროდეს იმათა . . . . . . . იმათ შეუძლიანთ თავისი შვილები არ მისცენ თავის უსიამოვნო სწავლაში და იმითი დაიმშვიდონ გული. . . . . . . . . . . . მაგრამ თუ ამ გვარი აზრის ხალხი კარგათ ჩაფიროდება, მაშინ უნდა დარწმუნდეს, რომ მაშინ კიდევ უფრო წაგებაში იქნება. მე ეხლავე უჩვენებ რა ნაირათ იქნება წაგებაში. ვსთქვათ იმან აღარ დაზარდა შვილები, რომ ჩვენი შეცთომილება და ნაკლულევანებაები არ გაიგონ. . . . . . .
ვსთქვათ ესენი აღარც ერთს ჩვენი მაღალი საზოგადოების შვილმა ველარ იგრძნო; მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ ისა, რომ ამათს გარდა არის სხვა ბევრიცა დაბალი საზოგადოებისა, რომელსაც თან და თან ეძლევა შემთხვევა სწავლისა და იმათ ხომ ველარ შეუკრავთ სწავლის გზასა? ესენი უეჭველია ისარგებლებენ თავის ცოდნითა და. . . . .

. . . . ყველა გონება გაუხსნელი კაცი თავისისაცა და სხვის უნებურათაც ჰხდება მონა გონება გახსნი-

ლისა და მცოდნე კაცისა,--მონა--ისეთი მონა კი არა ჰხდება, როგორცა ჩვენა გვგონია, ეს იქნება ჭკუითა და ზნით მონა, რომელიც უარესია ყოველ რიგს მონობაზედ. ჩვენი მონა აქამდინ გონებით ჩვენი ტოლი იყო და რაც ჩვენი გვეყურება, იმასაც ესმოდა; მაშასადამე ისინი ჩვენი მონები გონებით არ იყვნენ და ჩვენი უსწავლელი შვილებიკი შექნებიან გონებით მონები ნასწავლი ახლა ცხადია, რომ რაც უნდა მოინდომოს ამგვარმა საზოგადოებამ, თუნდა შვილები სულ უსწავლელები დაჰყაროს, მაინც არ ასცდება გულის ხეთქა და დროს ცვლა. მაშ ერთი ღონეღა დაგვრჩენია: ვეცადოთ ჩვენს შვილებს მივსცეთ დროებისა და საჭიროების შესაფერი სწავლა : : . . . ; . . . .

. . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

. . . . . . ჩვენმა საზოგადოებამ შენიშნა ჩვენს ზოგიერთა ყმაწვილებს, რომ რასაც ამბობდნენ საქმით არ ასრულებდნენ და დაუწყო ამგვარის გცევითა და ამ გვარის ყმაწვილებით ყვედრება და დაცინვა სუყველა ნასწავლებსა და ისკი აღარ იცოდა, რომ მიზეზი თითონვე იყო. ამ ზოგიერთა ყმაწვილების უხასიათობისა და მტკიცეთ დაუდგომლობის თავის სიტყვებსა და აზრებზედა. ეგ ჭეშმერიტია, რომ ყველა კაცი რაკი ჰგრძნობს და ამბობს სიცუდეს, აღარც უნდა ჰქნას და აჰყვეს ამასა: ამაზედ მეტი კაცის დამამცრობელი ძნელათ თუ რამე იქმნება და სრულებითიც არ მიეტევებათ იმათ ესეები, ვინც სიტყვისა და გრძნობის დაგვარათ არ მოიქცევა. იმას კიდევ მიეტევება, ვინც უმეცრებით ჩადის ცუდს საქმესა, მაგრამ იმათ, ვისაც ეყურება სიცუდე და მაინც კიდევ ვერ ელევა

ამ სიცუდეს, იმას სრულებით არ მიეტევება. მაგრამ სიმახინჯე ყველაშია. ხასიათი ყველას არა აქვს ისეთი მტკიცე რომ დასდგეს მტკიცეთ და მაგრათ თავის გონივრულს აზრზედ. . . . . . . ეს ნაკლებულება ახალ აზრების კაცებში მეტ-ნაკლები ყველასა სჭირდა, მაგრამ ყველა ისე არ იყო დაძალეული ამ უხასიათობითა. . . . ყმაწვილ კაცობაში ამ ნაკლულევანებასთან სჩანდა კიდეც მეცადინეობა ამ გცევის დარევისა და სიტყვისა და საქმის ერთმანერთთან შეთანახმებისა....ამასთან კიდევ უფრო უხდენდნენ ყმაწვილკაცებს სახელსა იმგვარი ყმაწვილები, რომელთაც ეყურებოდათ რეკა, თითონაც თავის ჭკუაში ვითომა რეკამდნენ და რაცხავდნენ თავის თავს საზოგადოების მასწავლებელათ და ჩამგონებელათ, ისკი არა თუ ესენი მხოლოდ ასდევდნენ ფეხის ხმასა და კი არ იცოდნენ რისა იყო ან სად იყო ეს რეკა და მხოლოდ ქვევრიევით რასაც ჩასძახებდნენ იმას ამოიძახებდნენ; და ზოგჯერ იმასაც არ ამოიძახებდნენ, რაც ეყურებოდათ, და გაგონილს აზრებს თავის ყალიბზედ ასხამდნენ და თავისებურათა გაიძახოდნენ. მაგრამ, თუ ჩაფიქრდებოდა საზოგადოება, არც ეს იყო ასაშფოთებელი, არც ეს აყო თითით წასატაკებელი ყმაწვილი კაცებისათვის, რომელსაც დაუწყეს ცუდათ ყურება და უდგნენ შინჯში. ყველგან და ყოველს ადგილას ისრეა, რომ ყოველივე ახალი ჭეშმარიტება, რომელიც პირველათ შემოდის სადმე, ყველა კარგად ვერ გაიგონებს და ვერ მიხვდება დიდს ხნობამდის, მინამ კარგათ არ გაუჯდება საზოგადოებას ძვალს და რბილში ეს აზრები და სწავლა და არ გადიქცევა ამ საზოგადოების ბუნებათა. მაშასადამე არც ეს უნდა ჰქონოდათ გასაკვირველათ

რომ ამგვარი ყმაწვილები პირველს ქარის შემობერვაზედ, გასდევენ ქარის გზასა ბურბუშელასავითა დავარდებიან ისევ მამაპაპის ნაკვლევში. ამ გვარი ყმაწვილები სრულებითაც არ ეკუთვნიან ახალი აზრის პატრონებს. ესენი მხოლოდ მოდის გულისთვის, რომ ჩვენც კაცათ ჩაგვაგდონო, ალაგსა და უალაგოსა ყვირიან ახალს, თავისებურათ გადაკეთებულს აზრებსა.

ჩვენმა საზოგადოებამ დაიხვია ხელზედ ამგვარი ყმაწვილები და ამათი დოშხალიივით არეული აზრები და აღარ არჩევდა ამათა და ამათს ნაქადაგებს აზრებსა რიგიანს კაცებსა და იმათს რიგიანს აზრებში იმასკი ივიწყებდნენ რომ ესენი იყვნენ ხაზოგადოების. სახენი და მხოლოდ ცარიელის და ისიც უმსგავსოს სიტყვების რახარუხით ცდილობდნენ ახალი აზრების პატრონების დამსგავსებასა.

ეს ყველგან ასრეა, რომ ძველი აზრების პატრონი საზოგადოება ებრძვის ახალს აზრებს. ეს ბრძოლა კიდევაც დიდს ხანს გასტანებს, გამარჯვება კიდევაც დიდს ხანს დარჩება ძველს აზრებსა. ეს ბრძოლა იტანს, როგორც აქამდინაც უტანია, ბევრს საუკეთესო აზრების პატრონსსა და ბევრს თაობასაცა; მაგრამ ბოლო მაინც ამ აზრებისაა. ყველგან, ყოველს ხალხში და ყოველს დროს ცხოვრების განმაახლებელად გამოსულან ყმაწვილკაცობანი. რასაკვერველია ამ აზრების შესასრულებლად ბევრს ხანსა ყოფილან ესენი დიდსა და საშწუხარო მოთმინებაში ძველი ცხოვრების დამცველებისაგან, დიდს ხანსა ყოფილა ბრძოლა და დამარცხებულან ახალნი; მაგრამ ბოლოს გამარჯვება შერჩენიათ ყმაწვილს ხალხსა. ის აზრი, რომელიც ერთხელ და ერთხელ

გამოიღვიძებს ხალხის განახლებისათვის და მისი ცხოვრე-ბის გასაახლებლად, ვეღარას ღონისძიებით ვეღარ გაჰქრება და რავდენიც უფრო ეწინააღმდეგებიან ამ აზრებსა, იმდენი უფრო ცხოველდება და მძლავრდება, . . . . . . უნდა ყოველი გონიერი ხალხი, რომელსაც ეყურება ეს ბუნების კანონები, ეცადოს, რომ ამ ჭეშმარიტს აზრებს არ დაუშალოს თვისი ბუნებრივი მოძრაობა და გაჰყვეს ამის მომდი-ნარებასა. როდესაც ეს ცხოვრების საკეთილო აზრები მიიღება და გასტანებს ხალხს ძვალსა და რბილში და გაჰყვება ხალხი ამ აზრების დაწყობის ცხოვრებასა, მაშინ ეს ხალხი ახლ-დება, ცოცხლდება და დაჰბადებს ყოველს იმასა, რასაცა ჰსაჭიროებს იმისი ცხოვრება, და უკეთუ ეს აზრები დარჩება ხალხისაგან მიუღებელი, ან აღარა აქვს ხალხს ღონე, რომ შეებრძოლოს ძველს ცხოვრებასა და მიჰყვეს ახალსა, მაშინ ეს ხალხი-თვითონ ბუნების კანონი ისრეთია — როგორ ყო-ველივე ძველი, რომელსაც გაახლება აღარა გაეწყობა რა, დაიფუტვნება და დაიშლება...... მაშასადამე რიგიანი ნასწავლი ყმაწვილკაცობა და........კი არ უნდა გვყვაედეს მოძულებული და ამოჩემებული, უნდა სანეტაროთა და სასიხარულოთ მიგვაჩნდეს.

მე, რასაკვირველია, არც საზოგადოებას ვამტყუნებ ამშემთხვევაში, რომ ის ასრე მეეპყრა ახალს აზრებსა. იმას სრულებით არა ჰქონდა მომზადება, რომ მიგვებებოდა აზრებს გულგრილათა და დამშვი-დებითა: არც სწავლა და არც ლიტერატურა არა გვქონდა ისრეთი, რომლიდამაც გვქონოდა ცოტაც არის ამის გაგება. პირველი ღონისძიება, რომ სწორე გზაზედ დააყენებინა ჩვე-ნი საზოგადოება და აეხსნა იმისთვის სიმართლისა და სიმ-რუდის ვითარება და კანონები, იყო ლიტერატურა, ლიტერატურა

უეჭველათ უნდა მიეშველებოდა ამ მდგომარეებაში საზოგადოებას. . . და კიდეც მიშველა, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ აღედგინათ დაცემული აზრები, ან ესწავლებინათ რამე ხალხისთვის, ხოლოდ იმისთვის, რომ უფრო და უფრო დაემხოთ ეს აზრები, უფრო და უფრო დაებნელებინათ და გადაებირათ ძველი აზრების მიმადევარნი. ჩვენი ჟურნალების მოვალეობა უნდა ყოფილიყო ისა, რომ იმას სუმბუქის მოთხრობით გადმოეცა ხალხში, საზოგადოებაში, შეძლების დაგვარათა, განათლებული ხალხების ცხოვრება, რომ ჩვენ ეს ცხოვრება გვქონოდა სარკეთა; უნდა ლიტერატურას ნათლათ ეჩვენებინა ამ ცხოვრების ცუდი და კარგი მხარე, რომ ცუდით არ მოვსტყუებულიყავით და კარგი ცუდათ არ მიგვეღო, რადგან იმ კარგისა ჩვენ სრულებით ხამები ვიყავით; ლიტერატურას უნდა ეჩვენებინა ჩვენი ცხოვრების ნაკლულევანება და შემცდარი აზრები. . . . . .

. . . . . . . ლიტერატურას ყოველივე ესენი ისრე უნდა გართობითა და სუმბუქათ ელაპარაკნა, რომ ჩვენი გამოუცდელი და შეუჩვეველი მკითხველები წახალისებულიყვნენ კითხვითა და გაეგოთ ყოველივე ამ ნაწერის აზრები: მართალია საზოგადოება ლიტერატურაზედაც ისე აღელდებოდა, როგორც აღელდა ნასწავლს ახალგაზდა კაცებზედ, მაგრამ დღეს იხამუშებდა, ხვალ იხამუშებდა და ბოლოს თან და თან დარწმუნდებოდა ამათს ჭეშმარიტებაზედ და იცნობდა საზოგადო საჭიროებასა. რასაკვირველია ძნელი იყო ამის ყველას შესრულება ჩვენი ჟურნალებისაგან, მაგრამ მე არ მითქვამს, თუ უეჭველათ შეესრულებინათ ყველა ეს მოთხოვნილება, მე ვსთქვი შ ე ძ ლ ე ბ ი ს დ ა გ ვ ა რ უნდა

შეესრულებინათ მეთქი ეს საჭიროებაები. მაგრამ, აბა გადაავლეთ თვალი და ნახეთ რა უქნიათ ჩვენს ჟურნალებსა: არამც თუ არ აღუსრულებიათ ეს მოთხოვნილებაები და ისიც არ აღუსრულებიათ რაც იმათს ხელში ყოფილა დაშესძლებიათ. „ცისკარი" თავის დღეში ვერ მოარჩენილა ვარდბულბულის ყეფასა, მზისა და მთვარის ქებასა, შავთვალ წარბა ქალების შემკობასა. მთელი „ცისკრის" ნომრები იყვნენ სავსე ქალებისა და წყალობის მომცემელის ქებითა. ლეკურს ითამაშებდა ვინმე „ცისკარში" შეამკობდნენ; თავსაკრავი უხდებოდა ვისმე, უნდა „ცისკარში" ქება მოგეძებნა: უყვარდა ვისმე ვინმე „ცისკარში" ნახავდით დარდების საჩივარსა. . . . . . .

ერთის სიტყვით რა გინდა და რა გვარი ქება და შემკობა რისა და რა ჯურის ხალხისა, „ცისკარი" არ იყო; და საზოგადო საჭიროებაზედ, საზოგადო სარგებლობაზედ ძვირათ თუ რამე წარმოსცდებოდა ხოლმე ამ ჟურნალსა. თითქო ეს ამისი ხელობა არ არისო. მეორე ჟურნალი, რომელიც უფრო საიმედო იყო, თავათვე მოიქებდა თავსა და ყმაწვილკაცობაც სასოებით შეჰყურებდა, იმანაც, კარგათ გეახსოვს, როგორც იჩინა თავი. ის იქამდინ გაიტაცა თავის მოყვარეობამა, რომ როდესაც ნაკლებულებას ჰნიშნავდნენ და სთხოვდნენ ანგარიშსა, რისგან ხდება ეგ ნაკლცლევანებაო; ამან რიგიანი პასუხების მაგივრათ. . . . დაიწყო ცილის წამება თავის მეპასუხეზედ და ლანძღვის წერა.

ამგვარათ არც ლიტერატურა გამოგვადგა ჩვენ ისეთი, რომ გასძღოლოდა ჩვენს საზოგადოებას წინ და ეჩვენებინა სწორე გზა შეძლების დაგვარათ, და ამ უკანასკნელი ჟურნალის, რომელიც ირაცხებოდა, ნასწავლი კაცობის ორგანათ, ისე

უდროვოთ გათავებამ და დასასრულმა კიდევ უფრო იჭვში ჩააგდო ჩვენი საზოგადოება, როგორც ყმაწვილი ხალხის ქადაგების უვარგისობასა და ურიგობაზედ, ეგრეთვე უფრო დაამყარა იმ აზრზედა, რომ ყველა ძველი სჯობიან ახალსა და უფრო დამყარდა მამა თარგმოსის გზაზედ და ტკბილსა და ღრმა ძილზედა. კიდეც ამ გვარი ჩვენი უსულო და უმოძრაო ცხოვრება შეიქნა იმის მიზეზი, რომ ათქმევინა ზოგიერთა ცრუ მეცნიერებსა, ვითომ ქართველები ყოვლისფრით უნიჭონი ვიყვნეთ და ამისგამო ამაო იყვეს ჩვენთვის სახალხო სასწავლებლები.

ვითომც რომ ქართველები ყოვლის მხრით უნიჭონი ვიყვნეთ ამას ჩვენი მტერის მეტი ვერავინ იტყვის. მართალია ჯერკი მაგთენი ნიჭი არაფერში არ გამოგვიჩენია, მაგრამ მიზეზი ამისი ჩვენი უნიჭობა კი არ არის, ამის მიზეზი არის ჩვენი ისტორიული ცხოვრება. . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

ახლა ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ სრულათ ყურადღება არ მივაქციეთ ჩვენს საკუთარს ენას. ყოველი ხალხის ჭკუის მომომხვრელი და წარმომთქმელი არის თავისი საკუთარი სამშობლო ენა. ყოველი ენა, ენების კილო და მცირედი ცვლილება ხალხთა შორის ენებში, იბადება და კეთდება ისრე, როგორც მოითხოვს ადგილ მდებარების ვითარება, ცხოვრების საჭიროება, გონების მდგომარეობა და სხვა საჭიროებანი. ის ხალხი, რომელიც არ შეასრულებს და უმტყუნებს ამ ბუნების მოთხოვნილებაებსა, აუცილებლათ დაეცემა როგორც ზნით, ებრეთვე ჭკუითაც . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

ეხლა ბევრი სარწმუნო მეცნიერნი ამტკიცებენ, რომ ყველა თავდაპირველათ ერთს ენაზედ ლაპარაკობდნენ. თვით საუკეთესო ბუნების გამომძიებელნი რწმუნდებიან და დგებიან ამ აზრზედა, რომ კაცობრიობა მომავალებს ერთის წინაპარიდამ. ამაზედ ხომ იჭვში აღარავინ არის, რომ მრავალი ეხლანდელი სხვა და სხვა ხალხები ლაპარაკობდნენ ერთს ენაზედ და წარმომავალობენ ერთის თესლისა და ტომიდამ. მაგრამ ეხლა სადღაა ის ერთი ენა? აბა თუ ორი ხალხიღა ლაპარაკობდეს ერთს ენაზედ! არამცთუ ორი სხვა და სხვა ხალხი ლაპარაკობდეს ერთს ენაზედ, და ერთსა და იმავე ხალხში ლაპარაკობენ სხვა და სხვა ენებზედა. ასს ვერსს ვერ გაივლი ერთსა და იმავე ხალხში, რომ არ შენიშნო სიტყვების ხმარებასა და კილოში განსხვავება. მიზეზი ამისიც ის არის, რომ საჭიროება და ბუნების მოთხოვნილება სხვა და სხვა რიგი აქვთ ყველგანა და ამ მოთხოვნილებაების დაგვარათაც აწყობს და ჰბადებს ყოველი ხალხი თავის ენასა. რა საკვირველია, როდესაც ერთი და იგივე საჭიროებაები გაცხოველდება ყველაში, მაშინ ისე აღარ დაშორდებიან ენები ერთმანერთს და მეტადრე ერთი და იმავე ხალხის ენა; ეგრეთვე შესაძლებელია რომ მრავალმა, სხვა და სხვა ხალხის ერთმანერთის მსგავსმა საჭიროებამ და საჭიროებაებისდამსგავსებამ დაახლოვოს ყველა ენები ერთმანერთს, და მაშინ თვით საჭიროება აჩვენებს დაახლოვებას ან შეერთებას, მაგრამ მინამ ეს საჭიროებაები არ არიან ბუნებითნი, მანამ უნდა ყველამ თავისი ენა დაიცვას. . . . . . . . .

ამ აზრის დასამტკიცებლათ მოვიყვან ორი უპირველეს გერმანიის მეცნიერების სიტყვებსა ამ საგნის შესახებ:

„ყველა ხალხი ისე მომდინარეობს — ამბობს ვირხოვი — რომ შვილი სცვლის მამასა და წინათაობასა. გავა ხანი და ბოლონდელს თაობას დაავიწყდება თუ ძველათ ვისგან მომდინარეობს — ვისიც შთამომავლობა თვითონ არის; მაგრამ ენამიკი დაიცვის და ცხოველდება ცხოვრება და ყოფა ხალხისა, და ხალხი არ გადუდგება თავის თავსა. ენა არის უსამღრთოესი განძი ხალხისა. . . . . . . .

„მე არ ავიღებ ამას საბუთათ — ამბობს შემდგომ კიდევ ვირხოვი — რომ მეცნიერება უნდა იყვეს მთელი კაცობრიობისათვის და არა მარტო ერთის ხალხისთვის. ეს ღირდა ლაპარაკათ მხოლოდ მაშინა, როდესაც სამეცნიეროთ მარტო ერთი ენის მეტი არ იხმარებოდა. მაგრამ ლათინური ენა თან და თან ისპობა, როგორც მოისპო და მოკვდა ის ხალხი, რომელიც ამ ენაზედ ლაპარაკობდა. რამდენიც მეცნიერება შედის სახალხო ცხოვრებაში და უერთდება ხალხსა, იმდენი სამეცნიერს ფორმულები, რომელიც ბევრში იჭერდა ძველი ენის (ლათინური ენის) მხარესა, იმდენი უფრო და უფრო გამოდის ხმარებიდამ. მეცნიერება ყოველგან თან და თან უთვისდება სამშობლო ფორმასა და რიგსა; სხვის ტანისამოსი უშლის თავისუფლათ მოძრაობასა, მხოლოდ სამშობლო ენა აძლევს მეცნიერს ღონეს მსწრაფლად მოსულის და გაცხოველებულის აზრის წარმოსმთქმელათა. მხოლოდ მაშინ შეუძლიან, რომ მეცნიერება მთლიანათ და სასარგებლოთ გადავიდეს ხალხში და გაუჯდეს ხალხს გონებასა და აზრში.“ (**Вирховъ: четырс лекціи о жизни и болѣзненномъ состояніи.**)

ამაზედ კიდევ უფრო ცხოველათ ლაპარაკობს საუკეთესო

ბუნების გამომეძიებელი კარლოს ფოქტი.

„ვატლანდის (*) კანტონის ხალხი ლაპარაკობს ფრანცი-ცუზათა, იღებს ფრანციცულს განათლებასა, — ერთის სიტყვით ცდილობს, რომ გაფრანცუზდეს და ფრანცუზი შეიქნეს, მაგრამ მაინცა და მაინც იმასა აქვს საქმის მხედველობა ნემენცური (**), აქვს ნემეცური მომართულობა გონების მოძრაობისა და აზრისა: და ამისგამო ის ვერას დროს ვერაფერს სასარგებლოს ვერ დაჰბადავს თავის თავათ, რადგანც იმისი ენა არ ეთანხმება იმის ბუნების და ჭკუვის მოთხოვნილებასა. ამისგამო ყველა მიხვდება, თუ რა უგუნურება იქნებოდა, რომ ქვეყანაზედ ერთის ენის მეტი არა ყოფილიყო. მაშინ ეს ენა არ ეთანხმებოდა არავის მოთხოვნილებაებსა და საჭიროებაებსა და ისევ მალე შეიცვლებოდა ისრე, როგორც შეიცვალა პირველი ინდოგერმანული ტომების ენა, ესე იგი გაიპნეოდა და შერდგებოდა ცალცალკე სხვა და სხვა ენები....“ **(Карлъ Фогтъ «физіолог письма»? II стч. 471—472.)**

. . . . . . . . . . . . .

მაშასადამე ენას ხალხის კეთილდღეობაში და გონების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონია. მკითხველი, რომელიც ჩააკვირდება ორის ზემოხსენებულის ევროპიის საუკეთესო მეცნიერების სიტყვებსა, ნათლათ დაანახავს, რომ ვინც ბუნებას წინააღმდეგ დაკარგავს თავის ენასა და არ ეცდება იმის განვითარებასა და შემუშავებასა, ის ხალხი უეჭველად უნდა დაეცეს. . . . . . . . .

(*) ვატლანდი შვეიცარიის რესპუბლიკაშია.
(**) ვატლანდის კანტონი ნემენცები არიან.

. . . . . . . . . . .

ჩვენ მივედით ისევ იქა, რომ ჩვენი ღონისძიება არის ლიტერატურა და სახალხო სასწავლებლები. ამ უკანასკნელზედ მე მოვილაპარაკებ თავის დროზედ. ლიტერატურის ვალია ახლა, რომ სხვა და სხვა ჭეშმარიტის და ძლიერის საბუთებით უმტკიცებდეს ხალხსა და საზოგადოებასა საზოგადო სასარგებლო საქმეზედ დადგომასა და უნდა უხსნიდეს რაში მდგომარეობს ის საზოგადო სასარგებლო საქმეები, შეეხოს ყოველრიგს საზოგადო საჭიროებასა და აცნობოს მკითხველს იმისი ვითარება, შეეხოს ხალხის ცხოვრებასა და უჩვენოს ყოველი მხარე ამ ცხოვრებისა. ხოლოდ მაშინ ექნება ლიტერატურას ჭეშმარიტი სასარგებლო მნიშვნელობა. პირველად, როდესაც მკითხველები დაინახვენ თავის ცხოვრების გამოსახვაში თავის ცუდს მხარეებსა, აუცილებელია დაიწყებენ წყრომასა, მაგრამ თან და თან დაინახვენ და იცნობენ ამგვარი წერის ღირსებასა და იმის ძირსა და ცოტა-ცოტათი შეჩვეულნი, თავისავე უნებურათ შეუდგებიან რისამე ფიქრსა და არ ჩაივლის ეს შრომა ლიტერატურისა უნაყოფოთ. ზღაპრებისა და ტკბილი ლექსების წერის დრო წარვიდა, ახლა დრო არის ჩვენც ბავშობას და ცელქობას თავი დაანებოთ, შეუდგეთ გონების მოძრაობის ფიქრსა, გამოვიდეთ ჩვენი ტკბილი გარინდებულის განცხრომიდამა და ვცნათ, რომ ჩვენც წუთისსოფლის შვილები ვართ და მინამ წუთის სოფელში ვართ და კაცი გვქვიან, ვიზრუნოთ წუთი სოფლისათვის და ვიცხოვროთ კაცურათა.

„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს. . . "

ამბობს ამ ოცის წლის წინით გარდაცვალებული და უბედურათ გადავლილი ჩვენი ყმაწვილი და ჩვენი თავმოსაწონებელი პოეტი, თუ კი ის ამასა გრძნობდა და ამბობდა ამ ოცდა ათის წლის წინათა. . . . . . . .
ეხლა რაღა უნდა ვსთქვათ, როდესაც უფრო ხანი გავიდა. . . . . და გამოცდილებაც უფრო მოგვეცა.

„მაგას ყველას კარგათა ბრძანებთ, — მეტყვის დაცინვით ზოგიერთა მკითხველი, — მაგრამ სად არიან მაგგვარი მშრომელნი, რომ ეგენი აასრულონ, რასაც თქვენა ბრძანებთო?

მეც მაგას ვამბობ, მიუწდომელო და მიუხვედრელო მკითხველო, რომ ჩვენ არა ვცდილობთ ამგვარი ხალხის აღმოჩენასა და თუ ცდილობს ვინმე ამგვარს შრომასა, იმათაც არ ვაძლევთ ღონისძიებასა და მხარესა და პირიქით ვცრით იმათ საქმიდამა და არ უშლით მტრობასა. მეორეც ესა, დავიჯეროთ ჩვენმა მოზარდმა ყმაწვილობამ ჩვენი თაობის ხალხივით უნდა ისწავლოს! დავიჯეროთ ამას მაინც არ ეცდებიან ჩააგონონ იმათა, რომ იმათზეა ჩვენი იმედი და ისინი მოემზადონ საზოგადო სასარგებლო ცხოვრებისათვის, ისწავლონ საჭირო საგნები და შეითანხმონ მეცნიერება ცხოვრებასა და მეცნიერებასთან შეისწავლონ ცხოვრებაცა. დავიჯეროთ ამ მომავალმა თაობამაც ისრე გულცრილად უყუროს ჩვენს ენას, და დაცემულს ცხოვრებას, როგორც უყურებიათ ჩვენებს და უყურებთ ჩვენც აქამდინა?! ღმერთმა დაგვიფაროს!...

ანტონ ფურცელაძე.

2 თებერვალს 1866 წელსა.

## საქმე მირავოი სუდიასთან. (*)

(რუსულითგან.)

განირჩევიან ორი ყმაწვილი კაცი: ტურანოვი და კომლევი; ტურანოვმა ერთს პიკნიკში, სადაც იყო მრავალი შეყრილობა კომლევს გაარტყა სილა, რომელზედაც კომლევმა შეიტანა ტურანოვზედ საჩივარი სამსჯავროში.

მსაჯული. მართალია, უფ. ტურანოვ, თქვენ შემოჰკარით უფ. კომლევსა?

ტურანოვი. მაგისთანა კაცებს ყველგანა სცემენ. შემოვჰკარ.

მსაჯული. რა ნება გქონდათ?

ტურანოვი. ჯერ ერთი იმიტომ გავარტყი, რომ ეგ ყოველთვის საშინელი არამზადა კაცია.

მსაჯული. ზრდილობიანათ ილაპარაკეთ.

ტურანოვი. და მეორეთ იმიტომ, რომ ამან გააუპატიურა ჩემი და.

მსაჯული. როგორ გააუპატიურა?

---

(*) რადგან ხმოვანი სამსაჯულოები ვრცელდებიან რუსეთში, ამისგამო «ცისკრის» რედაქცია საჭიროდ ჰრაცხს შემოიტანოს ნიმუშები ამ სამსაჯულოებში გასამართლებისა, რომ, რადგანაც ჩვენც მოველით საქართველოში ამგვარისვე სამართლის დაწყობილებას, ჩვენს მკითხველს ჰქონდეს მცირეც არის ცნობა ამ სამსაჯულოებში გასამართლებისა. რედ.

ტურანოვი. მოატყუა; დაჰპირდა ჯვარის დაწერას, შეაცდინა.

კომლევი. მე არას დროს არ დავპირებივარ ჯვარის დაწერას თქვენს დასა, რადგანაც ის არ არის გონება გახსნილი.

მსაჯული. მოითმინეთ, უფ. კომლევ, დაჩუმდით, მანამდისინ თქვენამდისინ მოვა რიგი ლაპარაკისა.

ტურანოვი. ჩემი და ორსულად არის, მოშორდა მშობლებსა და ახლა ღმერთმა იცის, რა ღონისძიებით სცხოვრობს; ეგკი აქეთ-იქით სხვას ქალებს დასდევს და ყველგან სახელს უტეხავს ჩემს დასა და კვეხულობს.

მსაჯული. მაშ თქვენს დას გამოქომაგებიხართ, რაღა?

ტურანოვი. ჩემს დასა და იმ ბავშვსა, რომელიც უფ. კომლევის მოწყალებით უნდა შეიქნეს ახალი მწევრი აღსაზრდელი სახლისა.

კომლევი. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი და თავის თავის ქომაგობის ნებას არ მოგცემდათ. რას მეტყვით ამაზედა?

ტურანოვი. მე თქვენთან, თქვენისთანა თავზედ ხელ აღებულთან....

მსაჯული. სუუ! ნუ ცხარობთ. გახსოვდეთ, რა ალაგსაც ხართ.

ტურანოვი. მე სათაკილოთ მიმაჩნია ამისთანა არდა... ლაპარაკი, ანუ ჩემის ენით წარმოვსთქვა მაგისი სამარცხვინო და ბილწი სახელი.

მსაჯული. უფ. ტურანოვ, გულ დამშვიდებით იყავით, მაშინ უფრო შეიძლება საბუთიანათ გავიგოთ რამე.

ტურანოვი. უფ. მსაჯულო, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობაცა: ჩემი ღვიძლი და, სიღარიბეში მყოფი, ორსული

გაგდებული სახლიდგან, მშიერ-მწყურვალი, ავათმყოფი გდია ნოტიო სახლში, ნატრობს სიკვდილსა, ჰფიქრობს თავის ხელით თავის მოკვლასა: და შეიძლება, რომ აქ და-წყნარებითა და გულ დამშვიდებით ვილაპარაკო?..

მსაჯული. არა უშავსრა. იქნება როგორმე კარგათ მო-ვიყვანოთ ეს საქმე. თქვენი და აქედგან შორსა ცხოვრებს?

ტურანოვი. ნახევარ ვერსზედ.

მსაჯული. მაშ თქვენ მოიწვიეთ ის აქა, ანუ მე გავგზავ-ნი იმასთან.

ნახევარს საათს უკან მართლად მოდის გამკრთალი და შეწუხებულის სახით ქალი.

მსაჯული. ერთი მითხარით, უფ. ტურანოვის ასულო, რა კავშირი გქონდათ თქვენ უფ. კომლევთან?

ტურანოვის ასული. რაც კავშირი მქონდა ეს ყოველი-ვე მე სახეზედ მეტყობა.

მსაჯული. თქვენ თითონ თანახმა იყავით ანსთან დაახ-ლოვებითის ცნობისა.

ტურანოვის ასული. როგორ გითხრათ, სჯობია მე ნუ მკით-ხამთ, დეე უფ. კომლევმა ისარგებლა ჩემის გამოუცდელობითა, მაინცკი ჩემს თავს ვამტყუვნებ და იმას გამტყუნებისაკი არა ვიცირა.

მსაჯული. იმას თქვენთვის არაფრის პირობა არ მოუცია?

ტურანოვის ასული. მე არაფერი არა მახსომსრა. ამბობდა წამ და უწუმ რაღაც სამოქალაქო ქორწინებაზედ, მე ის, მესმოდა, რომ ჩემზედ ჯვარი უნდა დაეწერა.

მსაჯული. ამ დროში თქვენ არა გაქვსთ სამდურავი უფ. კომლევზედა.

ტურანოვის ასული. არაფრისა.

მსაჯული. და არცა გსურთ მიაყენოთ ამას უსიამოვნება?

ტურანოვის ასული. რისთვის?

კომლეევი. გთხოვთ უფალო მსაჯულო, ჰკითხოთ უფ. ტურანოვსა: რის გულისათვის იკისრა იმან უთხოვნელად ქომაგობა თავის დისა? მე არა მსურს თავი დავანებო ჩემი ასე შეურაცხობისათვის.

ტურანოვის ასული. მა'შ თქვენ ჩემს ძმაზედ თხოულობთ სამართალსა.

კომლეევი. იმაზედ?

ტურანოვის ასული. რისთვის?

კომლეევი. სილისათვის.

ტურანოვის ასული. ეხლა რა გინდათ იმისაგან?

კომლეევი. ციხეში ჩასმა.

ტურანოვი. ვნახოთ ვინ უფრო ჩაჯდება.

ტურანოვის ასული. ციხეში? მომითმინეთ, უფ. მსაჯულო, ბოდიშ ვიხდი, მე თქვენ გატყუებდით. მე მინდოდა თქვენ წინ დამემალა ქცევა უფ. კომლეევისა, მაგრამ არ არის ღირსი ის იმისა, თუ მე არ ვაძლევდი ნებას ჩემს ძმას ჩემის შეურაცხებისათვის დასარჩლებას. მაშ ეხლა ვაძლევ ამ ნებას, მამასადამე სულ ერთია, — ერთის დღის წინათ, ანუ შემდეგ, იმან შემოჰკრა სილა კომლეევსა. მე მაქვს რამდენიმე წიგნები ამ უფალისაგან, რომელშიაც ყოველთვის მარწმუნებდა მე ისა სიყვარულსა, დამპირდა ჯვარის დაწერასა და კიდეც დამპირდა მე ცხოვრების საჭიროების შესრულებას, დამპირდა ჩემ თავ დაუნებლობასა უკანასკნელ შემთხვევაში. ამ დროს მე ვიმყოფები ისეთ გამოუსვლელ სამწუხარო მდ-

გომარეობაში, რომელიც არ ვიცი მე რას შემამთხვევს.

მსაჯული. გაქვთ თქვენა წერილები უფ. კომლეევისა?

ტურანოვის ასული. აქა მაქვს, ინებეთ, თუნდა, აი ეს.

მსაჯული. (კითხულობს), „თქვენი ეგეთი შეთვისება მშობლებთან სხვა არა არისრა, იმის მეტი, რომ გეშინიათ დაკარგვა ლუკმა პურისა. მაგრამ, გეფიცები, ანნა პეტროვნა, თქვენ იქამდის თავის დღეში არ მიახწევთ; მე თქვენ იქამდისინ არ მიგახწევინებთ: მე მაქვს შეძლება სამყოფი. მე გპირდებით თქვენ ყოველ თვეს გაძლიოთ 30 მ. ეს თუმცა მცირეა, მაგრამ იმდენათ მაინც გეყოფათ, რომ აღარ იყვნეთ, დამოკიდებულნი თქვენს მტარვალს მშობლებზედ და საყვარელი კაცისაგან მიღება შენახვის საზრდოსი სულ არ არის სათაკილო. ასე ანნა პეტროვნავ, მხოლოდ ნუ მტანჯავთ მე; ნუღარ მაძებნინებთ ჩემს ბედნიერებას ქალალდში და არაყში, მომეცით მე სრულებით, სრული თქვენი ანთებულის და ცხოველის სიყვარულით, და მეც თქვენ ისე არ გაგიშვებთ.“

მსაჯული. ეს თქვენ დასწერეთ უფ. კომლეევო?

კომლეევი. დიახ.

მსაჯული. ეხლა თქვენ რას აპირებთ?

კომლეევი. მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ეგ ბავშვი ჩემი იყვეს?

ტურანოვის ასული. ბოლო აღარა აქვს თქვენს უსვინიდისობას და უსირცხვილობასა!

კომლეევი. ნუ ცხარობ ანეტავ.

მსაჯული. მოისმინეთ უფ. კომლეევო! უნდა სწორე მოგახსენოთ, რომ მე თქვენ არ გერწმუნებით: ერთი მხრით სჩანს

რომ თქვენ ტყუილებს იგონებთ!

კომლევი. მართალს ვამბობ.

ტურანოვის ასული. გაქვს თქვენ ნაპერწკალი სინიდისისა, პეტრე ანდრეიჩ!

კომლევი. მე ყოველთვისა მქონდა.

მსაჯული. როგორც უნდა იყოს, თქვენი წერილიდგანა ჩანს, რომ თქვენ, უფ. კომლევო ისარგებლებდით ტურანოვის ასულის გამოუცდელობითა მიაღწევინეთ ისა უკანასკნელ მდგომარეობამდინ, ამისთვის მე ვისურვებდი, რომ თითონ თქვენვე გატყდეთ აუცილბლად, აძლიოთ ამას რაც დაჰპირდით, მანამ გამაიცვლება ამის მდგომარეობა, თქვენ ხართ შემძლებელნი.

კომლევი. შემიწყალეთ უფ. მსაჯულო! რისათვის?

მსაჯული. თქვენი წიგნისგამო.

კომლევი. (დიდ ხანსა ფიქრობს) თუმცა, მე თანახმა ვარ ძლევისა, მაგრამ ჩემი შეურაცხობისათვის მე ვთხოულობ კმაყოფილებასა.

მსაჯული. მე ამით ვამართლებ უფ. ტურანოვის სიფიცხეს, რომ ის ცუდს გუნებაზედ ყოფილა ამ საქმისაგამო და ამისგამო ჩემის მხრით მაგაზედ რისამე სასჯელის გარდაწყვეტა იქნებოდა უკანასკნელი უსვინიდისობა. თქვენი საქმე და-სრულდა.

კონსტანტინე კოლუბანსკი.

1866 წელსი. 20 დეკემბერსა. ქ. ტფილისს.

სია **1867** წლის ცისკარზედ ხელის მომწერთა:

ტფნლისში.

**50** თ. კონსტანტინე ფალავანდოვი.

უფ. მელიქოვი.

ივანე მიზოევი.

გიორგი გასპაროვი.

ალექსანდრე ონიკოვი.

თ. ალ. ვახ. ორბელიანი.

კნ. ბარბარე ქობულოვისა.

თ. ივანე მელიქოვი.

გიორგი წერეთელი.

იაკობ გოგებაშვილი.

**60** ნიკოლოზ ლოლობერიძე.

სტეფანე მელიქოვი.

ზაქარია სარაჯოვი.

თ. ივ. მალხ. ანდრონიკოვი.

ტფილისის სემენარია.

თ. თადეოზ გურამოვი.

ქუთაისში.

თ. ნესტორ წერეთელი.

ქუთაისის გიმნაზია.

გაბრიელ ეპისკოპოზი.

სტეფანე აკოფოვი.

ზუგდიდში.

სპირიდონ მაჭავარიანი.

ფოთში.

**71** ძმანი ანანიაშვილები.

სხვა და სხვა ამბავი.

1. — ახალი სამართლოს გადაწყვეტილებითგან. კ. კოლუბან-სკისა. — 2, სია 1867 წ. ცისკარზედ ხელის მომწერთა.

---

1 8 6 7 წლის

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამა-ტებით, 7 მან.

სხვა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამა-ტებით 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახ-ლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერ-თოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის რედაქციაში ტფილისს."